




ს ა მ ა რ თ ა ლ ი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

№ 9-10 1997



160

№ 9-10
[Handwritten signature]

საგარტო

ი. შ. ნ. 6 6 6 6 6 6 6 6

სამეცნიერო-პრაქტიკული შურნალი

№ 9-10

თებერვალი 1996 წლიდან

1997

საქართველო-რუსეთის

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი
ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ჯანაშვილი ბაბილაშვილი
- გელა ბარბაქაძე
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- ვლადიმერ ბარბაქაძე
- იოსებ ბარბაქაძე
- ოთარ ბარბაქაძე
- ჯანაშვილი ბარბაქაძე
- ავთანდილ დემეტრაშვილი
- ბახარაძე ზორბე
- გივი ინჯიანი
- მზია ლეკვიანი
- ნოდარ ნაბიანი
- თევდორე ნინია
- ნუგზარ საგანი
- ნიხილ საგანი
- გიორგი ტყეშელაშვილი
- მინდია უბრაძე
- რომან შანაშვილი
- შალვა ჩიკვაძე
- ლალო ჭანტია
- სერგო ჯორჯანიანი

ჩვენი შურნალის დამფუძნებლები არიან: შურნალ „საგარტო“ რედაქცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი საბრძოლველი სასამართლო.

გაერთიანებული სახელმძღვანელო:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შეხადლო არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართით: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.
ტელ.: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01.

შურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია: 0880. ინდექსი 76185.

ფასი 2 ლარი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი



ილუსტრაცია

საკიებელი

ილია—160

წინათქმა	3
ვალერიან მებრეველი — ილია ჭავჭავაძე — იურისტი	4
სერგო ჯორბენაძე — ილია პრესაში პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ	15
გიორგი ნადარეიშვილი — ილია ჭავჭავაძე და კერძო საკუთრების აუცილებლობის პრობლემა	22
მინდია უგრეხელიძე — საქართველოს ზურგს უმაგრებს ილიას სიმალე და სამართლებრივი ნაამბავარი	31
ზურაბ რატიანი — ფრაგმენტები არქივიდან	34
სადოქტორო დისერტაციები	
ალექსანდრე შუშანაშვილი	39
ლევან ხანციქიძე — ალექსანდრე შუშანაშვილის სადოქტორო დისერტაციაზე — „ილია ჭავჭავაძის მკვლევობა (ისტორიულ-სამართლებრივი გამოკვლევა)“	40
აქტუალური პრობლემა	
ლადო ჭანტურია — სამოქალაქო სამართალი და სამოსამართლო სამართლის პრობლემები	44
საერთაშორისო სამართალი	
ალექსანდრე ორახელაშვილი — საერთაშორისო მართლწესრიგის რეფორმის ზოგიერთი საკითხი	59
უცხოეთში	
ბესიკ შაკიაშვილი — ხელშეკრულების „ამაოების“ თეორია ინგლისისა და აშშ-ის სამართალში	66
პირველი ნახიჯები მაცნობარებაში	
ვახტანგ ხახოკია — სიკვდილით დასჯის პრობლემის კვლევის თავისებურებანი	71
გიორგი ჭირია — სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი	76
დაჯილდოება	
ლევანის დაფასება	78
ღირსეული ჯილდო	79
ხსოვნა	80

რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.
 ტელ. 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

გადაეცა წარმოებას 80.06.97 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.08.97 წ.,
 ფორმატი 70X108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 887. ტირაჟი 500.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „საშობლო“,
 თბილისი-850096, მერაბ კოსტავას 14

ილიას ხელმოწერის ნიმუში

წინათქმა

მკითხველს! ჩვენგან შეთავაზებული ეს მოკრძალებული ნომერი ჟურნალ „სამართლისა“ ეძღვნება მოწამეობრივად გარდასულ ილია მართლის მარად სსოვნას ქართველი ერის ცნობიერებაში.

ილიას ფენომენი, საქართველოს ახლო წარსულის თუ თანამედროვე ყოფიერების გააზრებასა და სამომავლო ცხოვრების გზის გაკვლევაში ერთობ განუზომელია.

ჩვენი სამშობლოს არსებობის წარმატებულ თუ ავებლობით აღსავსე უსასრულო გზაზე, არც თუ მრავლად მოიხსენიება პიროვნებანი, რომელთა მიმართ ერს ისეთი მადლიერება გააჩნდეს, ვითარცა ილიას მიმართ.

იმდენად მრავალმხრივი და ყოვლისმომცველია ილიას ინტელექტუალური, თუ მოღვაწეობითი მეტეკვიდრობა, რომ იგი მუდამჟამს იქნება კვლევისა და კანსჯის უშრეტი წყარო. ვფიქრობთ, რომ ალბად არ არსებობს სხვა სახელი, ვიდრე ილიასი, რომელიც ასე უთვალავგზის არამართო მოიხსენიებოდეს, არამედ მიძღვნილდეს მრავალგზის უმრავლესი ნაშრომის მის დანატოვარს, სხვადასხვა პრობლემატიკასთან შეხებაში, იქნება ეს წმინდა ფილოლოგიური — მწერლობითი, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, პუბლიცისტური თუ მათთან ერთად სამართლებრივი სფერო, რომელიც ქმნის ერთ მთლიან ილიალოგიას.

F6197

ახლა ილიას ნატვრა, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“ და აკი იქმნება კიდევ ჩვენი, საკუთარი, თითქმის ვინმესგან უსესხებელი კანონმდებლობა, ეროვნული, ილიასეული სამართლებრივ წარმოსახვათა გათვალისწინებით.

იმის მოლოდინში, რომ ამ ტიტანის მოვლინებიდან 160 წლისთავთან დაკავშირებით მას კვლავაც მიეძღვნება ასეთი მრავალი შრომა, ჩვენც, იურისტებმა ვიაზრეთ და ჟურნალის ეს ნომერიც ამ დღის აღსანიშნავ ნობათად გავითვალისწინეთ, იმედია, რომ მომავალი ათწლეული, ქართველ მეცნიერ-იურისტთათვის ილიალოგიაში, ნაყოფიერი, ძიებისა და მოპოვების ჰეროიდი მეტად შედეგიანი აღმოჩნდება. ჰოდა, სვებედნიერი ყოფილიყოს მომავალ თაობათათვის ეს სარბიელი.

პატივდებულად ვრაცხ თავს რომ ამ წინათქმის ერთ-ერთი ავტორთაგანი, როგორც ჟურნალის რედაქტორი, ხელს ვაწერ მის გამომზეურებას.



სამართლის
პარლამენტის

პალარიან მებრკველი

ილია ჭავჭავაძე—იურისტი

ქართველი საზოგადოებრიობა ილია ჭავჭავაძეს იცნობს როგორც მწერალს, პოეტს, საზოგადო მოღვაწეს. სამწუხაროდ, ალბათ მოიძებნებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც არ იციან, რომ ილია ჭავჭავაძე განათლებით იურისტი იყო. ამ პუბლიკაციის მიზანია ილია ჭავჭავაძის, როგორც იურისტის წარმოჩენა ფართო პლანით.

გიმნაზიის კურსდამთავრებულ ილია ჭავჭავაძეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაემგზავროს რუსეთს უმაღლესი განათლების მისაღებად. იგი თავის განზრახვას უმჯლადნებს უფროს დას ნინოს: „ვაპირებ წასვლას რუსეთში, მაგრამ შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატოვება ამ ჩვენი ყვარლისა... და მივიღვარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ნათესაური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არაეინ შეყოლება ნუგეშისმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალი დროის შავ ღრუბლებში აღუბრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტოვებს და სიმწარით განვლის გზას, მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას, შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მიუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისაგან...“¹

ილია ჭავჭავაძის ამ გამონათქვამს კომენტარი არ სჭირდება, მასში მთელი სისრულით ჩანს, თუ როგორაა განწყობილი 20 წლის ჭაბუკი უმაღლესი განათლების მისაღებად, როგორ ითვალისწინებს მოსალოდნელ სიმძნელებებს ან როგორ ჭვრეტს სწავლის შედეგს.

1857 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძე თბილისიდან პეტერბურგში გაემგზავრა.

არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სამხედრო გზით რუსეთს მიმავალ ჭაბუკ ილია ჭავჭავაძეს გზაში შემოხვდა სახელგანთქმული პოეტი და კავკასიის ომების გმირი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან უკან ბრუნდებოდა. ამ შეხვედრის შესახებ პ. ინგოროყვა წერს: „თითქოს ნიშნეული იყო ეს შეხვედრა, ორი სხვადასხვა ეპოქის მწერლისა კავკასიონის უღელტეხილთან. იმ დროს, როდესაც გრიგოლ ორბელიანი ეშვებოდა მწვერვალებიდან, ილია ადიოდა კავკასიონსე!“

1843-44 სასწავლო წელს პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტზე გაიხსნა კამერალური განყოფილება. ეს განყოფილება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ი. ჭავჭავაძე სწორედ კამერალურ განყოფილებაზე შედის.

კამერალური განყოფილება ამზადებდა ახალგაზრდებს ადმინისტრაციული და სამეურნეო სამსახურისათვის. ამ განყოფილების კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლო სამეურნეო ცხოვრების ნებისმიერ უბანზე.

1. ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1987, გვ. 75.



პეტერბურგის უნივერსიტეტის კამერალური განყოფილების რაობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ის საგნები, რომლებიც ამ სპეციალობაზე იკითხებოდა: 1. ევროპული ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დაწესებულებანი, კანონები ფინანსებისა და სახელმწიფო გადასახადების შესახებ, კანონები კეთილმოწყობისა და მართლწესრიგის შესახებ, პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა, ბუნებისმეტყველება, ტექნოლოგია, აგრონომია და არქიტექტურა. გარდა ამისა, კამერალური განყოფილების სტუდენტები ვალდებული იყვნენ დამატებით საგნებად შეესწავლათ: რუსული სამოქალაქო კანონები, რუსული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მსოფლიო და სამამულო ისტორია და ერთ-ერთი ახალი ევროპული ენა.

1835—1868 წლებში უნივერსიტეტის სრული კურსი დაამთავრა 38 ქართველმა. არ იგულისხმება ისეთი სტუდენტები, რომლებმაც ვერ დაამთავრეს იგი. სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის იურიდიული ფაკულტეტი 20-მა ქართველმა დაამთავრა.

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩასულა 1857 წლის ივლისში. მას ცოტა დაუგვიანებია და უკვე 20 ივლისს თხოვნით მიუმართავს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემცვლელისათვის.

ილია ჭავჭავაძის მიერ წარდგენილ საბუთთა შორის ვერ ვხვდებით გიმნაზიის დამთავრების მოწმობას, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ილიამ ვერ მიიღო იგი, ამიტომაც უნივერსიტეტში ჩასარიცხად მას უნდა ჩაებარებინა გიმნაზიის სრული კურსის დასამთავრებლად გათვალისწინებული საგნები.

ილია ჭავჭავაძეს წარმატებით ჩაუბარებია უნივერსიტეტში შესასვლელი მისაღები გამოცდები. ამას ადასტურებს ს. — პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის მიერ გაცემული ცნობა.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე ჩაირიცხა ს. — პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საკუთარი ხარჯით მოსწავლე სტუდენტად და მას უნდა ეხადა 50 მანეთი ვერცხლით — სასწავლო წლის განმავლობაში — თუ საკუთარი ხარჯით მოსწავლე, სტუდენტი წარადგენდა სიღარიბის მოწმობას, იგი თავისუფლდებოდა სწავლის ქირისაგან. ილია ჭავჭავაძეს წარუდგენია ასეთი მოწმობა და გაუთავისუფლებიათ იგი სწავლის ქირის გადახდისაგან, რასაც ადასტურებს 1858 წლის 15 იანვარს გაცემული ცნობა.

ილია ჭავჭავაძის სწავლისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობებს გვაძლევს მისივე პირადი საქმე, რომელიც დაცულია პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივში. ამ არქივის თავის დროზე გაცნობია აკად. ივ. ჯავახიშვილი, ხოლო 1930-იან წლებში — პოეტი. გ. ლეონიძე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში ი. ჭავჭავაძე ისმენდა ი. იკოსტომროვის ლექციებს რუსეთის ისტორიაში, ხოლო შუა საუკუნეების ისტორიას უკითხავდა პროფ. მ. მ. სტასულევიჩი. ორივე სახელგანთქმული მეცნიერი იყო. ამ მეცნიერთა შესახებ საინტერესო მტკიცებულებები აქვს ნ. ნიკოლაძეს.

ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ილიას მეგობრები. მაგ., კოხტა აფხაზი. იგი მიუთითებს, რომ ილია ჭავჭავაძე „არ იკლავდა თავს სპეციალური დისციპლინაში მეცადინეობით, მას უფრო მეტად პოლიტიკური და საეკონომიო საგნები იზიდავდა“, ...უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიკური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა, აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა (როგორც გიმნაზიაში), მთელი წელიწადი სამოსწავლო

საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართუ-
ლი, კითხულობდა ბევრ ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვებოდა ეგზამენები
და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდა
და რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია“.

ილია ჭავჭავაძეს რომ კარგი იურიდიული განათლება მიუღია და იურიდი-
ულად კარგად იყო განსწავლული, ამაზე მეტყველებს მის მიერ შექმნილი და
მისსავე პირად ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები სისხლის, სამოქალაქო და სა-
ხელმწიფო სამართლის დარგებში, ასევე ლიტერატურა სამართლის ისტორიასა
და სამართლის ფილოსოფიაში, რომლებსაც მწერალი ამუშავებდა, იყენებდა,
ციტირებას აკეთებდა, სხვადასხვა ხასიათის შენიშვნებს (ხაზებს) აკეთებდა.
ილია ჭავჭავაძეს უყვარდა გამოთქმა „წიგნი გამოვშიგენ“, „ე. ი. დავამუშავე —
მისი დაღებითი (მისაღები) მხარეებით თუ უარყოფითი მხარით“.²

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძეს პეტერბურგის უნივერსიტეტის იუ-
რიდიული ფაკულტეტი არ დაუმთავრებია. იგი მე-4 კურსიდან გამოვიდა მეორე
თანრიგის სახელმწიფო მოხელის უფლებით.

1861 წელს მაისში ილია უკვე თბილისშია და იგი პეტერბურგს აღარ დაბ-
რუნებულა სწავლის გასაგრძელებლად.

1864 წლიდან ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო სამსახურში შედის.

1864 წლის გაზაფხულზე გენერალ გუბერნატორის საგანგებო მინდობი-
ლობით ი. ჭავჭავაძე ქუთაისში ჩადის. ილია ჭავჭავაძე გლეხობის მიწიანად
განთავისუფლების მომხრე იყო. ამიტომაც ქუთაისის თავად-აზნაურობას მაინც-
დამიანიც სასიამოვნოდ არ დარჩენიათ. ყმა გლეხების მოსარჩელე, საკმაოდ
ცნობილი მწერლის იქ ჩასვლა: „...აი ესენი არიან ჩვენი დამღუპავებით, ჩვენი
ყმების წამრთმეველებიო, ნამეტნავად ჩემზე თურმე ტლინკებს ყრიან“. — წერდა
ილია თავის მეუღლეს.

ილია დიდი მონღომებით მოკიდებია თავად-აზნაურობისა და ყმების „მორი-
გების“ საქმეს. 1864 წლის ზაფხულში მას იმერეთის დიდი ნაწილის შემოკ-
ლა მოუსწრია.

იმერეთში, ი. ჭავჭავაძეს, როგორც გენერალ გუბერნატორის საგანგებო
რწმუნებით წარგზავნილ მოხელეს, ევალებოდა გამოერკვია რა ურთიერთობა
სუფევდა მებატონეებსა და ყმებს შორის. ეს ის პერიოდია, როდესაც იმერეთში
წყვება ბატონყმობის გაუქმება და გლეხთა განთავისუფლება. ილია თავდაუზო-
გავად მუშაობდა, ქუთაისის გუბერნიაში მემამულეთა მიწების აღწერაში მონა-
წილეობისათვის იგი ვერცხლის მედლით დაუჯილდოებიათ.

ილია ქუთაისში დიდხანს არ დარჩენილა. როგორც ცნობილია 1864 წლის
28 ოქტომბერს იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა აღმოსავლეთ სა-
ქართველოს გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების ბრძანებულებას, რასთან და-
კავშირებითაც ილია ქუთაისიდან გამოიძახეს და 1864 წ. 8 ნოემბერს დანიშნეს
მომრიგებელ შუამავლად დუშეთში. შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის
საქმიანობა მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე იურიდიული ხასიათის
საქმიანობა იყო, ვინაიდან მომრიგებელ შუამავალს უნდა მოეწესრიგებინა ურ-
თიერთობა ყმობიდან გამოსულ გლეხობასა და მემამულეებს შორის. საჭირო
იყო მიწების აზომვა, მიწის ნაკვეთის შესახებ გარკვეული სიკვლის შედგენა,
ამ ნაკვეთისთვის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა, სავარგული მიწის ნაკ-

2. რესპუბლიკის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა,
არსებობს ასევე ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგიც, თბ., 1957.



ვეთის გამოყოფა, მიწების გაცვლა, მემამულეთა და გლეხთა ნებაყოფლობით მორიგების გაფორმება და დამოწმება; გარდა ამისა, მომრიგებელი შუამავლის კომპეტენციაში შედიოდა გლეხობისა და მემამულეთა შორის წარმოშობილი დავებისა და მიწის ნაკვეთის ყიდვის თუ ვალდებულებითი დამოკიდებულების შეწყვეტის თაობაზე საჩივრებისა და სარჩელის განხილვა.

მომრიგებელი შუამავლის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც დაკავშირებული იყო საგლეხო მმართველობის წესების დარღვევასთან, მას შეეძლო თვითონ ჩარეულიყო აქტიურად ამ დარღვევის საქმეში და არ დალოდებოდა საჩივრებს. სასოფლო მმართველობის წესების დარღვევისათვის მომრიგებელ შუამავალს შეეძლო გარკვეული სასჯელის შეფარდება სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირთა მიმართ (მაგ. შენიშვნა, საყვედური, ჯარიმა 5 მანეთამდე, 7 დღით პატიმრობა), ასევე შეეძლო სასოფლო მმართველობის თანამდებობათა პირების გადაყენება და სასამართლოსთვის მათი საქმეების გადაცემა.

გერ. ყიფშიძის ცნობით იმ პერიოდის კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს უფროსი იყო ჭავჭავაძის სიძე — ბარონ ნიკოლაი. მას მიულოცია ილია ჭავჭავაძისათვის ახალი თანამდებობა და უთქვამს: იმედი მაქვს დაამტკიცებთ, რომ ახალგაზრდობა ნაკლოვანება კი არ არის, არამედ ღირსებაო.

ილია ჭავჭავაძემ მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე 1868 წლის 1 თებერვლამდე დაჰყო. თითქმის სამი წელი მუშაობდა ამ თანამდებობაზე ილია. ამ ხნის განმავლობაში ქართლის მთიანეთის თითქმის ყველა კუთხე გაიცნო, უცხით შემოიარა დუშეთის მაზრის სოფლები, ტყეები, საძოვრები, სახნავ-სათესი ადგილები. ერთი თვე იყო მოხვევებთან ყაზბეგში. აქ კანცელარიის მწერალთან ერთად აწარმოებდა საძოვრების აზომვა-აღწერას...⁴

ილია ჭავჭავაძის მომრიგებელ შუამავლად მუშაობის შესახებ საინტერესო მოგონება აქვს ი. მეუნარგიას: „როცა ბატონყმობა მოისპო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდა თბილისის გუბერნიაში (4 ნოემბერი, 1964 წ.), ილია დანიშნეს მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში.

ამაზე უკეთესს ადგილს ილიასათვის კაცი ვერც კი წარმოიდგენდა. მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხკაცის მამაა, მისი „მფარველი ანგელოზი“, როგორც ამბობდნენ იმ ხანებში, როცა ეს თანამდებობა არსდებოდა. კანონი იმას ავალებს იაროს სოფელ-სოფელ და ადგილზე გაარჩიოს ნაბატონეთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო დაგეშილი და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე შორს, სამშობლოს გარეთ, ...არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთის ახლო, მყინვარის კალთებზე, სადაც ის პოულობდა ყოველგვარ მასალას როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, ნამულის ერთგული...“⁵

მომრიგებელ შუამავლად მუშაობის პერიოდში ილია ჭავჭავაძემ იხილაგადა და წყვეტდა იურიდიული ხასიათის ურთიერთობებს. ფაქტობრივად ამ დროს დაიწყო ილიას მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში შეძენილი თეორიული საძიარტლებრივი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

3. მომრიგებელი შუამავლის უფლებამოსილების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ნ. ყველიშვილი, ილია ჭავჭავაძე. — იურისტი, თბ., 1970 წ. გვ. 9-7-10.
 4. გ. ნაღარეიშვილი, ი. ჭავჭავაძე დუშეთში, თბ., 1972, გვ. 9.
 5. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1957, გვ. 28-29.

თბილისის გუბერნიაში მომრიგებელ შუამავლად სასარგებლო და თავდასაცავი შრომისათვის ილია ჭავჭავაძე დაჯილდოებული ყოფილა ფულადი ჯილდოთი — 2000 მანეთი ვერცხლით, ხოლო 1867 წლის 21 აპრილს — „კოლეჟსკი რეგისტრატორის“ ჩინი ებოძა, 1867 წლის 10 თებერვალს კი დაჯილდოვდა „წარჩინების ნიშნით“.⁶

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის სამოციან წლებში რუსეთში გატარდა რამდენიმე სახელმწიფო რეფორმა. მათ შორის სასამართლო რეფორმაც. სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი პროგრესული მონაპოვარი იყო მომრიგებელ მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება.

მომრიგებელ მოსამართლის ინსტიტუტი პირველად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-14 საუკუნის ბოლოს და ფართო გავრცელება პოვა. რუსეთში კი 1864 წელს სასამართლო რეფორმას მოჰყვა მისი შემოღება. საქართველოში სასამართლო რეფორმა გატარდა 1867 წლის 9 დეკემბრის კანონით. აქ გაუქმდა ძველი სასამართლო დაწესებულებები და მათ ადგილზე ახალი სასამართლო ორგანოები ჩამოყალიბდა. ამავე რეფორმით საქართველოს ყველა სამაზრო ცენტრში შეიქმნა მომრიგებელი განყოფილებები მომრიგებელი მოსამართლეებით. საქართველოში მომრიგებელი მოსამართლეობის ინსტიტუტს ზოგიერთი დემოკრატიული პრინციპი ჩამოაშორეს, მხარის, ვერეთ წოდებული „თავისებურებათა“ გამო. კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, მომრიგებელი მოსამართლეები კი არ ირჩეოდნენ, არამედ ინიშნებოდნენ. თუ რუსეთისათვის მომრიგებელი მოსამართლე ადგილობრივი მაცხოვრებელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა ადგილობრივი ადამ-წესები, თავისებურებანი, ადგილობრივი მოსახლეობის ენა, საქართველოსთვის (კავკასიისათვის) ეს მოთხოვნა უგულებელყოფილი იყო და ხშირად მომრიგებელ მოსამართლეებად ინიშნებოდნენ სხვა ერის წარმომადგენლები, რომლებმაც არა მარტო ადგილობრივი ზნე-ჩვეულებები, არამედ თვით ქართული ენაც კი არ იცოდნენ, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საქმის განხილვა. ამ ნაკლოვანების შესახებ ილია ჭავჭავაძემ გაბედულად აიმაღლა ხმა.

კავკასიის მეფისნაცვლის 1868 წლის 1 თებერვლის ბრძანებით, „კოლეჟსკი რეგისტრატორი“, „წარჩინების ნიშნისა“ და „ვერცხლის მედლის“ კავალერი, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაინიშნა თბილისის გუბერნიის დუშეთის მომრიგებელი განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ, წლიური ხელფასით — 2400 მანეთი. მომრიგებელ მოსამართლედ ილია ჭავჭავაძის მუშაობის და ფუნქციების გასარკვევად სპეციალური დებულება უნდა მოვიშველიოთ, მაგრამ თუ რა ევალებოდა ამ მოხელეს განსახორციელებლად, მშვენივრად მიუთითებს თვით ილია ჭავჭავაძე: „მორიგება მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოსი, ამიტომაც ჰქვიან მომრიგებელი სასამართლო... მომრიგებელ მოსამართლეს მინდობილი აქვს გარჩევა იმ წვრილმანი საქმეებისა, რომელნიც ყოველდღე თითქმის წარმოდგებიან ხოლმე ხალხის ცხოვრებაში. უფრო მომეტებულმა ნაწილმა ხალხისამ კანონები არ იცის; მომეტებული ნაწილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს სცემს მარტო ნამდვილ სიმართლეს და უფროხილდება დროს; ამისათვისაც ხალხისთვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე სწრაფად გათავდეს ხოლმე და საქმის განაჩენები დამყარებული იყოს მასზედ, რაც თვითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლედ არის ცნობილი. უფრო ბევრს ნაწილს ამ საქმეებისას მომრი-

6. იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 571.



გებელი მოსამართლე სწვევებს საბოლოოდ და მასთანავე საქმეს არჩევს და სწვევებს მართო თვითონ ერთადერთი. უმთავრესი დანიშნულება ამისთანა მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მშვიდობის მყოფელი შუაგაცად ექმნეს მოდავთა და მათ შორის მორიგება ჩამოავდოს. რომ ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეული იქნეს, ამისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნებისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა. ერთის სიტყვით — ყოველ იმას, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ — და ამასთანავე საჭიროა კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება. მომრიგებელ მოსამართლის მრავალგვარი მოვალეობა ისეთია, რომ ყოველ შტოს სახელმწიფო მმართველობისას და ყოველ მხარეს ხალხის ცხოვრებისას შეეხება“.⁷

ილია ჭავჭავაძემ⁸ მიანიშნა, რომ რუსეთში მომრიგებელ სასამართლოს ინსტიტუტის შემოღება „არის ჭეშმარიტი ნაყოფი მეცნიერებისა და ევროპის ცივილიზაციის გამოცდილებისა. არც ერის კანონმდებლობას რუსეთში ისეთი გარკვეული და ჭეშმარიტი აზრი არ ჩაპრთვია, როგორც განსამართლებლის წესს საზოგადოდ და მომრიგებელ მოსამართლეობისას ცალკედ“.⁸

დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდში (1868 წლის 1 თებერვლიდან 1873 წლის 14 მაისამდე) ილია ჭავჭავაძემ განხილული აქვს 3 ათასზე მეტი საქმე, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლისა,⁹ ყურადღებას იპყრობს ილიას მიერ მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობის ზუსტად, ფაქიზად და უმწიკვლოდ შესრულება. გვაოცებს საქმეების განხილვის სიღრმე, ყოველმხრიობა, ობიექტურობა, დოკუმენტაციის პროცესუალურად უზადოდ გაფორმება. ილია ჭავჭავაძის, როგორც პრაქტიკოსი იურისტის პროფილი, მთელი სისრულით სწორედ მომრიგებელ მოსამართლის პოსტზე ხუთი წლის მუშაობამ გამოაჩინა. ილია ჭავჭავაძის მიერ განხილული საქმეები თვალნათლივ გვიხატავენ პატიოსანი, მშრომელი და დაჩაგრული მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი მწერლის ცოცხალ სახეს, შემორჩენილია აგრეთვე ილიას თანამედროვეთა მოვლენები, რაც საშუალებას იძლევა კიდევ უფრო კარგად დავინახოთ როგორი გამჭრიახობით და ობიექტურობით ახორციელებდა ილია ჭავჭავაძე მართლმსაჯულებას.

სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძის საქმიანობის ეს მხარე სათანადოდ არ არის შესწავლილი, იგი მკვლევარს ელოდება, ხოლო ილიას მიერ განხილული საქმეები — პუბლიკაციას.

მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე ინტენსიური მუშაობით ილია ჭავჭავაძე ერთგვარად გადაღლილია, მას აღარ სურს „სულის სიმყრალეში“ მუშაობა და თბილისში დაბრუნებას ოცნებობს, თუმცა ძალზე აშინებს ეკონომიკური ზღმომოკლეობა და ამის გამო კიდევ რამდენიმე ხანს რჩება დუშეთში.

დუშეთში ყოფნის პერიოდში ილია ჭავჭავაძე არ წვევებს სამწერლო მოღვაწეობას, მას რამდენიმე ნაწარმოები შეუქმნია ამ დროს. არც მსოფლიო პოლიტიკური მოვლენებისადმი იგი ინდიფერენტული. ილია დიდი ყურადღებით

7. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 76-77, ი. ჭავჭავაძის ნაშრომების ციტირებას ვახდენთ პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ თხზ. ატტომეულის მიხედვით.

8. იქვე, გვ. 72.

9. ი. ჭავჭავაძის მიერ განხილული საქმეების ნაწილი გამოაქვეყნა ვ. ჟვინაძე, იხ. „საისტორიო მოამბე“, 1965, № 19-20, გვ. 385-439.



აკვირდება ამ პერიოდის მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს.

ილია ჭავჭავაძის ყოფნა ღუშეთში დიდი დანაკარგი იყო ქართული მწერლობისათვის. ამაზე მიუთითებს ნიკო ნიკოლაძე და აღნიშნავს, რომ „საზღვარგარეთიდან რომ დაებრუნდი... ჩემი პირველი ნაბიჯები ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევგაროვე და დაეჯერე, ღუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევე ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვარ ღუშეთს „გროვით“ (ანუ სხვებთან ერთად — ვ. შ.).

ილია ჭავჭავაძეს ძალზე სურდა ღუშეთიდან დაბრუნება და სამწერლო მოღვაწეობაში ჩაბმა: „...ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო, ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა ყურის შოვნის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო“, — წერდა იგი პეტრე უმიკაშვილს.

ბოლოს და ბოლოს, ი. ჭავჭავაძემ გადაწყვიტა თავი დაენებებია სახელმწიფო სამსახურისათვის 1873 წლის 14 მაისს, რის შემდეგ სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა.

1874 წლის 6 სექტემბრიდან ილია ჭავჭავაძე თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეა.

„1875 წლის 4 ივლისს, თბილისის საოლქო სასამართლოში, ილია ჭავჭავაძემ, როგორც ძველმა მომრიგებელმა მოსამართლემ, შეიტანა თხოვნა თბილისის საოლქო სამმართველო პალატის ნაფიც ვეჟილად მიღების შესახებ, რაც 1875 წლის 19 ივლისს დაუკმაყოფილებიათ. 1881 წლის 23 აპრილს კი ილიას უთხოვია ნაფიცი ვეჟილის მოვალეობისაგან განთავისუფლება“.¹⁰

სამწუხაროდ, არავითარი ცნობა ან მასალა არ გვაქვს იმის შესახებ თუ რა საქმიანობას ეწეოდა ილია ჭავჭავაძე ნაფიცი ვეჟილის რანგში.

1880-იანი წლებიდან თითქოს წყდება (ჩერდება) ილია ჭავჭავაძის იურიდიული მოღვაწეობა, მაგრამ 1906 წელს ქართველმა თავადაზნაურობამ ილია აირჩია რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად.

სახელმწიფო საბჭო საკანონმდებლო ორგანო იყო. ილია ჭავჭავაძე დიდი აქტიურობით ჩაება სახელმწიფო საბჭოს საქმიანობაში და კვლავ გამოაღდა მას აურიდიული განათლება თუ განვლილი პრაქტიკული იურიდიული საქმიანობა. სახელმწიფო საბჭოს მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ჩანს ილია ჭავჭავაძის გამოსვლები სხვადასხვა საკითხზე, არის ცნობა, რომ ილია ჭავჭავაძე რუსეთის სახელმწიფოს საბჭოში გამოვიდა მოხსენებით სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. მაგრამ, როგორც გამოკვლევებით დასტურდება, ილია ჭავჭავაძე თუმცა სერიოზულად ემზადებოდა სახელმწიფო საბჭოში კამათისათვის, რაზედაც მეტყველებს მის მიერ შედგენილი „თეზისები“ სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად, სახელმწიფო საბჭოში მოხსენებით მისი გამოსვლა არ დასტურდება.

ილია ჭავჭავაძის როგორც იურისტის წარმოსაჩენად აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ იმ იურიდიულ პრობლემათა წრე, რომლებსაც ეხება ილია ჭავჭავაძე და აყალიბებს თავის თვალსაზრისს (შეხედულებებს) ამ საკითხზე.

ილია ჭავჭავაძის, როგორც იურისტის წარმოსაჩენად დიდი ღვაწლი მიუძღვით: პროფ. ს. ჯორბენაძეს, ვ. ჟვანიას, ნ. კველიშვილს, ვ. აბაშმაძეს. ა. მუ-

10. ვ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, წიგნი I, თბ., 1987, 83-254.

შანაშვილს, ო. გამყრელიძეს, ამ მიმართებით გარკვეული მუშაობა ჩაეატარეთ ჩვენს.¹¹

ილია ჭავჭავაძის იურიდიულ შეხედულებათა განხილვას არ ეყოფა არათუ საჟურნალე სტატია, არამედ მონოგრაფიებიც კი. ამიტომაც უნდა დავკმაყოფილდეთ იმ იურიდიულ პრობლემათა მოკლედ ჩამოთვლით, რომლებზედაც გამოთქმული აქვს მოსაზრებანი (შეხედულებანი) დიდ მწერალს.

ილია ჭავჭავაძეს საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, კერძოდ, სახელმწიფოს წარმოშობის, მისი არსის, მისი ფუნქციების და დანიშნულების, სახელმწიფოს ფორმების შესახებ...

ილია ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფო ყოველთვის როდი არსებობდა. სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდა საზოგადოება, სადაც არ იყო უთანასწორობა, მდიდარი და ღარიბი, მჩაგვრელი და ჩაგრული. მიწა თემს ეკუთვნოდა, თემის წევრები თანასწორუფლებიანი იყვნენ მიწის საკუთრებაში. მაგრამ საზოგადოების გარკვეულ ეტაპზე ირღვევა მიწაზე საერთო საკუთრების ფორმა. საზოგადოების გარკვეულმა წევრებმა იწყეს საერთო კუთვნილი მიწის მისაკუთრება, ამის შედეგად კი თემის საკუთრება (საერთო საკუთრება) თანდათანობით მცირდებოდა, კერძო საკუთრება კი იზრდებოდა თემობრივი საკუთრების ხარჯზე.

კერძო საკუთრების წარმოშობის მეორე გზად ილია ჭავჭავაძე ასახელებს თავისუფალი მიწების დაპატრონებას, მისაკუთრებას, რაც გზას უხსნის უთანასწორობას, მდიდრებისა და ღარიბების წარმოშობას. ილია ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოს წარმოშობა განაპირობა მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობამ. სახელმწიფოს დანიშნულება იყო მოეწესრიგებია მიწიანთა (მქონებელთა) და უმიწოთა (უქონელთა) შორის არსებული დაპირისპირება.

ილია ჭავჭავაძის მოსაზრება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში არა მარქსისტულია, სამაგიეროდ ძალზე ახლოს დგას ე. წ. „პატრიმონულ“ თეორიასთან, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობას.

როგორ ესმის ილია ჭავჭავაძეს სახელმწიფოს არსი, მისი დანიშნულება? მწერლის აზრით, სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულებაა მის მკვიდრთა მშვიდობიანად ყოფა, ცხოვრება, საზოგადოების წევრთა დაცვა. ამ მხრივაც ემიჯნება ილია მარქსისტულ თვალსაზრისს.

ძალზე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი სახელმწიფოს ფორმების შესახებ.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო წყობილების ფორმებზე მსჯელობისას უპირატესობას მარტივ სახელმწიფოს ანიჭებს. მისი აზრით, ერთ სახელმწიფოში ერთი ერის ხალხი უნდა ცხოვრობდეს. მაგრამ ილია ცნობს წყობილების მიხედვით რთულ სახელმწიფოსაც; მაგრამ იმ პირობით, რომ მასში შემავალ ეროვნულ ერთეულებს უნდა ჰქონდეთ უფლება თავისი საქმეების მართვა-გამგეობისა. ილია ეხება პრობლემას; როგორ უნდა მოეწყონ — მორიგდნენ ერთმანეთში საკავშირო სახელმწიფო და მასში შემავალი ეროვნული თუ კოლონიური ერთეულები? ამ საკითხის გადაჭრაში ხედავს მწერალი რუსეთის სახელმწიფოში შემავალ საქართველოს მოწყობის გზას. ილიას აზრით, რესეთს უნდა ჰქონ-

11. იხ. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ., 1977., ასევე, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბ., 1983.

დეს ფულის მოჭრის და გამოშვების, შეიარაღების, თავდაცვის, ფინანსების, გზების (რკინიგზების) და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები, ხოლო საქართველოს — ადგილობრივ მნიშვნელობის საქმეთა გამგებლობის ფუნქცია. ამას უწოდებს თვითმმართველობას. მისი აზრით, თვითმმართველობის განსაზღვრა, დადგენა ძალზე ძნელია: „ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზე ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფოს საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობას, და საზოგადოებრივ კი — ადგილობრივ საზოგადოებას. ამ ორთა შუა ნამდვილი ზღვრის პოვნაც ძნელია, იმიტომ, რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი-ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან“.¹² საბოლოოდ ილია კონკრეტულ პასუხს მაინც ვერ იძლევა, იგი ზოგადად აღნიშნავს: „რაც სახელმწიფოს საერთო ვითარებას არ შეადგენს, იგი თვითმმართველობის უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოვლის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე. ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა ცხოვრებთა შორის განმანაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგის და წესის დამწყობია, მისი ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია... აქედან ჩანს, რომ თვით მმართველობა, ერთის მხრივ, ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრივ — უმაღლესი მთავრობის ხელისუფალი ორღანია“.¹³ ილიას აზრით, თვითმმართველობის შემოღება ყველა სახელმწიფოში შეიძლება.

მმართველობის მიხედვით ი. ჭავჭავაძე იცნობს დემოკრატიულ და ანტი-დემოკრატიულ სახელმწიფოებს: „თვითმპყრობელობითი, მონარქიული, წარმომადგენლობითი თუ რესპუბლიკური...“¹⁴ ილია ჭავჭავაძე სიმპათიითაა განწყობილი დემოკრატიული რესპუბლიკისადმი.

ილია ჭავჭავაძეს საინტერესო მოსაზრებები გააჩნია სამართლის შესახებ. ილიას აზრით, სამართალი არ არის ადამიანის ნებით განპირობებული მოვლენა. იგი ცხოვრებამ განაპირობა, წარმოშვა. ილია იხილავს ინგლისელი მეცნიერის მოსაზრებებს ამ საკითხზე, ეყრდნობა მას და წერს: „რჯული კანონი ადამიანის თვითნებობისაგან კი არ არის წარმოდგენილი, არამედ რომელთამე ეკონომიური მოთხოვნისაგან ერთის მხრივ და მეორე მხრით, იმ სამართლის მცნებისაგან, რომელიც წარმომდინარეობს ზნეობრივისა და რელიგიურის კრძალისაგან, ეგ მოთხოვნისაგან, ეგ იდეები, ეგ გრძობანი — ყველგან ერთი და იგივენი იყვნენ და ერთნაირად მოქმედებდნენ ყველა საზოგადოებაზედ, მის განვითარების რომელსამე ხანაში, ხოლო არა ყველა ერი მიდიოდა ერთსა და მათვე ბეჯითი განვითარების გზაზედ“.¹⁵ ილია ჭავჭავაძე არაერთგზის მიუთითებს, რომ სამართალი ცხოვრებიდან „მომდინარეობს, კანონის სათავე ცხოვრებაა“. მაგრამ რა არის სამართალი ილიას აზრით? არის თუ არა იგი გარკვეული ძალა სამართლის და სამართლიანობის დასამყარებლად? ამ კითხვაზე ილია დადებითად პასუხობს. მისი აზრით, სამართალს არ უნდა განსაზღვრავდეს ძალა, ძალმომრეობა, არამედ სამართალი თვითონ უნდა იყოს ძალა სამართლის დასამყარებლად.

12. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6., გვ. 38.

13. იქვე, გვ. 41.

14. იქვე, გვ. 42.

15. იქვე, გვ. 144-145.

ილია ჭავჭავაძე იცნობს როგორც პოზიტიურ სამართალს, ისე ბუნებით სამართალს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პირველი უნდა განისაზღვრებოდეს მეორით — ბუნებითი სიმართლით.¹⁶

ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებებიდან ყურადღებას იპყრობს მოსაზრებანი ადათისა და ადათობრივი სამართლის შესახებ.

ილია აკვირდებოდა და სწავლობდა ხალხის ადათ-ჩვევებს, ადათ-ჩვევები, მისი აზრით, დაუწერელი სამართალია, რომელსაც ზოგჯერ უპირატესობაც კი აქვს კანონთან შედარებით. ზოგჯერ ადათ-ჩვევები უფრო ეფექტიანია ზოგიერთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად: „ჩვეულება ერისთვის იგივე რჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი. ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტი საჭიროების დანამატი და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა“.¹⁷ მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძე არ მიდის ადათების იდეალიზაციამდე და საერთო ჯამში მასთან შედარებით კანონებს ანიჭებს უპირატესობას. „დაწერილი კანონი... არას მიიწებებს, არას აიკრავს ზედ“, ჩვეულება კი ამისგან თავისუფალი არ არის. ილიას აზრით, ჩვეულებით სამართალს ვერ კიდეც დიდი სამოქმედო ასპარეზი აქვს, რადგან ხალხმა ვერ კიდეც არ იცის კანონები, ამიტომაც, რომ სასოფლო სასამართლოებში სოფლის მსაჯულები ადათებითა და ჩვეულებებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს.

ძალზე ღრმააზროვანი და საინტერესო მოსაზრებები გააჩნია ილიას მართლმსაჯულების შესახებ. ილიას აზრით, „სამართლის ქმნა“ მთელი ერის განწმენდილი სინდისია, განწმენდილი ნამუსია“. ილია ქადაგებს საქმის ობიექტურად განხილვის აუცილებლობას. იგი ზომ პრაქტიკულად მუშაობდა მომრიგებელ მოსამართლედ. ილია წერს, რომ ადამიანთა საზოგადოებას არ შეუძლია იცხოვროს „სამართლის ქმნის“ გარეშე. „მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი იმისთანა არსებითი საჭიროებაა, ურომლისოდაც ერთი დღე არ შეუძლიან იცხოვროს ქვეყანამ და ერმა. ვერა ურთიერთობა ადამიანისა, ვერა კრებული მისი ერთ დღესაც ვერ გასძლებს უიმისოდ. ან როგორ უნდა გასძლოს, როცა სამართლის ქმნა ერთი იმისთანა აუცილებელი, ყოვლად ძლიერი მოქმედებაა, რომელზედაც დამყარებულია მთელი სასოება და იმედი მშვიდობით მყოფობისა, ადამიანის ღირსებისა, სახელის, ოჯახის და ქონების სარჩელისა და მფარველობისა“.¹⁸

მართლმსაჯულების განხორციელების საკითხზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო წარმოების ენას. ილია ხმამაღლა აცხადებს: სამართალწარმოება უნდა ხორციელდებოდეს ეროვნულ ენაზე. დიდი ქართველი ეროვნული დემოკრატი მკაცრად აკრიტიკებს საქართველოში სამართალწარმოებას რუსულ ენაზე, ისე რომ, არც მოსამართლეს და არც პროცესის სხვა მონაწილეებს ერთმანეთისა არ ესმით.

სამართალწარმოების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ილია ჭავჭავაძის მოსაზრებანი სამართლის ახსნა-განმარტების შესახებ. ილიას აზ-

16. უფრო ვრცლად იხ. ვ. მეტრეველი, ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ., 1977, გვ. 78.

17. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 154.

18. გაზ. ივერია, 1894, № 251, გვ. 2.

ილია ჭავჭავაძის პიროვნების პატივისცემისა და ღირსების დაცვის შესახებ

ილია ჭავჭავაძის — დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, რედაქტორ-გამომცემლის და იურისტის — საოცრად მთლიანი, მრავალდონიერი მოღვაწეობა ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის ღრმა ჰუმანური იდეებითაა გამსჭვალული.

ილიასათვის პიროვნების პატივი და ღირსება უმაღლესი სოციალური ღირებულებანია.

პატივი და ღირსება „ადამიანის უპვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს“¹ და დაცულია იგი ყველასა და თითოეულის ხელყოფისაგან.

„დიდი მოძღვრება ადამიანის ხელშეუხებლობისა“ (9, 303) კაცობრიობის უპვირფასესი მონაპოვარია.

აქ იგულისხმება „განა მართო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატყ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად“. (9, 270).

რაც დაუმსახურებლად ჩრდილი არავინ არ უნდა მიაყენოს, თავმოყვარეობა არ უნდა შეუღახოს, მით უფრო ადამიანის გაქვლევის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს.

„სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილობელი, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უპვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს!“ (3, 260). ეს უკლებლივ ყველა ადამიანს ეხება და არ არსებობს რაიმე გამონაკლისი, როცა შეიძლებოდა კაცის ღირსების დამცირება. ეს დაუშვებელია თვით ავზაკის მიმართაც კი, რომელიც „უკვე წამოსკუპულია დამნაშავეთა სკამზედ და მსჯავრი მის მიერ შეგინებულის სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის“ (8, 253). სწორედ ამიტომ, მითუმეტეს მართებთ ადამიანებს უფროთხილდებოდნენ სხვის ღირსებას, ისევე როგორც სხვის პატივის, ვიდრე „ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის სავენებლად ხმარობს“ (5, 168). უღირსად, უკადრისად ხსენება მართალი კაცისა, დაუშვებელია, მაგრამ სიმართლის თქმასაც წინდახედულება და გულდინჯობა სჭირდება. ეს ადვილი როდია. სათაკილო ქცევის გულდვარძლიანი უშვერობითა და გამეტებული ჯიქურობით ძაგება ჩვეულებრივ უტიფრობაში ვადაიზრდება ხოლმე, და მას გამოუსწორებელი ზნეობრივი ტრავმა შეუძლია მიაყენოს პიროვნებას.

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. (1951-1961), ტ. 9, გვ. 270. პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. შემდეგ ამ გამოცემის მიხედვით ტექსტებშივე უთითებთ ილიას ნაწარმოებებზე — ფრჩხილებში პირველად მითითებულია ტომი, შემდგომ — გვერდები.

ილიას ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ჩანაწერში ვკითხულობთ: „საბუთიანად ავად ხსენება კაცისა კიდევე შესაწყნარებელია, თუმცა აქაც არაბრიყვი და სწორდელი კაცი კინტოურ ლექსიკონის ხმარებას უნდა ერიდებოდეს“.²

მაშასადამე, საბუთიანადაც არ არის ადვილი ავადხსენება კაცისა, იგი მხოლოდ შესაწყნარებელია, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ილია ადამიანებს შორის ურთიერთობაში პირმოთნეობას ახალისებდა? სრულიადაც არა, იგი მთლიანად ემიჯნება ამგვარ ყალბ დამოკიდებულებას და ადამიანთა შორის ურთიერთობის შესანიშნავ მაქსიმას გვთავაზობს: „პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს. ეგ პატივისცემა კი არ არის, ეგ შეურაცხყოფა იქნება. ცუდია თავისი მეცნიერების შემაგინებელი, ადამიანის მოლაღატეა ის ექიმი, რომელიც სხეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო“.

არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და აღიარებს“ (3, 260). სიმართლის ამგვარად თქმა დიდი ხელოვნებაა. ეს მხოლოდ ზაშინ ხერხდება, თუ დარწმუნებული ხართ მომხდარი ფაქტის უტყუარობაში, პირის საქციელის დაგმობის აუცილებლობაში და როცა „გამხელა და გაკიცხვა წუხის დადების საზღვრებს არ უნდა დასცილდეს“ (3, 264).

ილია ჭავჭავაძემ, კაცობრიობის ყველა დიდ ჰუმანისტებთან ერთად, აღიარებს, რომ პიროვნების ნებისმიერი ქცევა კეთილსინდისიერი ქცევაა, თუ ჩვენ უცდილოდ არა ვართ დარწმუნებული საპირისპიროში: ყოველი ეჭვი უნდა წყდებოდეს დაზარალებულთა სასარგებლოდ და ილია აქვე შესანიშნავად აყალიბებს არაბრალეულობის პრეზუმფციას, როგორც სოციალური სამართლიანობის განხორციელების აუცილებელ პირობას.

„ვარაუდობით განკითხვა ადამიანის სინდისისა და ჩირქის მოცნობა დიდი უკადრისობაა და, კიდევე ვიტყვი, ადამიანის პიროვნების უფლების სრული უარყოფაა. ეს არ უნდა ეპატიოს არავის, ვინც კი ამაში დამნაშავედ აღმოჩნდება“ (5, 169). მართლაც ღვარძლიან ეჭვიანობას ბევრი ვნება მოუტანია. მხოლოდ უცილობლად, უტყუარად დადგენილი გარემოებანი იძლევა საფუძველს პირის ბრალეულად გამოცხადებისა, სხვანაირად მარტო თვითიმედოვნება, რომ რაც თქვენ უტყუარად გეჩვენებათ, სინამდვილეა, საკუთარი უცოდველობის გაზვიადებული რწმენა, შეიძლება სხვადასხვა გაუგებრობისა და გადაცდომის წყარო გახდეს. ილია მოუწოდებდა პრესის წარმომადგენლებს: მანამდე ნუ იჩქარებენ გამოქვეყნებას, ვიდრე სრულად არ დარწმუნდებიან აღნიშნულის სინამდვილეში. ერთი პერსონალური კაზუსის გამო ილია წერდა: „მინამ საქმე გამოძიებული არ იქნება, ძნელია კაცმა იკისროს ბრალი ვისმე დასდოს“ (8, 67) და კადნიერება იქნება დავასწოთ გამოძიებასო.

აქ მუდმივი კითხვა იბადება: შეიძლება თუ არა ჟურნალ-გაზეთი არ ეხმარებოდეს მტკივნეულ და საჭირობოროტო ცხოვრებისეულ მოვლენებს, ანდა ზედმეტად აგვიანებდეს მათ შესახებ ინფორმაციას. ილიას აზრით, ჟურნალ-გაზეთს „ხელშეუხებლად ვერ გადაურჩება“ (3, 260) ცხოვრებისეული, საჭირობოროტო საკითხები საზოგადოებისა თუ ცალკე პირისა, მაგრამ ყოველთვის,

2. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, № 88 (88-17-19).



ყველასა და თითოეულის მიმართ „პატივისცემა ღელა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველთვის რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა“ (3, 260). ეს იმისთვისაა აუცილებელი, რომ ოდნავი ჩირქი არ უნდა მოეცხოს დაუმსახურებლად პიროვნების ღირსებას, რომ „უსამართლო განაჩენმა არავის შეუბღალოს ადამიანური ღირსება და ადამიანური პატივი განზრახ, თუ განუზრახველად“ (8, 222).

ილია ჭავჭავაძე როგორც იურისტი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, როგორც მწერალი და პუბლიცისტი თავის მოღვაწეობაში განუზრებლად ახორციელებდა ამ მოთხოვნას. სწორად აღნიშნავდა იონა მეუნარგია: „როგორც რედაქტორს ილიას მუდმივ ერთი აზრი აქვს: გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთ „დროების“ განუჩევლობით. სხვის პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდა, რომ თვითონ უმართებულოდ ეხსენებინა ვინმე სხვის გაზეთში“.³

მას გულს ტკენდა გაზეთის ან ჟურნალის გადაქცევა პიროვნების სახელის წახდენის თავისებურ მანქანად.

იმ დროს, როცა საჭირო და აუცილებელია მწვავე, საპაექრო წერილის გამოქვეყნება, ილია მოუწოდებს თავის გაზეთის თანამშრომლებს, რომ ისინი ნუ მიეცემიან თვითიმედოვნებას, რომ მრავალტირაჟიანი ცალებით ჩაახშობენ ადრესატის უსამართლო წყენას და პასუხის გაცემის ინტერესს დაუკარგავენ მას.

საინტერესო მოგონება დაგვიტოვა „ივერიის“ უაქტიურესმა თანამშრომელმა არტ. ახნაზაროვმა, რომელიც ხშირად წერილებს „ჩიორას“ ფსევდონიმით აქვეყნებდა: „გმაწვილებო, გაზეთის ფურცლებზე საპოლემიკო წერილით გამოხვლა იგივე ბრძოლა არის, ომია და ვიდრე ასეთ ომს დაიწყებდეთ, საკამათო საგანი კარგად უნდა შეისწავლოთ, გაითვალისწინოთ თქვენს მოწინააღმდეგეს და მოკამათეს რა პასუხის გაცემა შეუძლიან და იმის პასუხსაც ამთავითვე პასუხი მოუშადეთ. ერთი სიტყვით გარშემო ზარბაზნები უნდა შემოიწყოთ და ბრძოლის ველზე ისე განვიდეთ“.⁴ სხვანაირად პრესის ამოფარებით შეიძლება გამოვიდეს ძმაბიჭური მიკერძოება და უწმინდური ანგარიშსწორება მართალ პიროვნებასთან იმის დავიწყებით, რომ „ადამიანის ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე“ (10, 81). 1905 წელს ილია იწონებდა „ივერიის“ რედაქციის იმ გადაწყვეტილებას, რომ „პრესა ადამიანის სათელავად არ გაიხდით განუკითხველად“.⁵


ილიას დაუშვებლად მიაჩნდა პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფა. მოითხოვდა შეწყნარებას იმ დროსაც, როცა ცნობების გამაჟრცელებელი პირი მოქმედებდა ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე, ანდა როცა შეცდომა მოუვიდა გაუფრთხილებლობით, ან კიდევ თვით გულმართლობითაც. მასასადამე, შეცდომა უნდა გასწორდეს ყველა შემთხვევაში, სულ ერთია, რა წყაროც უნდა ჰქონდეს მას. ამ თვალსაზრისით ნიშნულია ილიას დამოკიდებულება სოფრომ მგალობლიშვილის ჟურნალისტურ შეცდომებისადმი.⁶

3. იონა მეუნარგია, ქართული მწერლობა, 1941, II, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. 199.

4. არტ. ახნაზაროვი, ილია ჭავჭავაძე და მისი დრო (მოგონება), თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 298.

5. იხ. ფილიპე გოგიჩაიშვილი, ორი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის და ჩემი ნაცნობობის დროიდან, „მნათობი“, 1962, № 12, გვ. 177.

6. დაწერილებით იხ. სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 133-145.



სოფრომ მაგლობლიშვილი ილიას „ივერიის“ მეტად ნაყოფიერი, პატივი საცემი და სასურველი თანამშრომელი იყო. 1887 წლის მაისში მის მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებულმა კორესპონდენციამ სრულიად დაუმსახურებლად შებღალა ერთ-ერთი მოქალაქის ღირსება. ამით დიდად შეწუხებული „ივერიის“ რედაქცია, 1887 წლის 4 ივლისს აქვეყნებს მეთაურ წერილს და პრინციპულად ემიჯნება იმას, რომ „ერთს საზიზღარ ცოდვაში, ჩვენ, ჩვენდა უნებურად მონაწილეობა მივიღეთ“.

სოფრომ მაგლობლიშვილი ითხოვს დაიწეროს ის, რომ რაც მოხდა, ამაში მის მხრივ არავითარი განზრახვა არ ყოფილა. ამ გარემოებას ხაზს უსვამს სოფ. მაგლობლიშვილი მარტო იმისათვის კი არა, რომ ახსნას მომხდარი ფაქტი, არამედ იმისათვის, რომ გაამართლოს მომხდარი ფაქტი. იგი აღშფოთებით წერდა: „როცა „ივერიის“ მეთაური წავიკითხე საშინლად გამაოცა, გამაოცა იმიტომ, რომ ის რედაქცია, რომელიც ჰქადაგობს მაღალ ზნეობას, ნამუსსა და პატიოსნების დაცვას; მე დანით მკლავს, ისეთ შეურაცხყოფას მაყენებს, რომელსაც სახელი არ მოეძებნება არა რომელსამე ლექსიკონში, ბრალსა მდებთ იმისთანა საქმეში, რომელშიც არც ზორციით და არც სულით არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის.“

როგორა ჰგონია რედაქციას, განა მე იქნამდის ნამუსზე ზელ-ადებული, იქნამდის ტვირდაბნეული, იქნამდის დაუნდობელი ვარ, იქნამდის არ ვაფასებ ძმობას, მეგობრობას, ჩემთვის ძვირფასს ადამიანებს, რომ განზრახ ჩავიდენდი იმ საქციელს, რომელშიაც რედაქცია ბრალსა მდებს“.

ილიას პასუხი არავითარ ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ არაფრით არ შეიძლება პიროვნების ღირსების შელახვის გამართლება, მათ შორის იმითაც, რომ ცნობის გამავრცელებელის მხრივ განზრახვის არარსებობაა. ილია სოფ. მაგლობლიშვილს სწერდა: „მე ყოველს ეჭვს გარედ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამისთანა განზრახვა არა გქონიათ, მაგრამ მით შეცდომა შეცდომად ჰრჩება და მე ჩემდა უწმიდეს მოვალეობად ვიცან საქვეყნოდ გამომეცხადებინა, რომ ჩვენს გაზეთს იმ ყოველად მყრალს პასკვილთან არავითარი კავშირი არა აქვს და თუ ჩვენს გაზეთში მისი ხსენებაა, ეგ ჩვენ არცოდნით მოგვივიდა“ (10, 122).

ბოდიშის საქვეყნოდ მოხდა, ილიას ღრმა რწმენით, აუცილებელია ამ ვითარებაში, რამდენადაც „განზრახველი და უნებური დანაშაული“ მაინც დაწაშულია, როცა სხვის ღირება დაუმსახურებლად ილახება, სულერთია მოუფიქრებლობით და არა განგებ, რათა „გუმანსაც კი თვისის ბრჭყალით არ გაეკაწრა წმინდა სახელი გაზეთისა“ (10, 123). ილიას ღრმად სჯერა, რომ ამ დროს ავტორი განსაკუთრებულად უნდა ფრთხილობდეს, ვინაიდან „ამისთანა შემთხვევაში გადაჭარბებული სიფრთხილე სჯობია წინდაუხედავს სითამამეს“ (10, 123). აქ გულისხმობს გარჩევა იმისთვისაა აუცილებელი, რომ ადამიანის პატივი და ღირსება არც ერთ შემთხვევაში „ჭორის სათამამო ბურთად“ არ უნდა გახდეს (10, 124).

როგორც ყოველი უფლება, ბეჭდვის თავისუფლებაც, ილიას გაგებით, განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებს, რომლის იქით იგი შეიძლება თვითნებობად იქცეს და სრულიად დაუმსახურებლად შეიწიროს პიროვნების პატივი და ღირსება, მართალი პირი შეიძლება აღმოჩნდეს გაწბილებული და შეგინებული, ამიტომ ერთია, ინფორმაციის მიღების უფლება და მეორეა, საჩოთირო ცნო-

7. იხ. ი. ბოცვაძე, ილია ჭავჭავაძე — წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობათა და შენიშვნებით, 1949, სოხუმი, გვ. 174.



ბისმოყვარობა; ჟურნალისტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ის, რომ მისი უფლება იქ მთავრდება, სადაც მოქალაქის პირადი ცხოვრების საიდუმლოება იწყება, რომელიც თვითონ ამ პიროვნების ნების გარეშე არ უნდა გააშკარავდეს და არ შეიძლება სათრევი და სალანძღავი გაზდეს სხვების წინაშე. ყოველთვის სათაკილო საქციელია ადამიანის ამგვარი დამცირება.

ასზე მეტი წლის წინათ 1882 წელს ილია მწვავე გულისტკივილით წერდა: „როცა კაცზედ ვისამეხედ სჯა და ლაპარაკი მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სინდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ“.

ილიას ყველაზე მტკივნეულად ის მიაჩნია, რომ იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში ამგვარ საქციელს კარი აქვს ღია და შედეგად ზდება უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზედ და „მისის განზრახვის, სინიდიის და გულისნადების თავისებურად ჩხრეკა და აქოთება — ისე გვეადვილება არამც თუ შინაურს ლაპარაკში, არამედ საჯაროდ ჟურნალ-გაზეთებში, რომ თითქოს ბაკლა და ისანახი ცოს. ყოველს ჩვენგანს სხვისი გული, სხვისი სინდისი დაუწერელ ქალაქად იაჩნია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა სწერს“ (5, 167).

ილიას ბასრი კალამი დაუნდობელია საჩოთირო ცნობისმოყვარეთა მიმართ, რომელთაც მწვავე სენსაციებით უნდა გააკვირონ მკითხველი, არაფრად უღირთ ქურდულად შეეპაროს ადამიანს მის სახლში, ჯაშუსავით ბოძს უკან აეტუზონ, „აცა იქნება მიზეზი რამ მამცეს, სამარცხვინო ბომზედ გავაკრა და თავზედ ლაფი დავასხაო“ და 1886 წელს ილია წერდა, როცა ამგვარი უკადრისი ქცევა ავტორისა აღმოიფხვრება ჩვენს, ეგრეთწოდებულს, ლიტერატორს, „საკბილო პირიღამ გამოეცლება და უშვერის წერასა და ბლაჯნისათვის გზა შეეკვრას, თავის უხეირო შეილდისარს ძირს დასდებს, გამოეთხოვება ლიტერატორობას და თავისი ჭკუისა, ცოდნის, მართებულობის და ზრდილობის შეაფერის სხვა თანამდებობას და საქმეს მონახავს“ (8, 248).

ყველაზე ცუდია, ილიას აზრით, როცა გამკიცხველი ჩასაფრებულია, ბოროტი სიხარულით ნიშანში იღებს და ჩხრეკს მხოლოდ ცუდს, კარგს განზრახ არ ხედავს — ღვარძლიანი გულისნადების ყოველი ამგვარი გამოვლენა, შხამავენ ატმოსფეროს, მხოლოდ სიძულვილს და ფუჭ აფორიაქებას იწვევენ.

ილია მძლავრად ილაშქრებს ბეჭდვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. მის აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, როცა პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს „აღვირმისშეებული ვარჯიშობა კალმისა თუ სიტყვისა“. ილიას სწამს, რომ ჭუჭყიანი სიტყვა, მის დამწერსა და წარმომთქმელს არცხვენს. 1887 წელს ილია ასე შოლტავდა ამგვარი საქციელის მოყვარულთ: „ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელზეც აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბურებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრეს უწმინდურობისა და ჭუჭყისა“ (8, 253). ილია ითხოვდა მოპაექრეს ღირსების მიმართ პატივისცემის დამოკიდებულებას. სწორედ ამიტომ 1883 წელს იგი გულმართალი გაკვირვებით კითხულობდა: „არ ვიცი, რათა გვეონია ხოლმე ბრძენი და სულელნი ყოველნი სინი, ვისზედაც ლაპარაკის ჟინი მოგვივა, ანუ ვისაც დრო და ჟამი საკამათოდ პირში მოგვცემს ხოლმე... აქ უთანხმოების მიზეზი ერთის ჭკუა კი არ არის და მეორის სისულელე, ერთის თვალზილულობა და მეორის სიბრმავე, არამედ სხვა რამ, რომელსაც პატივისცემა უნდა, ესე იგი, ღრმად დაკვირვება გამოჩხრეკა და სხვა არა რა“. (5, 312).

წინასწარ მოუკითხავად, „კბილის გაუსინჯველად“, გაზეთის ან ჟურნალის

მიერ პატიოსანი პიროვნების ლაფში ამოსვრა ბეჭდვის, პრესის თავისუფლება კი არ არის, არამედ, წერდა ილია 1905 წელს, „ბოროტად ხმარებას იმ გავრცელებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შესაძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც კი ქედს იხრან სასოებით და მოწიწებით“ (9, 271).

ყოველად დასაძრახისია, როცა გულზე მოწოლილი საძაგელი საწადელისათვის ასპარეზად პრესა გამოყენებული. 1885 წელს ილია მძვინვარებდა: „ლანძღვა-თრევა გოგო ბიჭების ჩალურშიაც საზიზღარია და გარეთ, მთელი ერის, მთელის ქვეყნის მოვლანხედ რაღა თქმა უნდა!“ (3, 263). ილიამ კარგად იცის, რომ ბეჭდვის თავისუფლების აღვირმომშვეებულ უკადრისობას მრავალი კონფლიქტი გამოუწვევია და გამოუსწორებელი ზნეობრივი ტრავმები და ტანჯვა მოჰყოლია. ამიტომაც ბეჭდვის თავისუფლება მისთვის არ არის ღირსების შემლახველი უზნეო მოქმედების თავისუფლება. მით უმეტეს შეურიგებელია იგი იმ უპასუხისმგებლო ავტორთა მიმართ, რომლებიც ცინიკურად არ მალავენ თავიანთ უსაქციელობას. სწორედ ამის გამო ამბობდა ილია, რომ „ურცხვობა“ ყველა დანაშაულზე მძიმეაო (8, 21). კრიტიკა, ილიას აზრით, არ უნდა იყოს შეფარული ღვარძლითა და შხამით, ვინაიდან „კრიტიკა მართლმოყვარე გამოძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი“ (4, 80). თვითონ ილია იძლეოდა სწორედ ამის ნიმუშს. კარგად წერს გრ. კიკნაძე, რომ „ილიას დაცინვა არასდროს არ გადასულა ნიშნის მოგებისა და ღვარძლიანობაში. ამით ამაღლებულა კიდეც და შეუნარჩუნებია ესეთიკური ღირებულება ილიას სატირას“⁸, ეს ასევე ეხება მის პუბლიცისტიკასაც.

უპირველესი მოვალეობა ავტორისა ისაა, რომ ყოველთვის წეროს სიმართლე (ყველაზე საძრახისია, როცა შეგნებულად არ პოულობს იგი სიმართლეს), ყოველ შემთხვევაში თვითონ ავტორი ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული, რომ რასაც წერს, სიმართლეა. სხვანიარად, თვითონ უნდა ისწრაფოდეს შეცდომის გასწორებას. შეცდომის ნებაყოფლობითი გასწორება უდიდესი სიკეთეა. ამ გზით შეიძლება მრავალი წყენის გაქარწყლება, წყენისა, რომელიც მართლაც გამხდარა მრავალ ჭირთა ბადე. ბოდიშის მოხდა ამ დროს ყველაზე ნაღდი და მოსაწონი გზაა წყენის შედეგების აღმოფხვრისა.

გავიხსენოთ, „მაგებთან“ მწვავე დავის დროს, ახალგაზრდა ილიას არა მარტო მიუღია უფროსი თაობის სწორი მინიშნება შეცდომაზე, არამედ ამისათვის მას ბოდიში მოუხდია „საქვეყნოდ“ (3, 51). ამით არა თუ არ შელახულა ილიას ავტორისეული თავმოყვარეობა, არამედ ამაღლებულა კიდეც მთელი მისი დანარჩენი მტკიცების უტყუარობის რწმენა.

ილიასათვის უდავოა, რომ დაუმსახურებლად გაკრიტიკებულ პირს, მით უფრო უსამართლოდ გაწბილებულს და შეგინებულს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავის მართლების შესაძლებლობა, ზეპირად თუ წერილობით „უარყოფის უფლება“.

ყოველივე ეს, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკული ან მით უფრო, ღირსების შემლახველი წერილის ავტორს მოქმედების შეუზღუდველი თავისუფლება ჰქონდეს და რაც მოესურვება ის წეროს შეუძომწმებლად და უსაბუროდ, წინასწარ მოუკითხავად ლაფში ამოსვაროს ადამიანის პატიოსნება და ღირსება, იმის გამოურკვევლად ვინ მტყუანია და ვინ მართალი: „რედაქციის კალამი ნიჩაბი ზომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისი ან სხვისა სახელით“ (9, 271).

8. გრ. კიკნაძე, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, 1978, გვ. 275.

ავტორის ამგვარი უკადრისი ქცევის შემდეგ, აღნიშნავს ილია, რჩება შესაძლებლობა პირთ პასუხის გაცემისა ისევ ბეჭდვითვე, მაგრამ მიუტყვებელ შეცდომას დაუშვებდით, თუ პრესის ასეთ უსაქციელობას ვადიდებდეთ ბრმად და განუსჯევლად. მართალი კაცი „პასუხის საგებლად მოედანზე გამოსჭიმოს“ (9, 274), იმის იმედით, რომ თუ უსაბუთოდ და უსამართლოდ შელახულია მისი ღირსება და თვითონვე პრესის გზით თავი იმართლოს.

ამ ძნელ ვითარებაში, თავის მართლებისას მძიმე ტვირთი არ უნდა დაეაქსროთ პატიოსან კაცს.

სამართლისა და ეთიკის მდიდარი ჰუმანისტური საწყისების ღრმა ცოდნით ილია ჭავჭავაძე წერდა 1905 წელს: „ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინო ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიად, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხოება იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება“. ეს ყოველად შეუწყნარებელია დაუშვას ბეჭდვით-სა სიტყვამ, „თორემ აქ ადვირის მიშვება და სადავეს მიგდება კარის გაღებაა იმ ერთგვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს ეძახიან“ (9, 272).

მრავალჯერ თვითონ ილიას წინააღმდეგ თქმულა ცილი, ბეზლი, ლანძღვა. მას მძლავრად უპასუხნია, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ამ არათანაბარ ვითარებაში, როცა „მაბეზლარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზლებული — კი იარაღ-აყრილია“ (8, 8), ძნელი გასახორციელებელია სიმართლის აღდგენა. ამიტომაც წერდა იგი 1905 წელს: „თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ბეჭდვითვე, ეს ადვილად სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელიც ასასრულებლად“ (9, 274). ამ იმედით წახალისებული ცილისმწამებელი შეიძლება არ მოერიდოს სრულიად მტკნარ სიცრუეს, სახელდახელოდ მოფიქრებულ უწმინდურ გარემოებას, სახელგამტეხ უსაქციელობაზე მითითებას, რომ ნიშანში ამოღებული პირის ზნეობრივ ავლადიდებას ზიანი მიადგეს და შერცხვენისა რაღაც კვალი მაინც დარჩეს.

ამ ვითარებაში კითხულობს უწმინდური ჟინით დაბეზლებული თვით ილია ჭავჭავაძე, „განა აქ ტყუილის დამტკიცება შესაძლებელია? რით და რა გზით?.. აქ ცარიელ უარყოფის მეტი ხომ სხვა გზა და ღონეც არ არის, რაკი დამტკიცებაზე მიდგა საქმე, უარყოფა განა დამტკიცება ბრალდების ტყუილისა? უარყოფა პატიოსან კაცისა და აშას კვრა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაიარჩეს ამისთანა შემთხვევაში? (9, 274). ილიას ღრმად სჯერა, რომ ბეჭდვის თავისუფლება მთლიანად გამორიცხავს შეცდომების დაშვების გამართლებას. არავის არა აქვს უფლება უსაფუძვლოდ შერისხოს და ზნეობრივად სტანჯოს სხვა ადამიანი.

რა ბედნიერებაა, რომ ჩვენში, ჟურნალისტის ღირსების კოდექსის შექმნის სათავეებთან, ილია ჭავჭავაძე დგას. ჩვენც ამიტომ ასე უხვად მივმართავდით ილიას მადლიანი კალმით ჩამოქნილ ამ კოდექსის ფორმულებს.





ილია ჭავჭავაძე და კერძო საკუთრების უსილბეგობის კროზლეა

ილია ჭავჭავაძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის წლები დაემთხვა დიდ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნათა ხანას რუსეთში, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. ინგლისმა „სამრეწველო გადატრიალების ხანა განვლო მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და მე-19 საუკუნის პირველ ოცეულში და ის გადაიქცა „მსოფლიო სახელოსნოდ“, აგრარული სამყაროს სამრეწველო მზედ. მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე 1905—1907 წლების რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაშიც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა: გვიანფეოდალური საზოგადოება ბურჟუაზიულ-სამრეწველო სახელმწიფოდ ყალიბდებოდა, ფეოდალურ მონარქიას ბურჟუაზიული მონარქია ცვლიდა. საქართველოც კავკასიის სხვა ხალხებთან აქტიურად ებმებოდა კაპიტალისტურ ორომტრიალში და მასთან ერთად ევროპული იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაშიც. ხოლო ევროპაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დიდი იდეოლოგიური ბრძოლა იყო გაჩაღებული კერძო საკუთრების აუცილებლობისა და მიზანშეწონილების ირველივ.

პრესის შედარებითი თავისუფლება და სწავლების თავისუფლება ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ხელს უმართავდა სოციალისტური, კომუნისტური და ანარქისტული იდეების თავისუფალ გავრცელებას.

პრუდონმა საკუთრება ქურდობად გამოაცხადა. კარლ მარქსმა ქვეყნად არსებული ყველა უბედურების მიზეზად კაპიტალისტური კერძო საკუთრება დასახა და თავისი სოციალისტური მრევლი ასე დამოძღვრა: „კერძო საკუთრების გაუქმება არის ყველა ადამიანური თვისებისა და გრძნობათა სრული განთავისუფლება“. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი სოციალისტურად განწყობილ ადამიანებს არწმუნებდნენ, რომ კომუნისში ემთხვევა ჰუმანიზმს და რომ კომუნისტურ საზოგადოებაში გახდება ადამიანი ნამდვილ ადამიანად და მიღწეული იქნება ნამდვილი ადამიანური ურთიერთობა.

უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისსა და გერმანიაში გამოჩნდნენ სერიოზული მკვლევარები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ძველ კელტებში და ძველ გერმანელებში არსებობდა მიწაზე სათემო-კოლექტიური საკუთრება და მათთვის არ იყო ცნობილი ადგილ-მამულზე კერძო საკუთრება.

მე-19 საუკუნის ორმოციანი წლებში გეორგ ვაიცმა და ჰენრიხ ზიბელმა ნათლად აღწერეს ძველი გერმანული სასოფლო თემი, არქაული აგრარული წყობილება, სატომო-გვაროვნული საკუთრება. აღმოჩნდა, რომ ძველ გერმანელებში, კელტებში და სლავებში უძველეს ხანაში კერძო საკუთრება არ არსებობდა. მაშასადამე, კერძო საკუთრება ისტორიული კატეგორიაა. ის ყოველ-

თვის არ არსებობდა. საკუთრების განვითარების პირვანდელი, საწყისი ფორმა იყო სათემო-საგვარეულო ან სატომო საკუთრება.

1854 წელს გამოქვეყნდა დიდი გერმანელი მკვლევარის გეორგ მაურერის ნაშრომი „სამარკო, საკარმიდამო, საქალაქო წყობილებისა და საზოგადოებრივი ხელისუფლების ისტორიის შესავალი“. მომდევნო წლებში დაისტამბა მისი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაშრომები. 1880 წელს მაურერის ნაშრომები ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულ ენაზეც.

1875 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა ბელგიელი მკვლევარის — ემილ დე ლაველეს ნაშრომი „პირველყოფილი საკუთრება“. რუსულ ენაზევე ითარგმნა ცნობილი ინგლისელი მეცნიერის ჰენრი სომნერ მენის ნაშრომებიც: „დაწესებულიებათა უძველესი ისტორია“, „სასოფლო თემი აღმოსავლეთსა და დასავლეთში“. ილია ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მეცნიერთა მიღწევებს და შეძლებისამებრ ეხმაურებოდა კიდეც მათ.

ცხადია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მთავარ ნაშრომებსა და მათ მოძღვრებას.

გერმანელმა ჰაქსტაუზენმა შეისწავლა აგარარული ურთიერთობანი რუსეთში და მიუთითა, რომ რუსეთში თემი და სათემო საკუთრება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მე-19 საუკუნის ორმოციან წლებშიც.

აღმოჩნდა, რომ ადგილ-მამულებზე სათემო საკუთრება შემონარჩუნებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მხარეში. ილია ჭავჭავაძემ სპეციალური წერილი უძღვნა „კერძო და სათემო მიწათმფლობელობას საქართველოში“.

1884 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა ივ. მაჩაბლის, ზ. გულისაშვილის და ალ. ნანეიშვილის წერილები სათემო მიწათმფლობელობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის მეგობარმა ნ. ხიზანიშვილმა მნიშვნელოვანი სამეცნიერო წერილები გამოაქვეყნა ძველი ქართული ოჯახის, ქართველ მთიელთა შორის შემონარჩუნებული სათემო მიწათმფლობელობის შესახებ. ამავე ხანებში საქართველოს სახელმწიფო ვლუხთა ყოფის მკვლევარებმა კარგად და საფუძვლიანად შეისწავლეს სათემო მიწათმფლობელობა საქართველოში (ი. ბახტაძე, მ. მაჩაბელი, ს. მაჩაბელი, ა. არღუთინსკი და ა. შ.).

ასე რომ, ილია ჭავჭავაძეს შესაძლებლობა ჰქონდა ქართულ მასალებზე დაყრდნობით დარწმუნებულიყო სათემო, კოლექტიური მიწათმფლობელობის რეალურად არსებობაში.

ცხადია, ამ მრავალრიცხოვან მასალებზე დაყრდნობით ილია ჭავჭავაძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიწაზე კერძო საკუთრება ისტორიული კატეგორიაა და რომ მას წინ უძღოდა ადგილ-მამულებზე სათემო, საგვარეულო საკუთრება. მაგრამ აქედან მას არ გაუკეთებია დასკვნა, რომ კერძო საკუთრებამ დრო მოჭამა და რომ მან ადგილი უნდა დაუთმოს სათემო ან სახელმწიფო საკუთრებას.

მეოცე საუკუნის დამდეგისათვის ილია ჭავჭავაძეს ჩამოუყალიბდა მოსაზრება, რომ საერთო ჯამში აღებული კერძო საკუთრება, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეებისა, მაინც უფრო პროგრესული და სასურველი მოვლენაა, ვიდრე სათემო ან სახელმწიფო საკუთრება.

შემჩნეულია, რომ თითქმის ყველგან, სადაც ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო ხელსაყრელი იყო მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო ნარგავების გაშენებისათვის, ადგილ-მამულებზე სათემო საკუთრება აღრე თუ გვიან ირღვეოდა

და დროთა ვითარებაში კერძო მფლობელობა და კერძო საკუთრება ვითარდებოდა.

სათემო-საერთო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში ადგილ-მამულების გადასვლას ხელს უმართავდა მიწათმოქმედების ისეთი სახეები, როგორცაა მევენახეობა, მებაღეობა-მეხილეობა, მებაბრეშუმეობა და ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოშენება, რომლებიც მიწის ხშირი და მოკლევადიანი გადანაწილების დროს ვერ განვითარდებოდნენ.

საქართველოს ცალკეულ მხარეებში მიწების გადამიჯვნის წესი არსებობდა თვით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე. როგორც ერთი ავტორი აღნიშნავდა, „აქ მიწების გადამიჯვნა, თუ მაინც და მაინც აუცილებელი იყო, მაინც იმთავითვე შედარებით გრძელ ვადებში უნდა ეწარმოებინათ. ამასთანავე ცნობილია, რომ გადანაწილების გრძელი ვადა (მაგალითად 15—30 წელიწადი) ერთ-ერთი წინაპირობა იყო, რათა ეს მიწა (ვენახი, ხეხილის ბაღი) მოცემული აომლის მემკვიდრეობით, ხოლო შემდეგ სამუდამო მფლობელობაში, საკუთრებაში, გადასულიყო“.¹

მიწების ოცდაათწლიანი ვადით მფლობელობა უკვე იმის აღიარებაც იყო, რომ მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო ნარგავების (კულტურების) ქვეყანაში კერძო მფლობელობისა და კერძო საკუთრების ტენდენციები თვით საგანთა ლოგიკიდან გამომდინარეობდა.

1880 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „ბირველ-ჟამური მფლობელობა ანუ ხმარება მამულისა — სათემო მფლობელობა და ხმარება იყო. ამისი ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში. ამისი აშკარა მაგალითი ტყისა და საძოვრის სათემოდ ხმარებაა, რომელიც ჩვენს თვალწინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთებრძვის რუსთა კანონების ზემოქმედების გამო და რომლის რწმენაც ჩვენი ხალხის გონებიდან დღევანდლამდე ვერ გამოდევნა თითქმის ოთხმოცი წლის მოქმედებამ მაგ კანონისამ. თითქმის ყოველ სოფელში დღესაც ჰნახავთ ერთს წყობას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემო ხმარებაშია“.²

ილია ჭავჭავაძე „მფლობელობაში“ გულისხმობს ხმარებას, უფრო ზუსტად სარგებლობას ადგილ-მამულისას და მას ეჭვი არ ეპარება, რომ მიწაზე კერძო საკუთრებას დროში წინ უძღოდა სათემო მფლობელობა. ეს აზრი მაშინ ქართველ მოღვაწეთა შორის განმარტებულად კი იყო. ილიას ერთ-ერთ თანამოაზრეს ნ. ხიზანიშვილსაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ წინათ ადგილ-მამულზე კერძო საკუთრების მაგივრად საზოგადო საგვარეულო საკუთრება იყო.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ილიას ადგილ-მამულების სათემო მფლობელობის თანდათან გაქრობა სამწუხარო მოვლენად მიაჩნია. გავაჩინია ცნობები იმის შესახებაც, რომ ძველ საქართველოში სოფელი (თემი) მეტწილად საგვარეულო იყო და რომ „დიდ საგვარეულობას მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნეშიც კი კარგა ხანს საგვარეულო მამულები გაუყოფელი და საგვარეულო მიწისმფლობელობა ჰქონდათ“ (ივ. ჯავახიშვილი).

ცხადია, რომ ისტორიული აუცილებლობა მიწებზე სათემო საკუთრებას ეწინააღმდეგებოდა და არც ის გარემოება, რომ „დიდ საგვარეულოებს“ „საგვარეულო მამულები გაუყოფელი“ ჰქონდათ, არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად.

1. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი I, 1946, გვ. 76.

2. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VIII, თბ., 1928, გვ. 138.



იმ შემთხვევაში, როდესაც ილია ჭავჭავაძე წუხს ადგილ-მამულებზე საკუთრივ საკუთრების თუ სათემო მფლობელობის გაქრობასთან დაკავშირებით, მისი შეხედულება გარკვეულად წინააღმდეგობრივია, რამდენადაც ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ მომავალი მაინც კერძო საკუთრების მხარეზე იყო. ამასთან ერთად, მისთვის ისიც ნათელი იყო, რომ ეს ისტორიულად აუცილებელი და ეკონომიკურად ეფექტიანი კერძო საკუთრება სიკეთეც იყო და ბოროტებაც. კერძო საკუთრება გარკვეულად გულისხმობს მდიდრისა და ღარიბის არსებობას, რომელსაც მეტ-ნაკლებად გამოირიცხავდა სათემო მიწათმფლობელობა. ალბათ მიწაზე კერძო საკუთრების ეს უარყოფითი მხარე ჰქონდა ილიას მხედველობაში, როდესაც სამწუხარო მოვლენად მიაჩნდა საქართველოში კოლექტიური, თეპური მიწათმფლობელობის თანდათან გაქრობა. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში საერთოდ ქართულ პუბლიცისტიკაში გაბატონებული იყო ასეთი, დადებითი შეხედულება თემური მიწათმფლობელობის შესახებ.³

მაგრამ თემური მიწათმფლობელობის რომანტიკულ იდეალად წამოსახვის დრო მალე შეცვალა ანტინაროდნიკულმა იდეებმა და ეს იდეები ეყრდნობოდნენ არა სოციალურ იდეალს, არამედ სოციალურ სინამდვილეს. გაირკვა, რომ დაშლის გზაზე მდგარ გლეხურ თემებში უკვე გაჩენილიყვნენ მდიდრები და ღარიბები, დამქირავებლები და მოჯამაგირეები. ამ უკანასკნელებს ქართულ იურიდიულ წყაროებში „სხვისშვილები“ ერქვათ. მათ არ გააჩნდათ პირუტყვი, ინვენტარი, თესლი და ა. შ.

ილია ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ხალხის ცხოვრების ეკონომიკურ მხარეს და წერდა, რომ „აქამომდე მივიწყებულ ეკონომიკურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვემიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ“.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ქართული და საერთოდ ამიერკავკასიური ვარიანტი თემური მიწათმფლობელობისა საბოლოოდ გაიზიარებდა რუსული თემის ბედს. ეს ასეც მოხდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მიმწუხრზე.

დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ „ოქროს საუკუნე“ და სოციალური იდეალი წარსულში არ უნდა ვეძებოთ, რომ არც საგვარეულო თემი და არც მით უფრო მეზობლური თემი, არ იყო ამქვეყნიური სამოთხე, როგორც ეს შეძლებოდა კაცს მოსჩვენებოდა ერთი შეხედვით.

თავდაპირველად, როგორც დასავლეთ ევროპული, ისე ქართულ და რუსულ თემებზე გაბატონებული უნდა ყოფილიყო დატაცებითი მიწათსარგებლობა. ცხადია, მიწათსარგებლობის ასეთი წესი არ იყო იდეალური და ხშირად იყო ძალადობისა და კონფლიქტის მიზეზი. დატაცებითი მიწათსარგებლობა აღწერილი აქვს თვითონ ილია ჭავჭავაძესაც:

„აქ ვინც პირველად და ყველაზე უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოჰხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს მისია, მეორე წელიწადს სხვა ჰხნავს და ხმარობს“.

სიღნაღის მაზრის მაგალითზე მიწათსარგებლობის ეს წესი აღწერა ა. არღუთინსკიმ. წინასწარ განსაზღვრულ დღეს გაზაფხულის დასაწყისზე დანიშნულ ადგილზე შეიყრებოდნენ თემის წევრი მამაკაცები და მამასახლისის მიერ მი-

3. იხ. გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1946, გვ. 57.

ცემული ნიშნის მიხედვით „ყველანი, ერთბაშად დაიძვრიან სარბენად“ და იტაცებენ და იჩემებენ მიწებს.

ა. არღუთინსკის ცნობით სიღნაღის მაზრაში დატაცების ამ წესის დროს მიწას ორი ან სამი წლით იკავებენ.

ცხადია, დატაცებითი მიწათსარგებლობა ვერ იქნებოდა ეფექტიანი, ინტენსიური წარმოების საფუძველი. ასეთი მიწათსარგებლობა ხელს უშლიდა ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესს. ნ. ველისციხელმა 1889 წელს გაზეთ „მეურნეში“ (№ 24) აღწერა სოფელ პატარძელში არსებული სათემო მიწათმფლობელობა და სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ.

ნ. ველისციხელი ამასთან დაკავშირებით იწონებს ლედი მორგანის მოსაზრებას და თავის სტატიასაც ეპიგრაფად წარუმიძღვარებს მის სიტყვებს:

„მიეცით სალი-კლდე საკუთრებად მიწათმოქმედს და იგი გადააქცევს მას ქვეყნიერ სამოთხედ, მიეცით მას რამდენიმე ნაწილი ქვეყნიერის სამოთხისა მოკლე ვადით, და იგი გადააქცევს მას უდაბნოდ“.

ი. სეგალმა რუსულ ენაზე დაწერა და გამოაქვეყნა ნაშრომი „საგლეხო მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“, ავტორის აზრით, თემურმა მიწათმფლობელობამ როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაში, ხელი შეუშალა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას. ა. სეგელის აზრით, თემურმა მიწათმფლობელობამ როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაში მოჭამა თავისი დრო. მან გლეხებს მოუსპო ინტერესი მიწათმოქმედების წესის გაუმჯობესებისა, რადგან „ქონება, რომელიც მრავალს ეკუთვნის, არსებითად არავის არ ეკუთვნის და მას ასე თუ ისე თავისუფლად იტაცებენ“.

1874 წელს ანტონ ფურცელაძე ქება-დიდებათი იხსენიებდა თემურ მიწათმფლობელობას და ამ აზრს ასე გამოხატავდა: ის ქვეყანა, სადაც არის დაცული მამულების საერთო მფლობელობა, თავის დღეში არ დარჩება უსაზროლოდ და ექნება ყოველთვის ცხოვრების სახსარი.

ხალხოსნური მსოფლმხედველობა და სოციალური იდეალი ხელს უშლიდა ანტონ ფურცელაძეს დროულად შეემჩნია თემური მიწათმფლობელობის ნაკლოვანი მხარეები. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ფეოდალურ საქართველოს სინამდვილეში, გარკვეულ ხანებში, სათემო მიწათმფლობელობამ კარგი სამსახური გაუწია ქვეყანას... ძველმა ქართულმა სამართალმა შემოგვინახა იმ თემური იდეის გამოძახილი, რომ დაუმუშავებელი მიწა საერთო მფლობელობაა, სახალხო კუთვნილება და ამიტომ ყოველი მსურველი უფლებამოსილი იყო დაემუშავებინა იგი.

ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ იქ, სადაც კერძო საკუთრების წარმოშობის დაპყრობით გზას არ ჰქონია ადგილი, გადამწყვეტი როლი პირად შრომასთან ერთად მიწის თავდაპირველმა დაუფლებამ ითამაშა: „მაგალითებერ ვინც ახოს გამოიღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოღებული მიწა კარგა ხნობით. მაგ კარგახნობამ იქამდინ იარა, რომ ახო რჩებოდა კაცს; სანამ ცოცხალი იყო და ბოლოს საშვილიშვილოდაც გახდა“.⁴

ავტორის თქმით, ახოდ გამოღებული მიწები თემის ხელქვეითებიდან გამოდიოდა და სათემო გადასახადისგანაც თავისუფალი ხდებოდა.

თანდათან, როგორც ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, „კერძობრივმა საკუთრებამ დაძლია თემობრივი და ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ თემი, რომელსაც წევრთა რიცხვი ემატებოდა და მიწები კი ხელიდან ეცლებოდა, ვეღარ უძღვე-

4. ილ. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VI, თბ., 1956, გვ. 120-121.

ბოლა გამრავლებულ თემის კაცებს და უმამულოდა დარჩენილს კაცს თემის ვა-
რეთ უნდა მოენახა სახსარი თავის რჩენისა და გამოკვებისა“.

მიწაზე, ადგილ-მამულზე კერძო საკუთრება უფრო გვიან წარმოიშვა მოძ-
რავ ქონებას და პირუტყვზე კერძო საკუთრებასთან შედარებით. საფიქრებელია,
რომ პირველი მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოხდა საკუთრების ელემენტების
თავმოყრა და სინთეზი, ეზო და სასახლო კარმიდამო იყო. ეზო და საერთოდ
სასახლო მიწის ნაკვეთი მიწების პერიოდულ გადანაწილებას არ ექვემდებარე-
ბოდა. ასე სათემო მიწის ერთი ნაწილი, ერთი „კერძი“, ერთი მხარე გადაიქ-
ცევა კერძო საკუთრებად. ასე დაუპირისპირდა „ჩვენს“ „ჩემი“, საერთოს, კერ-
ძო. ძველი ქართული ენის დონეზე გაჩნდა ტერმინი „ჩემება“ საკუთრების, უფ-
რო სწორად, კერძო საკუთრების მნიშვნელობით. საინტერესოა, რომ ილია ჭავ-
ჭავაძე როდესაც საუბრობს სათემო მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლაზე,
ხმარობს „დაჩემებას“ („შეეძლო დაჩემა ახოდ გამოღებული მიწა“).

ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა „განმარტება
აოანეს სახარებისა, სადაც ერთგან „მიჩემოს“ იხმარება მისაკუთრების (შია-
საკუთროს) მნიშვნელობით“.⁵

ილია ჭავჭავაძის ყურადღება მიიპყრო ქართულმა საკომლომატ. მისი აზ-
რით, საკომლო ნიშნავდა „ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს
მამულსა და მამულის უდიდეს ზომისაც. სხვა ადგილას ეს „საკომლო“ სხვადა-
სხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ოცი, ზოგან ორმოცი და
სამოციცა. ამკარად სჩანს, რომ „საკომლოს“ სიდიდე იმაზედ იყო დამოკიდებუ-
ლი — სად რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სახელ-
მწიფო და სასოფლო სამსახურის გადასახდელად“.⁶

ილია ჭავჭავაძის თვალწინ მიმდინარეობდა მიწათსარგებლობის ფორმების
ეეოლუცია თუშ-ფშავ-ხევსურეთში. თანდათან ირღვეოდა ძველი პატრიარქა-
ლური წეს-ჩვეულებები, მიწების სახატო-საზოგადოებრივი მფლობელობა. უკვე
არსებობდა კარისპირისა და საყანე მიწების ფაქტობრივად კერძო საკუთრება.
სახნავი მიწების გარდა ტყეებიც და საბალახოებიც მისაკუთრებული ჰქონდათ
ძლიერ მეკომურთ.

ფშავში გადავარდნამდე მისული სათემო მიწების გადანაწილების სისტემა
„მეორე გამოცემის“ სახით, გლახობის მოთხოვნის შედეგად, განახლდა 1870-
იანი წლებიდან. სახნავი მიწების გადანაწილება აქ კომლობრივად წარმოებდა.
გადასანაწილებელი მიწის საერთო ფართობის ჯამს ჰყოფდნენ მეკომურთა რა-
ოდენობაზე, თვით გადანაწილებას „წილის ვრას უწოდებდნენ“.⁷

ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნის, წინაშე იდგა დილემა — რა სჯო-
ბია ერისათვის: თემური მიწათმფლობელობისა და საერთო სიღარიბის დონეზე
მეთემეთა მეტ-ნაკლები თანასწორობა თუ კერძო საკუთრების შეუზღუდავი გან-
ვითარება, რასაც თან მიჰყვებოდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, გამდიდრება,
მაგრამ მდიდართა კლასის გაჩენაც და მათ გვერდით ღარიბ-ღატაკთა ფენის
წარმოშობაც. ეს პრობლემა ორი ათას წელზე მეტია, რაც მოაზროვნე კაცობ-
რიობას აწუხებს. რომელი გზით ვიართ? ძველი ათენისა თუ ძველი სპარტის?

5. იხ. წმ. იონე ოქროპირი „განმარტება იოანეს სახარებისა“, თარგმანი წმ. ექვთიმე მთა-
წმინდელისა, ნაწ. II, თბ., 1993, გვ. 75.

6. ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 215-216.

7. პ. გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის
შრომები, I, გვ. 36.

დასავლეთ ევროპამ ძველი ათენის გზა, კერძო საკუთრებისათვის სამეფო შარავნის დათმობისა აირჩია.

ფეოდალურ საქართველოს ბარში, ადგილ-მამულებზე კერძო საკუთრების გვერდით არსებობდა ტყეების და სათიბების სათემო მფლობელობა და ზმარება. როგორც ჩანს, კერძო და სათემო საკუთრების ასეთმა შეთანაწყობამ, ინდივიდუალური, საოჯახო და საზოგადო ინტერესების შეხამება შესაძლებელი გახადა. ჩვენი აზრით, საკუთრების ფორმათა ასეთი თანაარსებობის დროს მეტ-ნაკლებად მაინც კერძო საკუთრების პრინციპი ბატონობდა. კლასიკური ფეოდალიზმის ეკონომიკური ფილოსოფია, მისი ეკონომიკური თეორია არსებული ქონების მოხმარება-განაწილების ირგვლივ ტრიალებს. ახალი ეროვნული სიმდიდრის შექმნა ფეოდალური წყობილების დროს დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ კერძო და სათემო, კერძო და სახელმწიფო საკუთრების ფორმათა შეთანაწყობა ილია ჭავჭავაძეს პროგრესულ მოვლენად მიიჩნედა. თუმცა მას ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მიუხედავად რიგი უარყოფითი მხარეებისა, კერძო საკუთრება, როგორც ასეთი, ისტორიის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

მართლაც, მას შემდეგ, რაც საზოგადოების მწარმოებლური ძალები იმდენად განვითარდა, რომ შესაძლებელი გახდა ეკონომიკური ზრდა და ნამეტი პროდუქტის წარმოება, ადამიანთა პირველყოფილი ჯგუფებისა და ბარბაროსული ურდოების ისტორია პირველად გარდაიქმნა საზოგადოების განვითარების ნამდვილ ისტორიად. ამ დროიდან მოყოლებული ადამიანთა ურთიერთობანი სწორედ ამ ნამეტი პროდუქტის წარმოების და მითვისების ირგვლივ ტრიალებს.

კერძო საკუთრების წარმოშობისა და მისი განვითარების შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში დიდ როლს ასრულებენ ქონებრივი ურთიერთობები. მკვლევარებს კაცობრიობის ისტორია ესახებათ, როგორც საკუთრების ერთი სახეობის მეორეთი შეცვლის ისტორია.

საინტერესოა ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება საავტორო უფლებებისადმი.

რუსეთში „სუდებნაია გაზეტას“ რედაქტორმა ერთი მწერლის მიერ სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული საინტერესო წერილები შეაგროვა და დაბეჭდა. მწერალმა მიაღწია იმას, რომ სასამართლოს მეშვეობით რედაქტორს გადაახდევინა კუთვნილი ჰონორარი. ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა ამ ფაქტს და სასამართლოს გადაწყვეტილება მართებულად ჩათვალა: „კაცს, ცუდია, თუ კარგი, თავისი ნამამარ-ნაშრომი აქვს, ეგ მისი კუთვნილებაა, მისი საკუთრებააო. ეს საკუთრება მუქთად დაიჩემა მეორემ და პატრონმა ეს მუქთამჭამლობა არ დაუთმო და თავისი მოითხოვა. აქ არაფერი უკადრისობა არ შეეწამება პატრონს. პირიქით, ჩვენ გვეონია, რომ პატრონმა ამ შემთხვევაში თავისი მოქალაქებრივი მოვალეობა შეასრულა საზოგადოების წინაშე, რომლის დედაბურჯი ის არის, რომ ყველამ თავისი მოიხმაროს და თავისით ირჩინოს თავი. და რომლის წინაშე ყველა დავალებულია, რომ ეს წესი ცხოვრებისა არავის არ დაარღვევინოს დაუსჯელად“.

1875 წელს გაზეთ „კავკაზ“-ში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის სტატია სანოტარო დებულების 168-ე მუხლის შეფარდება-გამოყენების შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ რუსული სამოქალაქო სამართლის მიხედვით საკუთრება. რუსული კანონმდებლობით საკუთრება უნდა გავიგოთ, როგორც პირის სრული ბატონობა ნივთზე იმ აზრით, რომ ამ ნივთზე (ქონებაზე) სხვისი მოთხოვნა არ უნდა არსებობდეს, სხვისი პრეტენზია არ უნდა იყოს. სხვა მხრივ



საკუთრების უფლების ცნება შეიცავს „პირის ნივთზე განსაკუთრებით სრული ბატონობის ცნებას“. ილია ჭავჭავაძე შენიშნავს: „მართალია, იურიდიული აზრით საკუთრება უნდა გავიგოთ როგორც მფლობელის, სარგებლობის და განკარგვის ერთობლიობა, მაგრამ საკუთრების ელემენტია შორის მაინც უმთავრესია — განკარგუფლება. ნასყიდობის ხელშეკრულება ფაქტობრივად ნიშნავს განკარგვის უფლების გამოვლენას, ერთ-ერთ არსებით ნაწილს არა მარტო კუთვნილების ფაქტისა, არამედ თვით საკუთრების უფლებისა...“

რუსეთის კანონებით, მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე, ყოველგვარი ნამდვილი მფლობელობა უძრავი ქონების, თუნდაც უკანონო, მიიჩნევა უდავოდ და მას კანონი იცავს ძალადობისა და თვითნებობისაგან, ვიდრე მასზე არ აღიმდრება დავა ან ცილობა და ქონება სხვას არ მიეკუთვნება... მესაკუთრე არამფლობელს ნებულ არა მესაკუთრისაგან ნივთი უნდა მიეღო არა თვითნებურად და ძალადობით, არამედ კანონიერი გზით. მფლობელი იგულისხმებოდა მესაკუთრედ მანამდე, სანამ სასამართლო არ დაადგენდა საწინააღმდეგოს.

ხსენებული შეხედულება მიმდინარეობს ბერძნულ-რომაული სამართლიდან და მას იზიარებდა ძველი ქართული სამართალიც.

ილია ჭავჭავაძე და კერძო საკუთრების აუცილებლობის პრობლემა იმდენად დიდი თემაა, რომ მისი ამოწურვა საჭურნალო წერილში შეუძლებელია. ამიტომაც ჩვენი სტატიაც ვერ ჩაითვლება სრულყოფილად და მკითხველებს შევახსენებთ მხოლოდ, რომ სიცოცხლის მიმწუხრზე, კერძოდ, 1905 წელს დასკვნა, რომ კერძო საკუთრება ქვაკუთხედად უდევს არამც თუ „მთელ სახელმწიფოს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებული ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე“.

ილია ჭავჭავაძემ კარგად უწყობდა, რომ კერძო საკუთრებასთან აქვს კავშირი არა მარტო ეკონომიკის ეფექტიანობას, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წეს-წყობილებას, უფრო ზუსტად „მთელს ცხოვრებას დაწინაურებული ქვეყნებისას“.

კერძო საკუთრება დედა-ბუნებასავით ერთსა და იმავე დროს კეთილიც არის და ბოროტიც. მაგრამ კეთილი ნების ადამიანს ძალუმს ის სასიკეთოდ მოიხმაროს.

არ უნდა დავივიწყოთ, კერძო საკუთრების დამსახურება ისტორიის ღმერთის წინაშე:

„საზოგადოების საწყის საფეხურზე ბატონობდა გულუბრყვილო კომუნისმი, რომელიც ეროვნულ სიმდიდრეს განიხილავდა, როგორც საზოგადოებრივი კავშირის წევრთა (მეომართა) ავლადიდებას და მას მათ შორის საჯარო-სამართლებრივი საშუალებებით ანაწილებდა. ძველად ცხოვრობდა მხოლოდ ხალხი, მასა, საჯარო სამართალი იყო ყველაფერი. მხოლოდ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხს აიდგამს სამოქალაქო სამართალი და მასთან ერთად კერძო საკუთრებაც, რომ ინდივიდისათვის უზრუნველყო მისი განსაკუთრებული ბატონობის სფერო. სამოქალაქო სამართალი მოასწავებდა ინდივიდის გამოცხადებას, ინდივიდუალური ცხოვრების გამოცალკევებას ჯოგურისაგან. ხალხის გვერდით ამიერიდან არენაზე გამოდის ისტორიის მეორე მამოძრავებელი ძალა — საკუთარი თავის თვითშემეცნებელი პიროვნება. ის ხელთ იღებს ხალხის განვითარების ინიციატივას; ის ცეცხლს გამოსტაცებს ღმერთებს, რათა კაშკაშა ჩირადღნით გზა გაუნათოს მთელ ერს“.

საქართველოს ზურგს უმაგრებს ილიას სიმაღლე და სამართლებრივი ნაამაგარი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
მიხეილა უბრახელიძის გამოსვლიდან ქართველ
გვფერალთა და იურისტთა 1994 წელს გამართულ
შეხვედრაზე

ჩემი წარმოდგენით, ამ შეხვედრის უწინარესი მიზანია, რომ ერთობლივი ძალისხმევით მოიძებნოს იმ ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისიდან გამოსვლის გზა, რომელშიც ამჟამად საქართველო იმყოფება. იმედი გამოითქვა, რომ თუ მწერლობა და სამართლის მსახურნი ერთად დადგებიან, ასეთი შანსი გაცილებით მეტი იქნება, იმდენად დიდი და მაღალია მწერალთა კავშირის, თვით მწერლის ტრიბუნა, რომ უფლება არ შექონდა, ზედიზედ გამეშვა ჩემს ცხოვრებაში ასეთი იშვიათი შესაძლებლობა და თქვენს წინაშე არ გამოვსულიყავი. ისიც უხერხულია, დარბაზში საგანთა ერთობ თავისებური განლაგების გამო, ზურგშექცევით რომ აღმოვჩნდი ილია ჭავჭავაძის დიდებულ პორტრეტთან. მაგრამ ეს მწერალთა და იურისტთა ილიასადმი ზურგშექცევით დგომა კი არაა, არამედ სიმბოლური გამოხატულებაა იმისა, რომ საქართველოს ზურგს უმაგრებს ილიას სიმაღლე, მისი სინათლე, კალამი და სამართლებრივი ნაამაგარი. იმაზე დიდი მსაჯული, ბატონებო, ვიდრე ილიაა, არც ადრე გვყოლია და არც დღეს არის ვინმე ჩვენს შორის. ამიტომ მეტად დიდი პასუხისმგებლობა გემაართებს, როცა მის წინაშე ვაჯერებთ ჩვენს შეხედულებებს, იმის თაობაზე, თუ როგორ დავამარცხოთ უკეთურობა და როგორ მივცეთ გზა სიკეთეს. უწინარეს ყოვლისა, მე მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენ საერთო საქმე გვაქვს, ჭეშმარიტებას ვემსახურებით; ამავე დროს მწერლები და იურისტები მსაჯულნი ვართ, იმ განსხვავებით, რომ სასამართლოში მსაჯულობა ვერ შობს ისეთ უხეიანეს მართლმსაჯულებას, როგორსაც მწერლური მართლმსაჯულება. მწერალი რომ ვინმეს ან რაიმეს სამართალს გაუჩენს, ამას გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს და მეტად შედეგიანია, ვიდრე ნებისმიერი სხვა განაჩენი. მე მესახება, რომ ჩვენი საერთო დანიშნულებაა სიკეთის დამკვიდრებისადმი ბრძოლა. მაგრამ ჩვენში, ამ ეტაპზე, ბოროტებასთან და უკეთურობასთან ბრძოლამ ერთგვარად ცალმხრივი სახე მიიღო; ამჯერად მთელი ჩვენი ყუ-

რადღება გადატანილია პიროვნებაზე, კუდიანების ძებნაზე. ამ ვითარებაში იკ- არგება მთავარი, რომლის გარეშე გამოირიცხულია წარმატებას მივაღწიოთ, იმის გაუთავებელი ძიება, თუ რომელი პიროვნება, რომელი პარტია ან შობრაობაა, ცუდი, აკნინებს არამართო თითოეულ ჩვენთაგანს, არამედ აკნინებს საერთოდ, ამ დიდ საქმეს, მართლმსაჯულების საქმეს, სამართლებრივ საქმიანობას და ასე გასინჯეთ, თვით მწერალთა მოღვაწეობასაც კი. არადა, სად იმალება ეს ბოროტება, ჩვენ ხანდახან გვავიწყდება კიდევაც. აქ შესანიშნავად ითქვა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვცხოვრობთ მახინჯ სამართლებრივ სისტემაში, ის, რაც ამჟამად ჩვენთან ხდება, იმ მზაკვრობის გაგრძელება, რაც ადრე ხდებოდა, როცა ადგილი ჰქონდა სახელმწიფოთა შორის საზღვრების აღრევას, რათა შემდგომ ყველა ერთმანეთის ვალში ყოფილიყო, ერთმანეთისთვის ემტროთ და, ამის ნიადაგზე, ვიღაცას წარემართა ეს პოლიტიკა, ვიღაცას გაეხარა ხალხების, ქვეყნების, ერების, ეთნიკური ჯგუფებისა და სხვათა დაპირისპირების ხარჯზე. მე ვამბობ, და არც თუ პირველად, რომ იუსტიციის ის სისტემა და ის კანონმდებლობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ჩვენთან არ შეცვლილა, არავითარ საშუალებას არ იძლევა იმ წარმატების მოსაპოვებლად, რომლისაკენ ჩვენ ასე მივიღტვით და მივისწრაფვით. ჩემი აზრით, სამართლებრივი აღმშენებლობის სფეროში წარუმატებლობას მეტ წილად განაპირობებს სამართლებრივი რეფორმის, კონსტიტუციური პროცესის გაჭიანურება, არადა უამისოდ, სიბნელისა და ობსკურანტიზმის პირობებში, შეიძლება ვიხილოთ გზაბნეული ადამიანები არა იმიტომ, რომ ისინი ბოროტნი არიან, არამედ ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლად და პროდუქტად გვევლინებიან. ჩვენ არანაირი უფლება არა გვაქვს ისეთი კანონმდებლობა ვიგუოთ, რომელიც არ ან ვერც იცავს უბრალო ადამიანს, მწერალს, იურისტს, ვერავის და ვერაფერს, თვით კანონსაც კი. ამიტომ ყოველივე ამას წერტილი უნდა დაეხვას და დროულად ჩამოყალიბდეს ახალი ყოფის შესაბამისი კანონმდებლობა და თუ მწერლობის მართალი და ნიჭიერი კალამი მომარჯვებელი იქნება სიკეთის დასამკვიდრებლად და ბოროტების სამხილებლად, უწინარესად, უნდა ვამხილოთ კონსერვატორული, რეტროგრადული, ჩამორჩენილი იდეების მქადაგებელნი, რამეთუ ისინი აღმასრულებელნი არიან ისეთი ღირებულებებისა, რომელთაც ცივილიზებულ მსოფლიოში დიდი ხანია ყავლი გაუვიდათ. მათი უსუსური წარმოსახვანი ვერ უნდა აფერხებდნენ არამართო ჩვენს შინაურ ცხოვრებას, არამედ საქართველოს დემოკრატიულ აღორძინებას და, ამის კვალობაზე, საერთაშორისო მასშტაბით მის სამართლებრივ სახელმწიფოდ აღიარებას.

ფიქრობ, ჩვენს ერთობლივ მოღვაწეობას, თანამშრომლობასა და თანამე-სანგრეობას საფუძვლად უნდა დაედოს სიმართლის მსახურება და ბრძოლა სამართლიანობისათვის; თუმცა, შესაძლოა, ამ მოწადინებაში ცალმხრივობამ იჩინოს თავი. ამიტომ შეგახსენებთ, რომ სიფრთხილე გემართებს. ჩვენი საერთო პროფესიული მისია გონივრული ჰუმანიზმით უნდა იყოს ნასაზრდოები. ცხადია, თუ ამას სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, ბოროტება უნდა დაითრგუნოს. მაგრამ, მეორე მხრივ, მას სიკეთით დათრგუნვაც უნდა შევაშველოთ, რამდენადაც ბოროტებით ნაგვემი უკეთური კაცი ისე დამარცხებული არ არის, როგორც სიკეთით ნაცემი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მწერლობა, ჩვენთან ერთად, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპების საფუძველზე, უთუოდ შეძლებს ამის გაკეთებას.



მეეტლის, მეთულუხნის, მკალავის, ინტელიგენტის თუ ერისკაცისა. შეიღვივით მასთან შეზრდილი სიცოცხლის ბოლო წლებში შევეუნდი ქალაღზე გადმოქტანა ზოგი რამ კარგი და მნიშვნელოვანი, რაც მის ნათელ მესხიერებას შემორჩა, რომ მცირედ მემკვიდრეობად გადმოსცემოდა მომავალ თაობას. დამიჯერა, კალამს ხელი შეავლო და, ვფიქრობ, საკმაოდ ნიჭიერად დაწერილი ცალკეულ მოგონებათა ფრაგმენტები დაგვიტოვა. ერთ-ერთი მათგანი დიდი ილიას სახელთან იყო დაკავშირებული.

ახლა, როცა მსოფლიო ემზადება ამ ბუმბერაზი, ქართველი ერის ცხოვრებაში მოვლენად ქცეული პიროვნების იუბილეს აღსანიშნავად, მოვიძიე განსვენებულის არქივში ეს ფრაგმენტები, რასაც ოჯახის დასტურით, დიდი მოწიწებით ვთავაზობთ მკითხველს. არაფერი, თუნდაც მცირედ, ან ნაკლებ მნიშვნელოვანიც კი, რაც ილიას სახელს უხმაურება, არ უნდა ღარჩნეს გამოუმზეურებული.

ჩემი დელეგატობა ილია ჭავჭავაძის დასკრძალვაზე

როდესაც ილია ჭავჭავაძის ვერავლად მოკვლის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ქუთაისში, ცხოვრება თითქოს კალაპოტიდან ამოვარდა. ქუთაისის ქართული გიმნაზია იმ დროს ეროვნული სულიკვეთების საყუდარი იყო და ამიტომ აქაც თითქმის შეწყდა მეცადინეობა. გიმნაზიაში, პედაგოგიურმა საბჭომ დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად დელეგატებად შეარჩია რამდენიმე მასწავლებელი და წარჩინებული მოწაფე.

მე მოწინავე მოსწავლე არ ვყოფილვარ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რაღაცის გამო მაინც მქონდა იმედი, რომ დელეგატად ამირჩევდნენ. და აი, რატომ, მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიაში ცნობილი ვიყავი როგორც მოჭიდავე, მარდზე-მარდი, ზოგჯერ აყალ-მაყალის თავი, მასწავლებლებს და მოსწავლეებს მაინც გამორჩეული ვყავდი, რადგან სამართლიანობისთვის თავდადება მახასიათებდა. ეს თვისება ჩემი ცხოვრების მთავარი დევიზი იყო და იგი ბოლომდე გამყვა. არადა, ესლა, 80 წელს მიტანებული კაცი, ამჯერადაც ასე ვფიქრობ — ადამიანის უპირველესი დასაფასებელი ღირსებაა, იყოს მართალი, გულწრფელი, და ამის გამო შეუპოვარიც. ცოტა გადაუხვებ, რადგანაც მინდა გავიხსენო გიმნაზიაში ჩემი „ბეჯითობისა“ და „მუყაითობის“ შესახებ. მახსოვს ლათინურს გვასწავლიდა მეტად სათნო ადამიანი — მიხეილ ჩინჩალაძე. ამ საგანში წლის განმავლობაში წარმატება არ მქონია. მიხეილ რომანოზის მე დაქაღნებით მეტყოდა: «Хундадзе. Будешь ты у меня летом под тенью дерева потеть и латынь изучать!». დანარჩენ საგნებს ავად იყო თუ კარგად ვაბარებდი, ლათინური კი საშემოდგომო გამოცდად, Переэкзаменовка, გამომყვებოდა ხოლმე.

სამაგიეროდ ეს კეთილშობილი ადამიანი ზაფხულობით დროდადრო სახლში მიბარებდა და უსასყიდლოდ მიწევდა რეპეტიტორობას. ასეთმა მზრუნველობამ ის შედეგი გამოიღო, რომ შემდგომ ჩემს წრეებში ლათინურ ტექსტებს ზეპირად წარმოვთქვამდი და შიგადაშიგ ამით, წარმოიდგინეთ, ავერ ახლა, სიბე-

რეშიც კი თავს ვიწონებ. ერთხელ პედაგოგიურმა საბჭომ სანდო მოსწავლეთა შორის დამასახელა და ხელმოკლე მოსწავლეთა ოჯახური მღვთმარებობის შესწავლა და სწავლის გადასახადიდან მათი განთავისუფლების შესახებ მიუდგომელი წინადადებების წარდგენა დამავალა. ყველაფერმა ამან მაფიქრებინა, რომ ა. ჭავჭავაძის დაკრძალვაზე დასასწრებ დელეგატთა შორის მეც გამითვალისწინებდნენ. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, იმედი არ გამიმართლდა, დელეგატები შეარჩიეს, მაგრამ არა მოჭიდავეები და მკლავმარები; არამედ შვილნი, ბეჯითნი და წარჩინებული მოწაფეები: სილოვან ყიფიანი, კარაბეზ დონდუა, სერგო ჟორჯოლიანი და სხვები.

რა თქმა უნდა, იმ წუთებში როგორც ყველა, ისე მეც განვიცდიდი ილიას ბედს, მაგრამ ყმაწვილი გახლდით, და თბილისში გამგზავრების შესაძლებლობა რომ არ მომეცა, ამან არანაკლებ დამალონა.

გიმნაზიიდან სახლში ვბრუნდებოდი და ვფიქრობდი, როგორ მომეწყო ისე, რომ თბილისში აღმოჩენილიყავი და დაკრძალვასაც დავსწრებოდი. ის-ის იყო სახლს მივუახლოვდი, რომ ნათლად წარმომიდგა, რა მომემოქმედა სურვილის შესასრულებლად. საერთოდ, ეშმაკობა და მოხერხება არ მაკლდა და გამოვნახე კიდევ გამოსავალი. დიდ ეზოში მოფუსფუსე დედა დავინახე თუ არა ხმაძილა შევძახე: — დედა, დედიკო, მომილოცე, მომილოცე! — შეძახილმა დედაჩემი შეაკრთო, მაგრამ არ დაბნეულა და სწრაფი ნაბიჯით გამოსწია ჩემკენ. როცა ახლოს მოვიდა, შემეკითხა: — რა ამბავია, შვილო, რა მოგილოცო? მე ნაძალადევი დიმილით და კმაყოფილი ხმით მრავალმნიშვნელოვნად ვუთხარი: — დედიკო, დღეს გიმნაზიაში კრება შედგა და ილია ჭავჭავაძის გასვენებაზე დასასწრებლად დელეგაციის წევრად ამირჩიეს. დედაჩემს წამიერი სიხარული დაეჟღვლა და ბედნიერებით აღივსო, შვილი რომ ასე დაუფასეს. ერთი გვერდზე გაიხედა, მერე მომიბრუნდა, გადაამეხვია, რამდენჯერმე გადაამკოცნა და თვალცრემლიანმა მითხრა: — დედა გენაცვალოს, მუდამ მოუსვენრობას ასე არ გირჩენია, მასწავლებლები და ამხანაგებიც რომ დაგაფასებენო? შემდეგ გამომკითხა, როდის უნდა გამგზავრებულიყავით დელეგატები თბილისში. მე ვუპასუხე: — ვერ სამზავრო ფულია შესატანი, მერე გადაწყდება როდის წავალთ-თქო. დედა ისევ შემეკითხა: რამდენია, შვილო, საჭირო? მე დაუფიქრებლად, ერთბაშად ვუთხარი: — თორმეტი მანეთი. ეს თანხა იმ დროს საკმაოდ დიდი იყო და ალბათ ამიტომ დედამ ოდნავ ნაღვლიანი ხმით მიპასუხა — შვილო, თორმეტი მანეთი რა ამბავიაო. მე კატეგორიულად მოუჭერი — გადაწყვეტილება ასეთია და მე ხომ ვერ გამოვრჩები ამხანაგებს.

ითათბირეს ოჯახში. მამაჩემი ხალხური მოლექსე (საჯავახოელის ფსევდონიმით), ლოტბარი და საეკლესიო სიმღერების ნოტებზე გადამტანი დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე, რომელმაც გარდაცვალების წინ ზიარება არ მიიღო, კერპი, მაგრამ პატრიოტი და ამავე დროს პატივმოყვარე კაცი იყო. საამაყოდ მიიჩნია პირველი ვაჟის ასეთ საპატიო საქმეში მონაწილეობა და ალბათ ამის გამო გადაწყვიტა ჩემთვის ამ თანხის გაღება.

ორი დღით ჩავასწარი ჩვენს დელეგაციას: ახლა რომ დინამოს სტადიონია, ეს ტერიტორია, მთლიანად ეკავა საბალოსნო სკოლას, რომელსაც მამის უმცროსი ძმა — იმ დროისათვის სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტი, პროფესიით აგრონომი, სიმონ ხუნდაძე განაგებდა და მასთან დავბინავდი.

ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა ჩვენი გიმნაზიის დელეგაცია ღირექტორ იოსებ ოცხელისა და ბიძაჩემის (მამის მომდევნო ძმა გახლდათ) სილოვან ხუნდაძის მეთაურობით. დელეგაცია ეხლანდელი კიროვის ქუჩის კუთხეში მდებარე

სასტუმრო „კავკაზში“ დაბინავდა. ილიას დაკრძალვის დღეს დილაადრიან მი-
ვაკითხე მათ, რადგან ამ დროისათვის სიონის საყდარში წირვა უნდა შემდგარი-
ყო. თანასკოლელები შემომესიენ, ოცხელმა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი რომ
დაინახა, მკაცრად მომმართა: „თქვენ რათა ხართ აქ?“ ამ კითხვაზე მე ნაღვ-
ლიანად და რაც შეიძლებოდა მორიდებული ტონით წარმოვთქვი: — ბატონო
ჩვენო, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე ჩამოვედი, განა ცუდად მოვიქეცი და რა-
იმე დავაშვე? მას პასუხი არ გაუცია. ერთ-ერთი მოწაფე გაგზავნეს ეტლების
მოსაყვანად, როცა დელეგატები ეტლებისაკენ გამართნენ, მეც შევეუერთდი მათ
და თან გავეყვი იმ იმედით, რომ ერთად წავიდოდით, მაგრამ ჩემდა სავალალოდ
ასე არ მოხდა, თან არ გამიყოლეს და მე დავრჩი თავის ანაბარად...

ხომ წარმოსადგენია, როგორი გულნატკენი შევიქნებოდი? მაგრამ ბედს
არც ამჟამად დავნებდი და ჩემებურად გამოსავალი ვნახე. ფული ხომ მქონდა.
ეტლების მეტი რა იყო, და მეც დაუყოვნებლივ გავჩნდი მოედანზე. შევიგულე
ყველაზე უკეთესი ეტლი, შავად მბზინავი შესანიშნავი ბედაურებით. მიეტლე
რუსი ჩანდა, გადაგრეხილ უღვაშებიანი. მდიდრულად იყო გამოწყობილი და
თავზე მაღალი „კოტელოკი“ ეხურა. ეტლის ქირა 30 კაპიკი იყო. მე მიეტლეს
პირობა დავუდე — 45 კაპიკს გადავიხდიდი, თუ ყველა წინ მიმავალ ეტლს გა-
უსწრებდა. „პაჟალუსტაო“ — მომივო მან და ცხენებს მათრახი გადაჰკრა. ეტ-
ლი ელვის სისწრაფით მოწყდა ადგილს და სიონის (ახლანდელ) ლესელიძის
ქუჩით დაეშვა. ჩემი გულის დამწყვეტებს თვალისდახამხამებაში წამოვეწიე. ამ-
ხანაგებმა რომ დამინახეს, გულწრფელი სიხარულით შესძახეს: „ხუნდაძე, ხუნ-
დაძე!...“ მე კი ამ დროს გაჭიმული ვიჯექი ეტლში და არც კი მივიხედე მათკენ.
წინ მიმავალ იოსებისა და სილოვანის ეტლსაც წამოვეწიე და გავუსწარი კი-
დეც. ახლა სილოვანმა რომ დამინახა, გაელიმა, იოსები კი მოიღუშა. მე მათ
სახეარიდებულმა ჩაუარე.

ეხლა მე არ ძალმიძს მოვეყე რა ხდებოდა იმ არემარეზე, სადაც ილია ეს-
ვენა. ამის შესახებ უამრავი რამაა დაწერილი მას მერე, რაც ერის დიდ მოძლ-
ვარს მადლიერმა ხალხმა მთაწმინდა მიუჩინა სამუდამო განსასვენებლად. ზო-
გიერთ მომენტს კი გავიხსენებ.

საერთოდ, დიდებულ სურათს წარმოადგენდა ილიას დაკრძალვის ცერე-
მონიალი. თითქმის მთელი საქართველო შემოიკრიბა მის ცხედართან. ვის არ
ნახავდით იქ, ყველა რჯულისა და ყოფის კაცს. სახლები სულ ძაძებით იყო
შემოსილი, ფანჯრებიდან შავი ბაირაღები გადმოეფინათ. ხალხი ახლომანლო
იერ ეტეოდა, აივნები ხალხით იყო გაჭედილი. ასე თერთმეტ-თორმეტი სა-
თისათვის ცხედარი საყდრიდან გამოასვენეს და პროცესია, რომელსაც თავი და
ბოლო არ უჩანდა, სიონის ქუჩიდან ერევნის მოედნისაკენ დაიძრა. საჭირო იყო
მოქნილობა, რომ კაცი სადმე კუთხეში არ მომწყვდეულიყო. მეც გავძვერ-გა-
ნოვძვერი და სასახლის ქუჩაზე ამოვყავი თავი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობის აივნიდან აკაკიმ
სიტყვით მიმართა ილიას ნეშტს. ჩვენ ამ სიტყვის სიტბოთი და ძალით დიდხანს
კიყავით გაოგნებული. პროცესიამ გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტი გან-
ვლო და ჭავჭავაძის ქუჩას აუყვა. მამადავითის დასაწყისთან მიტინგი გაიმარ-
თა. სილოვანიც აბრძანდა ტრიბუნაზე. მან მოკლე სიტყვა წარმოთქვა.

ასე დასრულდა თბილისში ჩემი თავგამოდებული „მოღვაწეობა“. ამის შე-
სახებ სილოვანმა, რომ იტყვიან სიტყვა-სიტყვით და ხატოვნად მოუთხრო ჩემი-
ანებს.

ალექსანდრე შუშანაშვილი

საქართველოს მეცნიერ იურისტთა მაღალ ემელონს კიდევ ერთი პერსონა შეემატა.

მიმდინარე წლის 21 ივნისს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ბატონ ალექსანდრე შუშანაშვილს ერთხმად მიანიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ზარისხი. მისი სადისერტაციო შრომა ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საგამომიებო ასპექტების იურიდიულ გაშუქებას. ავტორმა ამ თემის კვლევას სოლიდური დრო დაუთმო, სკურპულოზურად შეისწავლა და მაღალ მეცნიერულ დონეზე დაამუშავა საუკუნის ამ მკვრეხელურ დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის საგამომიებო მასალები.

დისერტაციაში განვითარებული ზოგიერთი მოსაზრება, გარკვეულ წილად საკამათოა, რის თაობაზეც აღინიშნა ოპონენტთა (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ალექსიძე, პროფესორი ვ. მეტრეველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. სანიკიძე) გამოსვლებში. მიუხედავად ამისა, ნაშრომი უცილობლად იმსახურებს საერთო მოწონებას. ამასთან, გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ თემის გარშემო მომავალშიც უნდა გაგრძელდეს კვლევა-ძიება არსებული ნიუანსების ასპექტში.

თავისთავად დისერტაციის დაცვის პროცესი ორიგინალურად წარმართა და იგი ეთიკურობის მაგალითად წარმოჩინდა. ნეტამც ყოველთვის დღენიადაც ასეთ ურთიერთ კეთილგანწყობას ვპოვებდეთ ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში.

ბატონი ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი დაიბადა 1936 წელს თიანეთში, გამრჯე ოჯახში. მან ბავშვობიდანვე იპყრა შრომის მაღლი, საშუალო სკოლა და იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა, ასპირანტურაში ჩვენი საამაყო მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, ქალბატონ თინათინ წერეთლის უშუალო მოწაფე გახლდათ და სწორედ მისი თავმდგმურობით ეზიარა იგი უშეღავათო მეცნიერულ მრწამსს. დღეს ბატონი ალექსანდრე, როგორც თვით უწოდებს სახელად თავის თავს, ღვაწლმოსილი პიროვნებაა, რომელმაც სინდისიერად განვლო სამართლიანობისა და მართლწესრიგისათვის მსახურობის ხანგრძლივი გზა. ორგზის იყო რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, ათი წლის განმავლობაში იუსტიციის მინისტრი, სადაც კი არ განმწესებულა, იგი ყველგან მაღალი პროფესიონალიზმით, ორიგინალური აზროვნებით გამოირჩეოდა და ასეთად წარმოგვიდგება ამჟამადაც. ერთობ ბობოქარი, პირამტქმელი, მოუსვენარი, რისხვისთვის მკერდშეშვერილი, სამშობლოსათვის გულანთებული კაცია.

ფშაურმა კოლორიტმა და ფოლკლორმა პოეტურობის, კალმოსნობის, იუმორის საშური ნიჭი დაანათლა.

მარტო რად ღირს მისი წინათქმა გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების კრებულისა — „შენ უკვდავების ხარ ბინადარი“.

ბატონი ალექსანდრე იუსტიციის გენერალია, არაერთხელ ჯილდოქმნილი, სულ ახლახან კი ქართული ღირსების ორდენით აღინიშნა მისი დამსახურება.

საქართველოს იურისტთა კავშირი, სადაც იგი საკანონმდებლო გააზრებათა



ბექციის ხელმძღვანელია, აგრეთვე ჟურნალი „სამართალი“, რომელმაც მას სამეცნიერო გზა დაუკვლია, გულითადად ულოცავენ წარმატებას და გულწრფელად უსურვებენ კვლავაც ნაყოფიერ მოღვაწეობას მეცნიერების სარბიელზე, ბედნიერებას ოჯახურ და მეგობრულ გარემოში.

იქნებ მკითხველს თითქოსდა დადასიდად ეჩვენოს ეს ჩვენი სიტყვათქმა, თუნდ კი ასეც ჟღერდეს, საპატიოა, რამეთუ იგი რამდენადმე ილიას სახელს ეხმარება და ამასთან ჩვენი ერთად მუშაობის ხანგრძლივი, მაგრამ არც თუ ადვილად გასავლელი პერიოდის მრავალ და მრავალ საგულისხმოს მიინიშნებს.

ჟურნალის რედაქცია სიამოვნებით აქვეყნებს ბატონ ლევან სანიკიძის საოპონენტო გამოსვლას, რომელიც ზეპირობით ფორმაში ერთობ ემოციური და მიმზიდველი იყო.

ლევან სანიკიძე

ალექსანდრე შუშანაშვილის სალოტორო დისერტაციის „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (ისტორიულ-სამართლებრივი გამოკვლევა)“

თავიდანვე ხაზგასმით ვაცხადებ: სალოტორო დისერტაციად წარმოდგენილი ბატონ ალექსანდრე შუშანაშვილის ეს ნაშრომი, რომელიც შესდგება შესავლისა და ხუთი თავისაგან, შესრულებულია უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი საარქივო მასალების საფუძველზე. დისერტანტს შეუსწავლია და დაუმუშავებია 30 სხვადასხვა არქივი, რამდენიმე ათეული ფონდისა და რამდენიმე ასეული ტომის შემადგენლობით. ვფიქრობ, არ შევცდები, უკეთუ ვიტყვი, რომ შრომა შეიძლება ჩაითვალოს სწორედ უნიკალურ გამოკვლევად. ყოველ შემთხვევაში, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ილიას შემსწავლელი „ლოგის“ განხრით, მე არ მეგულება ეგზომ მდიდარი საარქივო მასალების შემცველი ნაშრომ-ნაღვაწი. ეს უდავოდ და სრულად დამარწმუნებლად მეტყველებს დოქტორანტის შრომისუნარიანობასა და საკვლევი თემისადმი უაღრესად კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე. ნაშრომი ეხება მე-20 საუკუნის უდიდეს ბოროტებას, რომელსაც ბოროტებრივი განზომილებაც არ გააჩნია. ეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაა — ქართველთა ხელით საქართველოს მამისა და უზენაესი ერისუფალის მკვლელობა, და, რომ „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა“, დღესაც, საუკუნის დამლევს იმ „მწუხრის ზეწრიდან“ თავი ვერ დაგვიღწევია. საქართველო ვერც ვერასოდეს ჩამოირეცხავს „მამისმკვლელის“ უსამარცხვინოეს კოვნიმენს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ დისერტანტი პირველი გახლავთ, ვინც ილიას მკვლელობას სამართლებრივი ასპექტით ირკვევს. თვითონვე ბრძანებს სრული სიმართლით: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა. ვინ და რა კუთხით არ შეხებია ილია ჭავჭავაძის მკვლელობას, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით იგი არავის განუხილავს“.

და, ჩვენც გადაჭრით მივანიშნებთ, რომ ილიას მკვლელობის მართლ ამ ერთი ასპექტით — სამართლებრივ-იურიდიული თვალთახედვით შესწავლაც

სრული ღირსებით, უყოყმანოდ ანიჭებს დისერტანტს ძიებულ სამეცნიერო ხაზისს. მით უფრო, რომ, შრომის თავიდან ბოლომდე წაკითხვის შემდეგ, არავითარ ეჭვს არ იწვევს ავტორის ეს წინასწარი განაცხადიც: „სავამომიებო და სასამართლო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე წიწამურის ტრაგედიის ზვერი საკითხი ანღებურადაა განმარტებული და წარმოდგენილი, ბვერ კითხვას გაცემული აქვს დასაბუთებული პასუხი“.

მკვლელობა ილიასი და ილიაობისა შემზადდა იდეოლოგიურად, სოციალ-დემოკრატიების, ანუ „მესამე დასელების“ მიერ. სწორედ ამათ დაასამარეს ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია და მის საწინააღმდეგოდ დაამკვიდრეს სოციალური დაპირისპირებულობის, კლასობრივი სიძულვილისა და სისხლის ქცევის, ქართველი ერის დამღუპველი იდეოლოგია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ უცხოელ დამპყრობელს თავისი პოლიტიკური თუ რელიგიური „იდეოლოგიით“ არ მიუყენებია ქართველი ერისათვის იმდენი ვნება, რამდენიც მარქსისტულ-„ესდეკურ“-„ბოლშევიკურ“-„მენშევიკურმა“ იდეოლოგიამ და მისგან გამოჩეკილ-გამოზრდილმა „მესამე დასურობამ“.

სხვათა შორის, ამ ბოროტი „ესდეკურობის“ ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი პეტრე გეღეიშვილი, 1914 წელს გამოცემულ თავის მონოგრაფიაში — „ილია ჭავჭავაძე“, წერდა კანდიერებით: „ილიას ტრაგედია მისი სიკვდილი კი არა, სიცოცხლე იყო“-ო, ილიას ოთარანთ ქვრივს ადარებს და კვლავ უფრო აკონკრეტებს ქართველი მარქსისტების პოლიტიკურ ფილოსოფიას: „ილიას მთელი სიცოცხლე წარმოადგენდა იმ დედის სიცოცხლეს, რომელსაც წინ უდევს თავისი ერთადერთი შვილის ცხედარი... ბედშავი დედა ვერ შერიგებია ამ მისი ერთადერთი იმედისა და ნუგეშის დაკარგვას. ის ეალერსება შვილის გაციებულ გვამს, გულში იხუტებს მას: ტკბილ-ნანას უმღერის, ზმანალა ეძახის, სასიცოცხლოდ იწვევს... მაგრამ ამოდ! დედის ცრემლებმა ვერ გააცოცხლეს შვილის უსულო გვამი: ძველი ფეოდალური საქართველო მოკვდა და ქართველის დედაც გადაყვა მის ჯავრს! ილიაც თავის იდეალურ საქართველოსთან ერთად დაიმარხა!“

მაშ, ქართველი „ესდეკების“ ერთი იდეოლოგთანი, ნებიითა თუ უნებლიეთ, სწორედ რომ სიმართლეს ამბობს, ისტორიულ სიმართლეს: ილია თავის დიდებული სამშობლოს ისტორიასთან ერთად დაიკრძალაო! ხოლო, იმ დამარხული სამშობლოს ადგილზე მესამე დასელებმა რუსულ-მარქსისტული საქართველო შეითხნეს... მიდის წლები, საუკუნე იწურება, ფიქრი კი ფიქრად გრძელდება — ფიქრი ნამძვილი საქართველოს აღდგინებისა, მხოლოდ და მხოლოდ ილიას გზით და მემკვიდრეობით.

და, ყველაზე სამწუხარო და სავაგლახოც ისაა, რომ ამ საოცნებო „ილიური გზის“ დაუფლებას და ახალი სახელმწიფოებრივი განვითარების საშახურში ჩაყენებას არავინ ვჩქარობთ, თითქოს ამისათვის ვერც ვიცლით. მეტიც — ცკით ილიას მემკვიდრეობაც არა გვაქვს სრულად გააზრებული.

ნუ მივიჩნევთ ამის აღნიშვნას დისერტაციიდან გადახვევად, მით უფრო, როცა თვითონ ავტორი მიგვანიშნებს გულისტკივილით: ილიას ირგვლივ არსებულ საარქივო მასალებს თუ დროზე არ ვუპატრონეთ, მალე სრულიად დაიღუპება, სიმველისა და მოუვლელობის გამო. ჩვენ დავამატებთ, რომ იგივე სავალალო ბედი ელის „ივერიას“ და მასში გამოქვეყნებულ ილიას პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. „ივერიის“ კომპლექტები უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად აქცევა.

და, კიდევ ერთი შტრიხი მარქსისტულ-მესამედასურ გააზრებისა, რაიც ყველაზე ნათლად გვიხატავს ქართველ კოსმოპოლიტთა ეროვნულ ნიჰილიზმს



და, მასთან ერთად სიძულვილისა და მოსისხლე მტრობის იმ საერთო ფონს, რომელმაც შეიწირა ილია ჯერ ფიზიკურად, წიწამურთან და მერე მომდევნო წლებში იდეურადაც, როცა მისი, როგორც „ნაციონალისტისა“ და „შავბნელი რეაქციონერის“ სრული მოწყვეტა სცადეს ქართული აზროვნებისა და საერთოდ საქართველოს ისტორიისაგან. აღნიშნული წიგნიც ხომ იმ მიზნით დაიწერა, რომ „საბოლოოდ დაესამარებინათ ილიას ნაციონალისტური (ე. ი. ეროვნული) იდეოლოგია“.

ილიას იდეურ და ფიზიკურ განადგურების „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ სათავეში უდგნენ ყველა ცნობილი მარქსისტი, გარდა ჯულაშვილ-სტალინისა. ზოგს შეიძლება ეს პარადოქსად ეჩვენოს, მაგრამ ეს სინამდვილეა და დისერტანტის ერთი დამსახურება ისიც გახლავთ, რომ ამ „უცნაურ სიმართლეს“ საგანგებო ადგილიც დაუთმო თავის ნაშრომში.

სადისერტაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დისერტანტის კვლევის მაგისტრალური საგანი, მაინც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წმინდა სამართლებრივი მხარეა და ამდენად ჩემთვის, როგორც ოპონენტისთვის, სრულიად მისაღები და საკმარისია ნაშრომში ამ საერთო-ისტორიული და იდეოლოგიური ფონის ასეთი ზოგადი სახით წარმოდგენა.

მაგრამ აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩემი ვითარცა ერთი „ილიელი-სათვის“, მაინც უკმარისობის გრძნობას იწვევს ავტორისაგან სოციალ-დემოკრატიულ, თუ მარქსისტულ იდეოლოგიასთან ილიას დაპირისპირების საკითხის პოლიტიკური შეფასებისაგან გვერდის ავლა. შეიძლება სამართლებრივად, წმინდა იურიდიული თვალთახედვით, ილიას მკვლელობაში ესა თუ ის ქართველი მარქსისტი — „მენშევიკი“ თუ „ბოლშევიკი“ ბრალეულობისაგან გაავათავისუფლოთ — როგორც თქვენ, იურისტები ბრძანებთ — „არასაკმარისი მამტიციებლობის“ გამო, მაგრამ მთლიანად ეს იდეოლოგია ამ ბრალდებას და მორალურ პასუხისმგებლობას ვერასოდეს თავიდან ვერ აიცილებს.

ჩავთვალთ ეს მოსაზრება ნაშრომისადმი, ასე თუ ისე, ერთ შენიშვნად. ამასთან კვლავ განვაგრძოთ საუბარი მორიგი ღირსების შესახებ, რაც მას უნიკალურს ხდის ამავე თემაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის. სახელდობრ: დღევანდლამდე არც ერთ მკვლევარს, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებულ ასპექტების წარმოჩენისას არ უცდია ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა ამდენი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება და თვალსაზრისი, რამდენიც დაფიქსირებული, განხილული და გაანალიზებულია წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში. გნებავთ პედანტობად ჩამითვალეთ, მაგრამ რაკი დავინტერესდი, დავივაღლე და აღმოჩნდა, რომ დისერტანტს 112 ავტორის ამდენივე განსხვავებული მოსაზრება აქვს ერთმანეთთან გასაოცარი სკრუპულოზურობით შედარებული, გაანალიზებული და საკუთარი დასკვნებით და შეფასებებით განუსრულებელი. ასე და ამრიგად, ეს გახლავთ ილიას მკვლელობასთან დაკავშირებული ლიტერატურის სრული ანალიზი და პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიო-ოგრაფიის სრული მოცულობით წარმოჩენაც. სწორედ აქამდე ასეთი უწინამორბედო შრომისათვის მე, როგორც ისტორიკოსი, თავს ნებას მივცემდი, მტიციველ დამეყენებია საკითხი, ბატონ ალექსანდრე შუშანაშვილისათვის, აწ მისგან მივებულ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხთან ერთად, მასთან დაწყვილებით — მიგვენიჭებია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხიც.

ამავე მოსაზრების ჭრილში, გამოკვლევის გამორჩეულ ფასეულობად მიმაჩნია მე-3 თავის მეშვიდე პარაგრაფი, სადაც დისერტანტი ახალი კუთხით აყენებს საკითხს კომუნისტურ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცი-

ასა და ჩვენს სამომავლო განვითარებაში მისი მემკვიდრეობის ადგილისა და როლის შესახებ. ცნობილია, რომ 1934 წლამდე ილიაზე წერა და ბეჭდვა (იქნებ ფიქრიც) შეზღუდული იყო და, მაინც თუ რაღაც ქვეყნდებოდა, ისიც უეჭველად იდეოლოგიური შტამპებით იყო დაწვრილი. მაგალითისთვის — 1928 წელს გამოცემულ ილიას თხზულებათა კრებულში, ილიასვე წინააღმდეგ მიმართული ფილიპე მახარაძის წერილია („თავის მართლებაც ასეთი უნდა!“) დასტამბული, სადაც ილია დახატულია ვითარცა „დესპოტი მემამულე“ და „რეაქციონერი“, დიახ — ილიასავე ნაწარმოებთა კრებულში!..

და აი, სტალინი იყო ქართველ მარქსისტთაგან ერთადერთი და პირველი, რომელმაც ხმა აღიმალა ილიასადმი ასეთი აღვირახსნილ ცილისწამებათა და წყევლა-გმობათა ასალაგმავად. სწორედ მისი მითითებით, 1936 წლის 4 ოქტომბერს, გახეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ვრცელი სარედაქციო წერილი ასეთი სათაურით — „ილია ჭავჭავაძე — ეროვნულ-რევოლუციონური მოძრაობის ზეღადი“, რამაც სათავე დაუდო ილიას სრულ რეაბილიტაციას. დისერტაციის აღნიშნულ თავში ავტორი მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი საარქივო და მემუარული მასალების მეშვეობით, დასკვნას იძლევა, რომელიც მიმართულია ზოგიერთ მკვლევართა მეტად აბსურდული და დემაგოგიური ბრალდების წინააღმდეგ — ბრალდებისა, რომ თითქოს სტალინი უშუალო და პირდაპირი მონაწილე და პასუხისმგებელი ყოფილიყოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში:

„ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით სტალინის დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი განსაკუთრებული რიდითა და პატივისცემით გამოირჩეოდა და ეს სრულებითაც არ იყო რაღაც პოლიტიკური მოსაზრებებით გამოწვეული და ნაკარნახევი... სტალინი ილიას არა მარტო უდიდეს მწერალს, არამედ უდიდეს საზოგადო მოღვაწეს უწოდებდა, რომელიც... „მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა“.

სწორედ დისერტაციის ამ ნაკვეთში გვხვდება ფრაზა, რომელმაც ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. როგორც ჩანს, სტალინს, რომელსაც ღვთისაგან მომადლებული ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა, კარგად ახსოვდა წინამურის გარშემო ატეხილი მაშინდელი პერიპეტეიები და მათთვის მაშინ ასეთი, დამახასიათებელი „სტალინური შეფასებაც“ მიუცია: „ნუ უჯერებთ გელე-იშვილის ნაჯღაბნებს... ნინოშვილი ბევრს არაფერს წარმოადგენს; სისულელეა მისი ილიასთან შედარება და იმის თქმაც, რომ ჭავჭავაძე თავადი იყო და ნინოშვილი გლეხიო“. მაშასადამე, სტალინიც ამ შემთხვევაში ილიას „საერთო ნიდააგის“ თეორიის იმ პოზიციებზე დგას, რომლითაც სოციალურ-წოდებრივი წარმომავლობა არაფრისმთქმელი და არაფრისმაქნისია საერთო-ეროვნული საქმის წარმატებისა და ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით.

ბოლოს, საგანგებოდ მინდა მივანიშნო პირადად ჩემთვის ფრიად სასიამოვნო ნიშანთვისება ამ დისერტაციისა — მისი წერითი მანერა, სიტყვიერებითი ფორმა, ანუ მე მიმაჩნია, რომ მეცნიერებაც მიმზიდველი წერილობით-სიტყვიერებითი ხელოვნებით უნდა იწერებოდეს, ანუ კიდევ — მეცნიერება ოდენ „ნაწარმი“ კი არა, არამედ „ნაწარმოებად“ უნდა გვეკვლინებოდეს. სწორედ ასეთი, მეცნიერებისა და მწერლობის სინთეზით დაწერილ ნაწარმოებად გვეკვლინება ბატონი ალექსანდრე შუშანაშვილის ეს ნაშრომი.

მით უფრო, ილიას თქმა სწორედ ასეთ არისტოლოგიურ სიმაღლეზე უნდა დაწერილიყო. კიდევაც დაწერილა და ამითმაც საბოლოოდ დავასკვნით: დღევანდელი დისერტანტი სრული ღირსებით იმსახურებს ძიებულ ხარისხს (ხარისხებსაც!).



ლადო ჭანტურიძე

სამოქალაქო სამართალი და სამოსამართლო სამართლის პრობლემები

სამოქალაქო კოდექსის მიღებით ახალი ეპოქა დაიწყო ქართულ სამართალში, ეპოქა, რომლის დადებითი ნაყოფი უდავოდ უნდა იხილოს ქვეყანამ და ხალხმა. ჩვენში ხშირად კანონშემოქმედთა მთელი ენერგია კანონის მიღებას ხმარდება. კანონის მიღებისთანავე ყველა წყნარდება: საქმე დამთავრებული და გაკეთებული ჰგონიათ. არადა კანონის ცხოვრება მისი მიღების შემდეგ იწყება. რეალური ცხოვრება წარმოაჩენს, თუ რამდენად შეესაბამება კანონი საზოგადოების ინტერესებს. იმავდროულად, შეუძლებელია კანონში ყველაფრის გათვალისწინება, რაც ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს. ასეთ გაუთვალისწინებლობას სამართალში ხარვეზი ეწოდება. ამ ხარვეზს ყველაზე თვალნათლივ კანონის უპირველესი გამოყენებელი — მოსამართლე ხედავს. სამართლისმცოდნეობამ მას უნდა უბოძოს ამ ხარვეზების აღმოფხვრის შესაძლებლობანი. ეს სამართლის რეთოლოლოგიის უპირველესი ამოცანაა. იგი საფუძველია სამოსამართლო საქართლის ჩამოყალიბებისათვის, რომლის გარეშეც თანამედროვე სამართალი წარმოუდგენელია.

სამოსამართლო სამართლის პრობლემათა აქტუალობა დღევანდელ საქართველოში აშკარად იგრძნობა. ამიტომ გადაწყვიტეთ ამ თემას მიუძღვნა წინამდებარე სტატია, რომელიც ნაწილია ჩემი წიგნის „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“.

შეიქლება თუ არა არსებობდეს ყველასათვის გასაგები კანონი და რატომ ებრძოდნენ დიდი კანონმდებლები კანონის განმარტებას?

დასავლეთ ევროპის განმანათლებლობამ ფაქტობრივად რევოლუცია მოახდინა სამართლის წყაროს ცნების საკითხში. მან საფუძველი დაუდო სამართლის წყაროთა სრულიად ახალ იერარქიას, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართალში დღესაც გაბატონებულია. ამ იერარქიის სათავეში დგას პარლამენტის მიერ ან სახალხო რეფერენდუმის შედეგად მიღებული ნორმატიული აქტი — კანონი. განმანათლებლობა და მისი იდეების საფუძველზე წარმოშობილი სამართლის სკოლები კანონს ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებდნენ. იგი უნდა ყოფილიყო სრულყოფილი, გასაგები, ნათელი, რომ ამით მოსამართლეთა თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლებისათვის, რომელიც მათ საერთო სამართლის პირობებში ჰქონდათ, დაედოთ ზღვარი.¹

1. Ius Commune, ე. ი. საერთო სამართალი ეწოდებოდა ევროპის იმ სამართალს, რომელიც ევროპის ხალხებს საერთო ჰქონდათ სამართლის კოდიფიკაციის წარმოშობამდე, ე. ი. XIX საუკუნემდე.

XIX საუკუნეში მიმდინარე გააფთრებულ ბრძოლას „ხალხის სამართალსა“² თუ „იურისტების სამართალს“ შორის დიდი შედეგი არ მოჰყოლია, თუ არ გვეთვალისწინებთ იმას, რომ ახალი კოდიფიკაციის შედეგად კანონები უკვე იწერებოდა ეროვნულ ენებზე და არა ლათინურ ენაზე. მრავალსაუკუნოვანი მცდელობები, რომ კანონები ყველასთვის გასაგები ენით დაწერილიყო. უშედეგოდ აღძრნდა. „თანამედროვე ცხოვრებისეული ურთიერთობები იმდენად რთულია, რომ მათი მოწესრიგება შეუძლებელია რამდენიმე ისეთი მარტივი წინადადებით, რომლის გაგება საზოგადოების უკანასკნელ წევრსაც კი შეეძლება. ლოკიკა და ენის კარგად ფლობა ამისთვის სრულიადაც არ არის საკმარისი.“² როგორც ექიმს სჭირდება სპეციალური განათლება და ტერმინოლოგია, რომელიც მისი პაციენტებისთვის ხშირად უცხოა, ისე სჭირდება იურისპრუდენციას სპეციალური განათლება და ტერმინოლოგია. როგორც ექიმებმა უნდა დაიცვან მოსახლეობის ჯანმრთელობა და ამ მიზნით გამოიყენონ მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება, ასევე უნდა დაიცვან იურისტებმა მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა გაუმართლებელი ხელყოფისაგან, გაარკვიონ ისინი თანამედროვე რთულ სოციალურ თუ საკანონმდებლო ლაბირინთებში.

სწორედ იურისტები არიან მოწოდებული იმისკენ, რომ გამოიყენონ კანონები. „ინგლისურმა მაგალითმა, თავისი ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარე, თვალნათლივ დავგანახა, თუ როგორ ოსტატურად შეუძლიათ მაღალკვალიფიციურ იურისტებს გამოიყენონ სამართალი მაშინაც, როცა ის კანონებში, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად მიღებულ აქტებში არაა მოცემული“.³

ყოველი დიდი საკანონმდებლო აქტის ცხოვრებაში დანერგვა უადრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. ამ აქტების ავტორები ან სულისჩამდგმელები ხშირად იმდენად იყვნენ თვითდაჯერებული, რომ სამართლის მოცემული სფეროს მოწესრიგებას დასრულებულად მიიჩნევდნენ. მაგალითად, იუსტინიანემ აკრძალა თავისი კანონთა კრებულის კომენტირება, ნაპოლეონი კი ამბობდა, როცა განდებდა ნაპოლეონის კოდექსის კომენტარები, მაშინ შეიძლება ეს ქმნილება დაკარგულად ჩაითვალოსო. ფრიდრიხ დიდმა თავის პოლიტიკურ ანდერძში ჩაწერა: ხელმწიფე არ უნდა ჩაერიოს სამართლის საკითხის გადაწყვეტაში, მხოლოდ კანონები უნდა ბატონობდნენ. იგი წინააღმდეგი იყო კანონთა კომენტირების. კანონის მნიშვნელობის ასეთი გადაჭარბებული შეფასება და კომენტირების წინააღმდეგ გამოსვლა არ იყო შემთხვევითი: უმნიშვნელოვანეს კანონთა იდეურ მამებს ეამაყებოდათ ამ კანონთა შექმნა და მათ უდიდეს სოციალურ გარდაქმნებს უკავშირებდნენ.⁴ აი, როგორი სიტყვებით ამკობს Corpus Iuris Civilis-ის ინსტიტუტების ავტორი იმპერატორ იუსტინიანეს და მის კანონშემოქმედებით საქმიანობას: „მისი იმპერატორული უდიდებულესობა არა მხოლოდ იარაღით უნდა იყოს აღჭურვილი, არამედ კანონებითაც შემკული. მაშინ ხელეწიფება მას ყოველ დროს, ომსა თუ მშვიდობიანობისას, კარგად მართოს და რომის იმპერატორი დარჩება გამარჯვებული არა მხოლოდ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ იმითაც, რომ კანონის გზით მოიგერიებს ბოროტმშრახველთა უსამართლობებს“.⁵ გავა თითქმის ცამეტი ასწლეული და სამოქალაქო კოდექსის შექმნით აღტაცებული ნაპოლეონი იტყვის:

2. Schnitzer, Adolf F. Vergleichende Rechtslehre. Bd. II. 2. Aufl. 1961. S. 443 (შემდგომში — Schnitzer, Bd. II).

3. Schnitzer, Bd. II, S. 443.

4. Schnitzer, Bd. II, S. 448.

5. Corpus Iuris Civilis. Institutionen. Band I. Heidelberg. 1990, XIII.

ყველა ჩემს გამარჯვებას ერთი ვატერლოოს დამარცხება წაშლის, მაგრამ რაც დაუვიწყარი დარჩება, ესაა სამოქალაქო კოდექსი. „მაგრამ არასდროს არ იქნება ადამიანის ხელით შექმნილი ისე ნათელი და ყველა შემთხვევის უზალოდ შემწესრიგებელი, რომ მას განმარტებები არ სჭირდებოდეს“.⁶ თვით ფრანგული სამოქალაქო კოდექსიც კი ვერ ასცდა კომენტარების აუცილებლობას, კოდექსი, რომლის ენა იმდენად დახვეწილად და სრულყოფილად ითვლება, რომ მხატვრული სიტყვის დიდოსტატი სტენდალიც კი კითხულობდა ამ კოდექსის აბზაცებს დღეში რამდენიმეჯერ, რათა „გაემახვილებინა თავისი ენის განცდა“.⁷

არა მხოლოდ არაიურისტებისათვის, თვით იურისტებისთვისაც კი არ არის ადვილი კანონთა ტექსტში მოცემული წინადადებების ერთგვაროვანი გაგება. ისტორიულად ამას მრავალი მიზეზი განაპირობებდა; როგორ უნდა გაეგებულიყო რამდენიმე ათეული წლის წინ კანონმდებლის მიერ წარმოთქმული ფრაზა თანამედროვე პირობებში ანდა როგორ უნდა გაეგოთ ახალი ცხოვრების დამწერტავი ნორმები ძველი მართლშეგნების მატარებელ იურისტებს?

სწორედ ამიტომ წარმოიშვა ისტორიულად კანონების ინტერპრეტაციის აუცილებლობა. რომის სამართალთან დაკავშირებით ამგვარი კომენტარების თვალსაჩინო მცდელობა იყო გლოსატორების საქმიანობა.⁸ კანონთა კომენტარების აკრძალვა არ იყო ერთადერთი ფორმა ახლადმიღებული კანონების გააქყენებისა. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა, რომ ყოველ ათწელიწადში კომისიას წარმოშობილი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა შეემუშაებინა ცვლილებების პროექტი.⁹

დღეს გაბატონებულია შეხედულება, რომ ყოველი კანონი მხოლოდ მცდელობაა ისე მოაწესრიგოს ურთიერთობები, როგორც ის კანონმდებელს მოცემულ შემთხვევაში წარმოუდგენია. მხოლოდ პრაქტიკას შეუძლია შემდეგში დაამტკიცოს, თუ რამდენად გაამართლა ამან. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ მოსაწესრიგებელი ურთიერთობები მუდმივად იცვლებიან. პრაქტიკულად წარმოიშობა მოთხოვნილება, რომ კანონი მიესადაგოს ამ შეცვლილ ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, კანონის გამოცემით კი არ მთავრდება მოცემულ სფეროში იურიდიული მოღვაწეობა, არამედ იწყება მხოლოდ — ამოქმედდება სასამართლო პრაქტიკა და სამართლებრივი დოქტრინა.¹⁰

როგორც საკოდიფიკაციო მოღვაწეობის გააქტიურების ორსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, შეუძლებელია ისეთი კანონის მიღება, რომელსაც ხარვეზი არ ჰქონდეს. უზალო და უხარვეზო კანონის შემუშავება უტოლია. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა უაღრესად პრაქტიკული საკითხი: როგორ შეიძლება კანონის ამ ხარვეზის გამოსწორება:

— ყველაზე პრიმიტიული გადაწყვეტა იქნებოდა გადასაწყვეტი შემთხვევის დატოვება დიდად, ე. ი. მისი გადაუწყვეტელობა ნორმის არ არსებობის მოტივით. ამას, სრულიად სამართლიანად, მართლწესრიგის გაკოტრებას უწოდებენ.¹¹

6. Schnitzer, Bd. II, S. 443.

7. Zweigert/Kötz. Einführung in die Rechtsvergleichung. 3. Aufl. 1996. S. 90.

8. გლოსატორები არიან ბოლონის უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებმაც XIII საუკუნეში აღმოაჩინეს რომის სამართალი და ამ სამართლის ტექსტზე დაიწყეს აღნიშვნების (გლოსების) გაკეთება, რაც კომენტარებას ისახავდა მიზნად (Deutsches Rechtslexikon, Band 2. 2. Aufl. S. 267-268).

9. Schnitzer, Bd. II, S. 444.

10. Schnitzer, Bd. II, S. 445.

11. Schnitzer, Bd. II, S. 448.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც ფრანგული სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეს ამის უფლებას არ აძლევს;

— ამგვარი რამ თავიდან რომ ავიცილოთ, მოსამართლეს უნდა მივანიჭოთ უფლება კანონი გამოიყენოს ყველა შემთხვევისათვის, როგორც ფრანგული კოდექსი პირდაპირ ავალდებულებს მოსამართლეს (მუხ. 4). მისი გავლენით შეიქმნა შესაბამისი ქართული ნორმაც.

თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს და გადადის ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში, მაშინ პრაქტიკულად ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან. რეალურად ეს არის სამართალშემოქმედება. კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტარების შედეგად მოსამართლის მიერ ქცევის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოსამართლო სამართალშემოქმედება ეწოდება, ხოლო ამ გზით მიღებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას — სამოსამართლო სამართალი. თუ მოცემული სამართალი ამგვარ სამართალშემოქმედებას უშვებს, მაშინ გადასაწყვეტია საკითხი, თუ ვის უნდა ბინენიჭოს ამის უფლება. აქაც რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს:

ა. პირველი ლეგალური ინტერპრეტაციის ნაირსახეობაა, როცა განმარტების უფლება ენიჭება სპეციალურ ორგანოს (კომისიას, სპეციალურ საბჭოს ან თვით საკანონმდებლო ორგანოს);

ბ. მეორეა, როცა ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს ეძლევა უფლება მიიღოს ქვემდგომი სასამართლოებისათვის სავალდებულო განმარტებები. ეს არის საბჭოთა კავშირში გაბატონებული და მისი დაშლის შედეგად საქართველოში შემორჩენილი მოდელი;

გ. მესამე და ყველაზე გავრცელებული შესაძლებლობაა, როცა მოსამართლეს აქვს უფლება მინიჭებული ინტერპრეტაციის გზით განავითაროს სამართალი, ე. ი. შეავსოს კანონი.¹² „განმარტება ხორციელდება მოსამართლის მიერ და მას ნიადაგს უმზადებს მეცნიერება. მხარეებმაც უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი ურთიერთობების მოწესრიგებისას კანონის შინაარსის შესახებ განმარტების საფუძველზე საკუთარი აზრი.“¹³

დაწერილი სამართლის ანუ კანონის სამართლის კლასიკურ ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი და გერმანია, XIX—XX საუკუნეების მანძილზე სასამართლომ უდიდესი როლი შეასრულა სამართლის განვითარებაში და ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ მონტესკიეს ხელისუფლებათა დანაწილების თეორია და ფრანგული რევოლუციური იდეოლოგია კატეგორიულად ებრძოდა იმას, რომ მოსამართლეს სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილება ჰქონოდა. კანონში ხარვეზის აღმოჩენისას საკასაციო სასამართლოს უნდა მიემართა კანონმდებლისთვის.¹⁴ თუმცა მოსამართლეთა უფლებების ამგვარ რადიკალურ შეზღუდვებს დიდხანს არ უარსებია საფრანგეთში. სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის დროისთვის ეს მოძღვრება უკვე აღარ წარმოადგენდა გაბატონებულს. ამაში მნიშვნელოვანი როლი პორტალისმაც ითამაშა, რომელიც ხაზგასმით ამბობდა, რომ დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის მიჩნევა უხარვეზო კანონად და რომ კანონში ხარვეზის აღმოჩენისას ან ნორმის ბუნდოვნობისას

12. მაგალითად, შვეიცარიის კოდექსის პირველი მუხლი.

13. Tuhr, Andreas von, Der Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. Bd I, S 37. (Tuhr v. Bd. I).

14. Ferid/Sonnenberger. Das französische Zivilrecht. 1/1. S. 155.

მოსამართლეებს უფლება არა აქვთ უკან დაიხიონ.¹⁵ ამის ნორმატიული დადგენილება სწორედ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი იყო. ცხადია, სამართლის განვითარების პროცესში სასამართლო ფართოდ იყენებდა იურიდიული მეცნიერების მიღწევებს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა დაახლოებით ორასი წლის წინ მიღებული კანონის გამოყენება დღევანდელ პირობებშიც. უამრავი ინსტიტუტი თანამედროვე სამართალში სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად შევიდა.

კანონთა ინტერპრეტაციისას ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, განმარტების დროს კანონმდებლის ნება უნდა დადგინდეს თუ კანონს აქვს „თავისი საკუთარი ცხოვრება“¹⁶ და ის უნდა იქნეს საზომად მიჩნეული. კონტინენტურ ევროპაში დიდი ხნის მანძილზე უპირატესობას სწორედ კანონის წარმოშობის ისტორიას ანიჭებდნენ: კანონის შემმუშავებელი კომისიების მასალებში, პარლამენტების სხდომათა ოქმებსა და სტენოგრაფიულ ჩანაწერებში ეძებდნენ იმ არსებითს, რომელიც კანონის სწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას მისცემდა მათ. ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარე, ინგლისში ეს მეთოდი ინტერპრეტაციისთვის არასდროს არ გამოუყენებიათ: კანონშემოქმედებით საქმიანობაში ინგლისის პარლამენტი არასდროს არ ასრულებდა იმ როლს, რასაც კონტინენტური ევროპის ქვეყნების პარლამენტები.

ბოლო დროს გაბატონებული შეხედულების თანახმად, კანონის ისტორია ნაკლებად გამოდგება მისი ინტერპრეტაციისთვის: კანონის ნორმას სრულიად განსხვავებულ პირობებში უხდება მოქმედება, ხოლო მოსამართლეს საკითხის გადაწყვეტა: ასე, რომ კანონის წარმოშობის პირობების კვლევა ასე წლის შემდეგ წარმოშობილი პრობლემის გადასაწყვეტად გაუმართლებელია.¹⁷

თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციები მოსამართლეს უფლებამოსილებას ანიჭებენ საკითხი გადაწყვიტოს არა მხოლოდ კანონის გრატიკული განმარტების, არამედ ლოგიკური განმარტების საფუძველზე გონივრული არგუმენტების მიხედვით, ანალოგიის ნიადაგზე და ნორმის მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით.

კანონთა ინტერპრეტაციის თავისებურებანი

კერძო სამართალი, როგორც წესი, შედგება კანონის სამართლისაგან და კანონის ნორმების განმარტებისა და განვითარების შედეგად შექმნილი სამოსამართლო სამართლისაგან.¹⁸ საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სამოსამართლო სამართალი კანონის სამართლის განვითარების, მისი მომსახურების შედეგად შეიქმნა. ამიტომ იგი პრინ-

15. Ferid/Sonnenberger, I/1, S. 155.

16. Schnitzer, Bd. II, S. 451.

17. სხვადასხვა ქვეყნის კანონი სხვადასხვაგვარად წყვეტს მოსამართლის უფლებამოსილების საკითხს კანონის ხარვეზის ამოცემებისას: შვეიცარიის ცივილური კოდექსის 1-ელი მუხლი; ესპანეთის კოდექსი უთითებს ადგილობრივ ჩვეულებით სამართალზე, ხოლო თუ ისინი არ არსებობს, მაშინ სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე (§ 6); თურქეთის კოდექსის მე-4 მუხლი მოსამართლეს ანიჭებს უფლებას თავისი მიზანშეწონილობის შესაბამისად გადაწყვიტოს ეს საკითხი; იტალიის კოდექსი ჯერ კანონის ანალოგიას ითვალისწინებს, ხოლო შემდეგ კი — იტალიის მართლწესრიგის ზოგად პრინციპების საფუძველზე გადაწყვეტას; იაპონიის სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის მიხედვით კანონი უნდა განიმარტოს ადამიანის ღირსებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საფუძველზე; ეგვიპტის სამოქალაქო კოდექსი უთითებს ისლამურ სამართალსა და არაპირდაპირ კი — ბუნებით სამართალზე.

18. J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen. 13. Aufl. Erstes Buch, Rn. 114 (Staudinger, Buch, Rn).

ციპულად განსხვავდება საერთო სამართლის ქვეყნებში მოქმედი სამოსამართლო სამართლისაგან: იგი ეხმარება, ავსებს და განავითარებს კანონის სამართალს.¹⁹

რას ნიშნავს კანონის განმარტება? კანონის განმარტება ნიშნავს კანონის ხუნდოვანი ადგილების დაზუსტებას, ტექსტის მნიშვნელობის დადგენას.

იურიდიული ტექსტები — განსაკუთრებით კანონისა და სამოსამართლო სამართლის ცალკეული წინადადებები — ქმნიან ტექსტების სპეციალურ ტიპს: სოციალური წესრიგის ცალკეულ წინადადებებს ანუ „წესრიგის წინადადებებს“; ისინი ამგვარად უნდა იქნენ გაგებული და წაკითხული. ეს განასხვავებს მათ სხვა სახის მხატვრული, ფილოსოფიური და ა. შ. ტექსტებისაგან. მათი გაგება ნიშნავს იმის გაცნობიერებას, თუ რომელი წესრიგის დამყარება სურდა კანონმდებელს ან მოსამართლეს, მოკლედ რომ ვთქვათ, სამართალშემოქმედს.“²⁰

ვინაიდან კანონის წინადადებები წესრიგის წინადადებებს წარმოადგენენ, აქედან გამომდინარეობს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა. „მოსამართლე ვალდებულია, მასთან მოსული ყველა სადავო საკითხი კანონიდან გამომდინარე გადაწყვიტოს. მას არა აქვს უფლება უარი თქვას დავის გადაწყვეტაზე“.²¹ ამდენად, მოსამართლე სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი ან კომენტატორი. მან უნდა გადაწყვიტოს მასთან მოსული ნებისმიერი ჩასიათის დავა; მაგრამ ეს უნდა გააკეთოს არა სათუოდ, არამედ სამართლიანად და, ამავე დროს, კანონის მიხედვით. მან უნდა გადაწყვიტოს ეს დავა, მიუხედავად იმისა, კანონი ზუსტად იძლევა პასუხს მასზე თუ არა. არც ერთ კანონმდებელს არ შეუძლია ყველა მომავალი შემთხვევის წინასწარ გათვალისწინება. ყველა კანონს, მათ შორის ყველა კოდიფიკაციას ექნება ხარვეზი. „კანონში ხარვეზის“ ცნება იურიდიულ მეცნიერებაში შემოიღო ციტელმანმა ამ საუკუნის დასაწყისში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით მომზადებულ ნაშრომში.²²

კანონში არსებული ხარვეზის ამოცემა შეადგენს მოსამართლის ამოცანას. კანონის ანალოგიური ნორმის ინტერპრეტაციის საფუძველზე ის პრაქტიკულად ახალ ნორმას ქმნის, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია სამართლის განვითარებისათვის. ამიტომ კანონის განმარტების თანამედროვე თეორიები პრაქტიკულად სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლის განვითარების თეორიებია.²³

ფართო გაგებით განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს. მას მიეკუთვნება:

- ნორმების ჩამოყალიბება ანალოგიის საფუძველზე;
- ნორმების განვითარება ზოგადი დებულებებიდან, როგორცაა „რწმენა და ნდობა“, „ზნეობა“, ანდა განუსაზღვრელი ცნებიდან „მნიშვნელოვანი საფუძველებიდან გამომდინარე“ და ა. შ.²⁴

კანონთა განმარტება ჰაერიდან არ ზდება. იგი ემყარება განსაზღვრულ

19. Staudinger, Buch I, Rn. 114.

20. Staudinger, Buch I, Rn. 121.

21. Staudinger, Buch I, Rn. 121.

22. Zitelmann, Lücken im Recht. 1903.

23. Staudinger, Buch I, Rn. 124.

24. Staudinger, Buch I, Rn. 126.



პრინციპებს,²⁵ რომელთა გამოყენების გარეშე ყოველგვარი განმარტება თვითნებობის ხასიათს მიიღებდა. მათგან უმნიშვნელოვანესია:

ა. ობიექტურობის პრინციპი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინტერპრეტაცია კანონის ტექსტს უნდა ემყარებოდეს და მაქსიმალურად ცდილობდეს კანონის ტექსტის საფუძველზე დაადგინოს კანონის აზრი, განავითაროს იგი;

ბ. ერთიანობის პრინციპი. იგი ამბობს, რომ კანონის თითოეული ნორმა კანონისაგან მოწყვეტილად კი არ უნდა იქნეს წაკითხული, არამედ ტექსტთან ერთად მთლიანობაში. კერძო უნდა გამოდიოდეს ზოგადიდან და ზოგადი კერძოდან;

გ. გენეტიკური განმარტების პრინციპი. მის თანახმად, ტექსტის განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი წარმოშობა, კანონის წარმოშობის ობიექტური, ენობრივი, კულტურული და საზოგადოებრივი პირობები, ასევე კანონის ტექსტის ავტორები;

დ. განმარტება შედარებების მეშვეობით ბოლო პრინციპია. იგი მიზნად ისახავს ანალოგიურ სფეროში და ანალოგიურ დროს წარმოშობილი კანონთა ტექსტების ურთიერთშედარებას და ამის საშუალებით განმარტების განხორციელებას.²⁶

ობიექტურობის პრობლემა სამოსამართლო სამართალში

გადაწყვეტილებების მიღების დროს მოსამართლე ყოველთვის აკეთებს შეფასებებს: ფაქტების, მოვლენების, ურთიერთობების შეფასებებს. უეჭველია, რომ ყოველგვარი შეფასება ობიექტურთან ერთად უმეტესად სუბიექტურ ფაქტორებს ემყარება. ამიტომ უმთავრესი პრობლემა სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლის განვითარებისას მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეიძლება იქნეს მოსამართლეთა ობიექტურობა უზრუნველყოფილი. საიდან იღებს მოსამართლე ობიექტურობის შეფასების კრიტერიუმებს? რას ემყარება მის მიერ სამართლიანობის განცდა და ა. შ. ესაა ის კითხვები, რომლებიც ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ალელვებს საზოგადოებას, სამართლის მეცნიერებას და ბოლოს — სასამართლო პრაქტიკას.

ლიტერატურაში განსაზღვრულია ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ან უნდა უზრუნველყონ სასამართლო გადაწყვეტილებათა და შეფასებათა ობიექტურობა. შევეცდები ეს პირობები მოკლედ ჩამოვყავალიბო:

ა. საუბნო სასამართლოს შემდეგ ყველა ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიურად, ე. ი. რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობით. კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებული დისკუსიები მოსამართლეთა შორის უზრუნველყოფენ ენობრივი და ლოგიკური მსჯელობის ერთიანობას;

ბ. კოლეგიური სასამართლოებიც არ არიან იზოლირებული. მათ გარდა სხვა სასამართლოებსაც უხდებათ ანალოგიური საკითხების გადაწყვეტა. ასე, რომ სხვა მოსამართლეებიც დგანან შეფასების ანალოგიური პრობლემების წინაშე. საკითხის გადამწყვეტი სასამართლო ყოველთვის ცდილობს გაეცნოს გამოკვეთებულ სასამართლო პრაქტიკას — სხვა სასამართლოების მიერ ანალოგიურ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომ მათი გამოცდილება და შეფასების კრიტერიუმები გაითვალისწინოს. სასამართლო, უწინარეს ყოვლისა,

25 გერმანულ ლიტერატურაში მათ „Kanone“-ს უწოდებენ. ვინაიდან კანონს ქართულ ენაში უფრო სხვა დანიშნულება აქვს, მათ მე აქ პრინციპებს ვუწოდებ.

26. Staudinger, Buch I, Rn. 131.

ანგარიშს გაუწევს მოცემულ საკითხზე ზედან ინსტანციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მათ შეფასების კრიტერიუმებს. ყველა დონის სასამართლოთა გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შედეგად იქმნება დიდძალი მასალა (პრეიუდიციები). მართალია, ეს გადაწყვეტილებები სხვა სასამართლოებისთვის სავალდებულო არ არის, მაგრამ ყოველი სასამართლო ცდილობს ანგარიში გაუწიოს მათ, ვინაიდან ისინი ასახავენ სასამართლო პრაქტიკის განვითარების თანამედროვე დონეს;

გ. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოებს შორის არსებობს მუდმივი კავშირები, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევენ გაეცნონ ერთმანეთის გამოცდილებას;

დ. გადაწყვეტილებების მიღების დროს შეფასებათა კრიტერიუმების შემუშავებისას სასამართლოები მართო როდი არიან. სამართლის მეცნიერება, დიდძალი იურიდიული ლიტერატურა, კანონების ინტერპრეტაციის საფუძველზე მოსამართლეებს საკითხთა გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტებს სთავაზობენ. აურიდიულ მეცნიერებას მართლმსაჯულების წინაშე სხვა ვალდებულებაც აკისრია: სასამართლოთა გადაწყვეტილებები მათი ლოგიკის, კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეამოწმოს;

ე. სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებას შორის სისტემატიურად ხორციელდება ორმხრივი შესწორებები და კონტროლი;

ვ. სასამართლო პრაქტიკის ობიექტურობაზე კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საზოგადოებრივი აზრი. იგი ყალიბდება მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების პრესაში გამოქვეყნებისა და მისი საჯარო კომენტარების გზით. მოსამართლე უნდა იყოს არა მხოლოდ სამართლიანი, არა-ღედ დამაჯერებელიც.²⁷

სასამართლო შეფასებათა ობიექტურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევენ იმას, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებათა მიღებისას არა მხოლოდ კანონს უნდა ემყარებოდეს, არამედ არსებული სამართლებრივი პოლიტიკის რეალობებს.²⁸ იმავდროულად, ეს არ უნდა იყოს დამწყვეტი საკითხის გადაწყვეტისას. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ამან შეიძლება სახიფათო შედეგებაც გამოიღოს.

სამოსამართლო სამართლის მოქმედების უარგლები

კანონის ნორმებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო ძალა აქვთ და ინარჩუნებენ მას, ვიდრე კანონი ოფიციალურად არ გაუქმებულა, სამოსამართლო სამართლის ნორმების მოქმედება სრულიად განსხვავებულია. ასეთი ნორმები წარმოიშობა სასამართლოს მიერ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას, როცა მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა. მისი მოქმედება კი „მდგომარეობს იმაში, რომ სხვა სასამართლოები ანალოგიური შემთხვევების გადაწყვეტისას ითვალისწინებენ და შეძლებისდაგვარად იცავენ მათ. გადაწყვეტილებათა გათვალისწინების ხარისხი შეიძლება სრულიად სხვადასხვა იყოს. ამავე დროს, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს სამოსამართლო სამართლის ნორმებისაგან“.²⁹

პრეიუდიციული ფაქტები რომ სასამართლოებისათვის სავალდებულო იყოს,

27. Schwab, Dieter, Einführung in das Zivilrecht. 11. Aufl. Rn. 117-121.

28. Esser, J., Vorverständnis und Methodenwahl in der Rechtsfindung, 3. Aufl. 1972, S. 171.

29. Staudinger, Buch I, Rn. 224.

ასეთ რამეს კონტინენტური ევროპის სამართალი არ იცნობს. ე. ი. ერთი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის სხვა სამართლოსთვის. ამიტომ ფორმალური თვალსაზრისით სამოსამართლო სამართალს მბოჭავი ხასიათი სასამართლოების მიმართ არა აქვთ. იმავდროულად, „სასამართლოები ვალდებული არიან ყურადღება მიაქციონ ამ გადაწყვეტილებებს, შეამოწმონ ისინი და დასაბუთებული წინაპირობების გარეშე არ გადაუხვიონ მათ“.³⁰ ამ საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვთ დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებულ ზემდგომი სასამართლოების სასამართლო პრაქტიკას. მათგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული საფუძვლების არსებობისას.³¹

თანამედროვე მოძღვრება მოსამართლეს უფლებას აძლევს კანონის კონკრეტული ნორმების ინტერპრეტაციისას განავითაროს სამართალი. ამ შემთხვევაში სადავო სწორედ ისაა, თუ რამდენად იურიდიული ძალის მქონეა სასამართლოს მიერ ამ გზით შემუშავებული ნორმა სხვა სასამართლოებისთვის. ფრანგული სამართალი. ისევე როგორც კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების სამართალი არ იცნობს პრეცედენტს, ე. ი. ინსტიტუტს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალას ანიჭებს სხვა სასამართლოებისთვის. ყოველი მოსამართლე კონტინენტური ევროპის სამართალში თავისუფალია და შეუძლია გადაუხვიოს აღრინდელ გადაწყვეტილებებსა და სასამართლო პრაქტიკას. მართალია, საკასაციო სასამართლოს ზრუნვის საგანია კანონთა ერთიანი განმარტებისა და განვითარების უზრუნველყოფა, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები პირდაპირ არ ბოჭავენ ქვემდგომ სასამართლოებს.

სამოსამართლო სამართლის ნორმაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული წესი სცილდება მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმის ფარგლებს და ზოგადი ქცევის წესის ხასიათს იძენს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: თანამედროვე საფრანგეთში, როცა ლაპარაკია სამოსამართლო სამართალზე, იგულისხმება წესები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მოსამართლეების მიერ კანონთა განმარტების, დაკონკრეტების და შევსების გზით, რომლებიც სცილდება კონკრეტული შემთხვევის ფარგლებს და სასამართლოთა ფუნქციიდან გამომდინარე ურთიერთობის მონაწილეთათვის კანონის ძალა აქვთ.³²

სამოსამართლო სამართლის გავლენა სამართველო სამოქალაქო კოდექსზე

როგორც უკვე დავინახეთ, უხარვეზო და ყველასთვის გასაგები კანონების შექმნის მრავალ მცდელობას დღემდე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. თვით შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც ლიტერატურაში ყველაზე „ხალხურ კოდექსად“ არის მიჩნეული, სრულიადაც არ არის ხალხისთვის გასაგები ენით დაწერილი. ამის ერთი დასახვით თვალშისაცემი გამოხატულება ისიცაა, რომ შვეიცარიის ცივილური კოდექსისა და ვალდებულებითი სამართლის კომენტარები ოცჯერ და უფრო დიდია, ვიდრე თვით კანონთა ტექსტები.

30. Staudinger, Buch I, Rn. 228.

31. Staudinger, Buch I, Rn. 229.

32. Ferid/Sonnenberg, S. 159.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ იუსტინიანეს, ნაპოლეონის, ფრიდრიხ დიდისა თუ სხვათა მცდელობები — აეკრძალათ კანონის კომენტარები და სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, მართლა დანერგილიყო ცხოვრებაში. ნებისმიერი სამოქალაქო კოდექსი მისი მიღებიდან სრულიად მოკლე დროში სამუხეუძო ექსპონატად გადაიქცეოდა, ვინაიდან არც ერთ კანონს არ ძალუძს სრულყოფილად გასცეს პასუხი ყველა იმ კითხვას, რომელსაც რეალური ცხოვრება წარმოშობს. ამიტომ თანამედროვე იურისპრუდენციაში არავითარ ეჭვს არ იწვევს ეს ფაქტი, რომ კანონს აუცილებლად ექნება ხარვეზი. არც ერთ იურისტს არ წარმოეშობა იმის ილუზია, რომ კანონი შეიძლება უხარვეზო იყოს.

რა იქნებოდა თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, რომ სასამართლობებს არ ჰქონოდათ სამოსამართლო სამართალშემოქმედების უფლება. მრავალი ინსტიტუტი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად დაამკვიდრდა. მაგალითად, დელიქტურ სამართალში ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ოთხიოდე მუხლს შეიცავს, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავენ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. თუ მხოლოდ ამ მუხლებით გვინდა გავიგოთ ფრანგული დელიქტური სამართალი, მაშინ როგორი იმედგაცრუებული დავრჩებით: ნუთუ ფრანგებმა უკეთესი რამ ვერ შექმნეს? მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტური ევროპის სამართალი დაწერილი სამართალია და კანონს უპირატესი სამართლის წყაროს ფუნქცია კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, მხოლოდ ამ კანონების საფუძველზე თანამედროვე სამართლის გაგება პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება დიდერიქსენის სიტყვები გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიმართ, რომ მხოლოდ ამ კოდექსით პრაქტიკულად შეუძლებელია სწორი წარმოდგენა შეგვექმნას გერმანიის სამოქალაქო სამართალზე, თუ მთელს სასამართლო პრაქტიკას არ მივიღებთ მხედველობაში.³³

ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა დიდი გამოცდილება, რომელიც დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში დაგროვდა სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად და საკანონმდებლო წესით განამტკიცა ის, რაც ბევრ ქვეყანაში მხოლოდ სამოსამართლო სამართლის შედეგად შექმნილ ინსტიტუტებად მიიჩნევა. თვალსაჩინოებისთვის მე მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიხმობ აქ.

ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა, როგორცაა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საკუთარი გამოსახულება და ა. შ. ფრანგულ და გერმანულ სამართალში მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა და სამოქალაქო სამართლის სრულიად ბუნებრივ ინსტიტუტებად იქცნენ. ამიტომ, იმედგაცრუებული შეიძლება დარჩეს ის იურისტი, რომელიც პატივისა და ღირსების დაცვის ნორმებს ამ ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში დაუწყებს ძებნას. ის მათ იქ ვერ იპოვის და შეიძლება დაასკვნას კიდევ, რომ ფრანგული და გერმანული სამოქალაქო სამართალი პატივისა და ღირსებას არ იცავენო. ეს რომ ასე არ არის, ამაში ჩვენ დავრწმუნდებით, როცა პირად უფლებებს შევხებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა ეს გამოცდილება და პირადი უფლებები ზოგად ნაწილში განამტკიცა.

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა მომავალი ხელშეკრულების პარტნიორები მოცემულ ხელშეკრულებას ამა თუ იმ გარემოებასთან დაკავშირებით დებენ. მაგალითად, თუ მოცემულ ქვეყანაში საბაჟო გადასახდელები დაბალი იქ-

ნება, ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს პირობები შეიცვალა, რაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს არათანაბარ და არახელსაყრელ დღგომარეობაში აყენებს. დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმა, რომელიც ხელშეკრულების მხარეს უფლებას აძლევს ასეთ შემთხვევაში მოითხოვოს ან ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ანდა ხელშეკრულების მოშლა. ანალოგიურ ნორმას, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ვერ ნახავთ. ქართულმა კოდექსმა გაიზიარა სამოსამართლო სამართლის მიერ შექმნილი ეს ინსტიტუტი და 398-ე მუხლში განამტკიცა ხელშეკრულების მოშლის უფლება შეცვლილი გარემოებების გამო.

ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებისთვის უცხო, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტთა კატეგორიას მიეკუთვნება ე. წ. culpa in contrahendo. ე. ი. ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების დადების პროცედურასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების დადების შემდეგ. როგორც მეცნიერებაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მხარეები თვითონ კისრულობენ. მაგრამ თუკი აღმოჩნდება, რომ ერთი მხარის დასადგებად გამზადებული ხელშეკრულება არ დაიდო მეორე მხარის ბრალით, სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმათა მთელი ჯგუფი, რომელიც ბრალულ მხარეს პასუხისმგებლობას აკისრებს. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების არც ეს გამოცდილება დაუთოვებია ქართულ კოდექსს უყურადღებოდ და 317-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში განამტკიცა მნიშვნელოვანი ნორმები: „მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილისაგან მოითხოვოს ანაზღაურება იმ ხარჯებისა, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადგებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის დაუდევარი მოქმედების შედეგად არ დადებულა“.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს ე. წ. პოზიტიური სახელშეკრულებო დარღვევები, ე. ი. ისეთი დარღვევები, რომლებიც უშუალოდ ხელშეკრულების შინაარსიდან არ გამომდინარეობენ, არ განეკუთვნებიან მხარეთა ძირითად მოვალეობებს, მაგრამ მათი შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების მეორე მხარეს ზიანი წარმოეშობა (მაგალითად, ინფორმაციის მიცემა მისაწოდებელი საქონლის თაობაზე, ნდობისა და ურთიერთრწმენის მოვალეობის შეუსრულებლობა და ა. შ.). რთული ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ამ მოვალეობათა დარღვევა ხშირად დიდ მატერიალურ ზიანსაც იწვევდა. ამიტომ სასამართლო პრაქტიკა იძულებული გახდა ყოველივე ეს გაეთვალისწინებინა და პრაქტიკულად ახალი ნორმები შეექმნა. ქართულმა კოდექსმა მრავალ ადგილას განამტკიცა ეს უადრესად საჭირო და აქტუალური ნორმა. მაგალითად, 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი ან 318-ე მუხლი.

ეს მაგალითები იმისთვის არ მომიხმია, რომ მეჩვენებინა, თუ რამდენად თანამედროვეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, არამედ იმისთვის, რომ უთანამედროვესი კოდექსებიც კი შეიძლება მალე მოძველდნენ, ჩამორჩნენ დროს და უვარგისი აღმოჩნდნენ, თუკი მათ გვერდს არ უმშვენებს ცოცხალი სამოსამართლო მოღვაწეობა; მკვდარ ნორმებს სული უნდა შთაბეროს მოსამართლემ, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ამ უსულო ნორმების მისადაგება ცოცხალი ცხოვრებისეული მოვლენებისადმი, აბსტრაქტული ნორმების ქვეშ კონკრეტული ფაქტების მოქცევა.



მოსამართლეს არა აქვს უფლება უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე მაშინაც კი, როცა იცის, რომ კონკრეტული საკითხის მომწესრიგებელი ნორმა კანონში არ მოიპოვება. მან უნდა ეძებოს ანალოგიური ნორმა. აღმოჩნდება, რომ არც ანალოგიური ნორმა არსებობს. მაშინ მან სამართლის ანალოგიას უნდა მიმართოს. ამ პროცესში მოსამართლე ფაქტობრივად ახალ ნორმას ქმნის, როგორც მაგალითად გერმანელმა მოსამართლემ თქვა: „პირადი უფლება არის აბსოლუტური უფლება და იგი დაცული უნდა იქნეს დელიტური სამართლით“, თუმცა სამოქალაქო კოდექსი ამგვარ რამეს პირდაპირ არ ითვალისწინებდა.

სწორედ სასამართლო პრაქტიკამ გახადა შესაძლებელი, რომ ორასი წლის წინ მიღებული ფრანგული სამოქალაქო კოდექსი დღესაც ცოცხალია, რომ ასი წლის წინ მიღებული გერმანული სამოქალაქო კოდექსი მომავალი იუბილეებისთვის ემზადება, რომ შვეიცარიის ცივილური კოდექსი მოკლე ხანში თავისი დაზადების ასი წლის იუბილეს აღნიშნავს და ა. შ. ამის თქმა შეიძლება ყველა იმ ქვეყნის სამოქალაქო კოდექსზე, რომლებმაც კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციებში ჰპოვეს თავისი თვითდამკვიდრებისა და განვითარების გზა. რაც შეეხება ინგლისურ-ამერიკულ სამართალს, იგი მხოლოდ და უმთავრესად სამოსამართლო სამართლის საფუძველზე ვითარდება. „კანონები მხოლოდ კორექტირებას უკეთებენ ამ განვითარებას“.³⁴ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი ინგლისურ-ამერიკული კერძო სამართალი მოსამართლეთა ბრწყინვალე ხელოვნებამ შექმნა და ამას ინგლისელი იურისტები სიაწყაით თვლიდნენ გამარჯვებულად.³⁵

ის, რომ კანონები ბევრ კითხვაზე საერთოდ არ იძლევიან ან იძლევიან სრულიად ბუნდოვან პასუხს ანდა მხოლოდ ზოგადი დებულებებით კმაყოფილდებიან, თანამედროვე სამართალში ბუნებრივ მოვლენად ითვლება.³⁶ უფრო მეტიც, კანონთა არასრულყოფილებას აუცილებლობადაც კი მიიჩნევენ.³⁷

კანონის ხარვეზს, მის არასრულყოფილებას ყველაზე უფრო მოსამართლე გრძნობს, ვინაიდან დავის გადაწყვეტის ბოლო ინსტანცია სწორედ მოსამართლეა, არა აქვს მნიშვნელობა, პირველი ინსტანციის თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. სამართლებრივ სახელმწიფოში დავებს არ წყვეტენ არც პარტიის რაიკომები, არც აღმასკომების კომისიები, არც სამინისტროები და მთავრობისა თუ პარლამენტის კომისიები, როგორც ეს საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩა. მხოლოდ მოსამართლეს აქვს უფლება დავას დაუსვას სამართლებრივი წერტილი. კანონის წინადადებათა მრავალგზის წაკითხვის შედეგად მოსამართლე ყველაზე უფრო კარგად ხედავს კანონის ხარვეზს. ამიტომ შემთხვევით არ უწოდებია მოსამართლისთვის „იუსტიციის შეფი“ (Chief justice) ამერიკელ Charles Evan Hughes. მისი ცნობილი გამოთქმა მთელს მსოფლიოს მოედო: „We are under a constitution, but the constitution is what the judges say it is“.³⁸

სამართლის განვითარებაში მოსამართლეთა განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს გერმანიის ფედერაციული სასამართლოს 1966 წლის წლიური ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია: „ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია იურისტებს

34. Heinrich, Dieter, Einführung in das englische Privatrecht. 2. Aufl. 1993, S. 1.
 35. Schnitzer, Bd, II, S. 443.
 36. MünchKommB-ZS. Einleitung, Rn. 61.
 37. Knieper, Rolf, Gesetz und Geschichte, 1996, S. 139-141.
 38. Hughes, Adresses New York 1908, S. 139; Llewellyn, The Constitutions as an Institution, 34 Columbia Law Review I, S. 7.

შორის არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ყველა დროის მონაკვეთში განხორციელებული სამართალი ნარევს წარმოადგენდა კანონის სამართალსა და სამოსამართლო სამართალს შორის, და რომ ის სამართალი, რომელიც სასამართლოთა ცნობიერებაში განხორციელდა, არასდროს არ ამოწურულა იმ სამართლით, რომელიც კანონმდებელმა დააკანონა“.³⁹

სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან როლს სამართლის განვითარებაში არც საბჭოთა სამართლის მეცნიერება უარყოფდა.⁴⁰ პირიქით, მსგავსად კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა, მრავალი ნორმა საბჭოთა სამოქალაქო სამართალში სწორედ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებებისა და გადაწყვეტილებების შედეგად დამკვიდრდა. მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიუღებელია ის, რომ სამოსამართლო სამართალი უნდა შეიქმნას არა პლენუმის განმარტებების საფუძველზე, არამედ კონკრეტულ საკითხებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებით. პლენუმის განმარტებები მნიშვნელოვნად ზღუდავენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. სწორედ ეს არის მიუღებელი საბჭოთა სამოსამართლო სამართლის გაგებიდან.

პორტალისის ცნობილი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „მოსამართლე უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე კანონები“. „სამართლის შექმნა თავდაპირველად მისი კომპეტენცია იყო, რომელიც მხოლოდ კანონმდებლის პრეროგატივით შეზღუდდა, რაც მას სამართალშემოქმედების სფეროში მიენიჭა. ...სინამდვილეში ე. წ. „ხარვეზი“ მოსამართლისთვის წესია“ — უმატებს კრილე თავის ცნობილ წიგნში „სამართალგამოყენების თეორია“.⁴¹

მაშასადამე, კანონის ხარვეზმა მოსამართლე კი არ უნდა შეაშინოს, როგორც ეს ხშირად ქართველ მოსამართლეებს ემართებათ (ამის მიზეზებზე ქვემოთ შევჩერდები), არამედ უნდა უბიძგოს მას ახალი ნორმის შექმნისკენ. ოდნე ეს ნორმა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ საფუძვლებს და მოცემული კანონის სულისკვეთებას. ამას ავალდებულებს მოსამართლეებს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

როგორც ვნახეთ, თანამედროვე სამართალში, უფრო ზუსტად მის განვითარებაში, სასამართლო უდიდეს როლს ასრულებს და ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს თვით კონტინენტური ევროპის სამართალში, მით უმეტეს, პრეცედენტური სამართლის ქვეყნებში და არც ყოფილ საბჭოთა სამართლის დოქტრინაში. მოსამართლე კანონების არა მხოლოდ ბრმა გამოყენებელია, როგორც ამას ხალფინა საბჭოთა მოსამართლეებს საყვედურობდა,⁴² არამედ გამოყენებელი და მის პრინციპებზე დაყრდნობით სამართლის განვითარების აუცილებელი თანამონაწილე. სამართლის განვითარებაში მონაწილეობა მოითხოვს დიდ ცოდნას, მეტოდოლოგიურ განათლებას და ოსტატობას. ამიტომაც უწოდებენ სამართლიანად მოსამართლეთა მოღვაწეობას „სამოსამართლო ხელოვნებას“.⁴³

თუ სამოსამართლო სამართალი თანამედროვე სამართლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, თუ სამართლის განვითარება მის გარეშე წარმოუდგენელია, თუ კანონის ხარვეზი მისი ბუნებრივი თვისებაა და ეს საბჭოთა სამართლისთვისაც არ ყოფილა უცხო, მაშინ რა ადევლებს ქართველ მოსამართლეს, თუ ის კანონში ხარვეზს დაინახავს, რატომ ემსგავსება იგი ჩვეულებრივ მოქა-

39. NJW 1967, 816 ff.

40. Советское гражданское право. Ч. 1, под ред. В. А. Рясенцева. 1986. С. 39—44.

41. Kriele, Theorie der Rechtsgewinnung, 1967, S. 63.

42. Халфина П. О. Материалы научной конференции. Новые гражданские и гражданско-процессуальные кодексы союзных республик. М. 1965. С. 165.

43. Wieacker, Franz, Gesetz und Richterkunst. 1957.

ლაქეს, რომელიც კანონს მხოლოდ თვალს გადაავლებს და მზად არის ხელსაღიშნოს ნათ გააკეთოს დასკვნები? რატომ კარგავს მოსვენებას ქართველი მოსამართლე-ოუკი კანონი მას დავის გადაწყვეტის გზას პირდაპირ არ უთითებს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდები შემდეგ პარაგრაფში.

სოციალიზმიდან გარდამავალი ქართული მართლმსაჯულების პრობლემა

როგორც დავინახეთ, საბჭოთა სამართალი არ უარყოფდა სასამართლო პრაქტიკის როლს სამართლის განვითარებაში. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში იგი უპირატესად (და უმთავრესად) უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებებსა და სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს მიიჩნევდა.⁴⁴ დასავლეთის სამოქალაქო საზოგადოებების მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით, რომელიც მოსამართლეს სამართლის განვითარების დიდ შესაძლებლობას აძლევს, სოციალისტურ საზოგადოებაში მოსამართლე კანონის მექანიკური გამოყენებელია. ამ რეალობას არც საბჭოთა მეცნიერები უარყოფდნენ. აი, რას წერდა ხალფინა 1965 წელს: „სამეურნეო სამართლის იურისტები სრულიად მიუხედავად იმისა, ჩვეულებიდან გამომდინარე დარწმუნებული არიან, რომ ყოველი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას კონკრეტულ დადგენილებებზე, ინსტრუქციებზე, დირექტივებზე და ა. შ. უნდა მიუთითონ“.⁴⁵

ის, რომ ჩვენი მოსამართლე კანონის მექანიკური გამოყენებელია, სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში აშკარად ჩანს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიან უცხოელ იურისტებსაც, რომლებიც ამ გადაწყვეტილებათა ნაკულს ასე აღწერენ: მოსამართლეები მოქმედი სამართლის ნორმების გვერდით იშვიათად უთითებენ წინა სასამართლოს გადაწყვეტილებებს ან იურიდიულ ლიტერატურას.⁴⁶ ცვაიგერტი ამას არა მხოლოდ იმიტომ ხსნის, რომ პროკურატურას უფლება აქვს გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ იმიტომ, რომ კანონმდებლობა წარმოუდგენლად სწრაფად იცვლება და მოსამართლეებს ახალ აქტებში გარკვევა უჭირთ.⁴⁷

საბჭოთა მართლმსაჯულების ეს უაღრესად მახინჯი მოვლენა აშკარად ივალში საცემი გახდა საქართველოში ახალი კანონების მიღების შემდეგ, რომლებიც მოსამართლეს აიძულებენ კანონთა ბრმად გამოყენებელი ფიგურიდან იქცნენ მის შემოქმედებითად გამოყენებულ პირებად. განსაკუთრებით ითქმის ეს კანონთა ისეთ დებულებებზე, რომლებიც მოსამართლეს შეფასების შესაძლებლობას ანიჭებენ. პირველ რიგში, ეს ეხება გენერალურ დებულებებს, განუსაზღვრელ ცნებებს, რომლებიც კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე უნდა შეფასდნენ.

არა მხოლოდ მოსამართლეებში, არამედ ახალი თაობის იურისტებშიც, რომლებიც, წესით ახალი სულისკვეთების მატარებელი უნდა იყვნენ, აშკარად გამოითქვა შეხედულება, რომ ასეთი შეფასების შესაძლებლობები მოსამართლეებს შეუზღუდავ ძალაუფლებას მიანიჭებენ.

44. Советское гражданское право. Ч. 1, под ред. В. А. Рясенцева. 1986. С. 39—44.

45. Халфина Р. О. Материалы научной конференции. Новые гражданские и гражданско-процессуальные кодексы союзных республик. М. 1965. С. 165.

46. Zweigert, Konrad, Stilelemente des socialistischen Rechtskreises. Beograd. 1966, S. 548.

47. Zweigert, Stilelemente... S. 548.

რა არის მოსამართლეთა დაბნევისა და უმოქმედობის მიზეზი, როცა ისინი კანონში ხარვეზს აღმოაჩენენ? რატომ არ შესწევს უნარი ქართველ მოსამართლეს შემოქმედებითად გამოიყენოს კერძო სამართლის ნორმა? რატომ აღიქმება ასე ანტაგონისტურად მოსამართლეთათვის კანონთა ინტერპრეტაციისას შედარებით მეტი თავისუფლების მიცემა?

აღნიშნული პრობლემების ზნობრივ და ეკონომიკურ ასპექტებს მე არ შევეხები. ხელფასი რომ ნორმალური არსებობის საფუძველს უნდა ქმნიდეს, გამონაკლისს არც მოსამართლეებისთვის უნდა წარმოადგენდეს. მე მხოლოდ მართლმსაჯულების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს შევეხები და მოკლედ დავახასიათებ იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება ხელშემშლელი ფაქტორები გახდნენ ახალი სამოქალაქო კოდექსის დანერგვისას, ისევე როგორც ხელშემშლელი ფაქტორები გახდნენ მეწარმეთა შესახებ კანონის ამა თუ იმ ნორმის სწორად გამოყენებისათვის.

ის, რომ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული და კანონიერი უნდა იყოს, საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად ითვლებოდა. თუ თვალს გადავაკვლავთ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებს, აშკარა გახდება ამ პრინციპის იგნორირების შემზარავი ხასიათი — გადაწყვეტილებები არა თუ დასაბუთებულია, კონკრეტული სამართლის ნორმებზეც კი არ არის მითითება. წლების მანძილზე უზენაესი სასამართლოს მიერ აღიარებული ეს პრაქტიკა არ აიძულებდა მოსამართლეს ეფიქრა გადაწყვეტილებათა დასაბუთების გზებსა და მოტივებზე.

ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც საბაზრო ეკონომიკის პირველმა ნაბიჯებმა მართლმსაჯულების სასწორზე ქონება დადო. მოდავე მხარეთა ქონებრივმა ინტერესებმა მოსამართლე აიძულა ძალა დაატანოს თავს და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. მაგრამ მას აქ აღარა აქვს მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც მას სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მისცემს. ამის მიზეზები ალბათ იურიდიული განათლების სისტემის ხარვეზებში უნდა ვეძიოთ.

კანონის განმარტება და კანონის ხარვეზის ამოვსება საბჭოთა სამართლის თეორიისთვის ისეთივე ბუნებრივი პრობლემები იყო, როგორც მოძღვრება ნორმის, უფლების და ა. შ. შესახებ. მოსამართლეთა მიერ კანონთა განმარტების მეთოდების სრულად გამოყენებას ხელს უშლიდა და უშლის დღემდე მართლმსაჯულების ის სისტემა, რომელიც უზენაესი სასამართლოს პლენუმს უფლებას აძლევს ნორმატიული ხასიათის მითითებები მისცეს ქვემდგომ სასამართლოებს. ამით მოსამართლის დამოუკიდებლობას ეცლება საფუძველი.

სამოსამართლო სამართალი უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად გამოცემულ მითითებებს კი არ ნიშნავს, არა-ჩნდ კონკრეტული საქმეების განხილვისას ნორმის ინტერპრეტაციისა და კანონის ხარვეზის ამოვსების შედეგად მოსამართლის მიერ ჩამოყალიბებულ წესებს. სულ ერთია, თუ რომელი მოსამართლის მიერაა ეს წესი შემუშავებული. ცხადია, ზემდგომ სასამართლოს ყოველთვის აქვს უფლება გააუქმოს ან შეცვალოს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის გამო და ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებიც ასევე დასაბუთებული უნდა იყოს. სწორედ ასე ყალიბდება სასამართლო პრაქტიკა და არა განზოგადებების შედეგად შექმნილი ინსტრუქციებით. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება სამართლის მეცნიერების საქმეა. რა თქმა უნდა, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება უზენაესი სასამართლოს მოვალეობაცაა, მაგრამ ამ გზით არ უნდა იქმნებოდეს სამოსამართლო სამართალი.

ანდრეას ნერაძე ორგანიზაციის ხელმძღვანელი

საერთაშორისო სამართლის რეგულაციების გლობალიზაციის საპრობლემო საკითხები

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო სამართლის დარგში რევოლუციური ცვლილებები მოხდა. პირველი რიგში, ეს არის საერთაშორისო სამართლის გარკვეულ დარგებში დაფუძნებული და გაჩნდა გარკვეული დარგებში იერარქია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ითავს საერთაშორისო სამართლის ნორმების ბუნება და იურიდიული ძალის წარსახვაში. წარმოიშვა საერთაშორისო დანაშაულის ცნება. მეტნაკლებად ზუსტად დადგინდა მისი შემადგენლობა. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ პროექტის მე-19 მუხლით დანაშაული განისაზღვრა, როგორც იმ ვადებულების დარღვევა, რომელიც ითვას საერთაშორისო თანამეგობრობის ფუნდამენტურ ინტერესებს, კერძოდ, აგრესია, გენოციდი, აპარტიდი, მონობა, რასობრივი დისკრიმინაცია, გარემოსთვის მიყენებული დიდი ზიანი, კოლონიალიზმი და ა. შ.¹

პროექტის მე-2 ნაწილში მუშაობისას, გერმან-საერთაშორისო სამართლის კომისიამ განსაზღვრა საერთაშორისო დანაშაულთა შედეგები. დანაშაული იწვევს ყველა იმ შედეგს, რასაც იწვევს ორდინარული დელიქტი. დამრღვევი სახელმწიფო ვადებული ანაზღაურის მიყენებული ზიანი რესტრუქციისა და კომპენსაციის სახით, ასევე მორალური ზიანი სატისფაქციის სახით. ეს მატერიალური შედეგები, კომისიის პროექტის მიხედვით, არის უფრო გამკაცრებული, ვიდრე ორდინარული დელიქტის შემთხვევაში. ამასთანავე, აღინიშნა დანაშაულის ე. წ. ინსტრუმენტული შედეგების თავისებურება.

აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს იმის შესახებ, თუ რომელიმე სუბიექტმა უნდა განსაზღვროს დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ჩამდენი და დანაშაულის ჩადენის შედეგები. ასევე უზრუნველყოს დანაშაულის ჩამდენი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის პასუხისმგებლობის განხორციელება. ასევე მნიშვნელოვანია საკითხი, ყველა შემთხვევაში ფუნქციამ თავი უნდა მოიყაროს ერთი

ორგანოს ან სუბიექტის ხელში თუ უნდა მოხდეს ამ ფუნქციების სხვადასხვა ორგანოებსა და სუბიექტებს შორის განაწილება, შეკავება-შეწინააღმდეგების უზრუნველყოფის მიზნით. გერმან-ს სისტემაში ასეთ ორგანოებად ასახელებენ უშიშროების საბჭოს, გენერალურ ასამბლეას და საერთაშორისო სასამართლოს. უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა პოლიტიკურ ორგანოებია. ხოლო საერთაშორისო სასამართლო იურიდიული ორგანო.

პოლიტიკური ორგანოები და საერთაშორისო სამართალდარღვევების გაპრობლემო

უშიშროების საბჭოს საგნობრივი კომპეტენცია და მისი პრაქტიკა, ერთი შეხედვით, ყველაზე მეტად უახლოვდება ხსენებული ფუნქციის განხორციელებას. საბჭოს ხელში თავმოყრილი ფუნქციები მეტნაკლებად შესაძლებელს ხდის, რომ ეს ორგანო წარმოვიდგინოთ საერთაშორისო დანაშაულის იმ ტიპური შედეგების განხორციელებად, მაგრამ ამ წარმოდგენის განხორციელების გზაზე წარმოიშობა ბევრი დარკობა. პირველი რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების საბჭო არის პოლიტიკური ორგანო და გადაწყვეტილებებს იღებს პოლიტიკური კომპრომისის შედეგად. უშიშროების საბჭოს არ ევალება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სამართლის ნორმებით იხედმდებოდეს.

უშიშროების საბჭოს გააჩნია ორი ტრადიციული ფუნქცია. პირველი, დაგების მშვიდობიანი გადაწყვეტა (წესების VI თავი) აქ გათვალისწინებული საკითხებზე უშიშროების საბჭოს დადგინდებებს არ გააჩნიათ საავადებულო ძალა. ისინი მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს ატარებენ. წესების VII თავით გათვალისწინებული დადგინდება კი საავადებულო შესასრულებლად, თუნდაც იგი სახელმწიფოთა შიდა იურისდიქციის სფეროს ეხებოდეს. შიდა კომპეტენციის სფეროს უკუღმავლად ყოფა ამ სფეროში არსნება იმით, რომ უშიშროების საბჭოს VII თავის საფუძველზე მოქმედებ

1 იხ. საერთაშორისო სამართლის კომისიის მოხსენება 1996 წლის სესიის მუშაობის შესახებ.

ბის უფლება აქვს. მხოლოდ მაშინ, თუ იგი დააფიქსირებს, რომ მოკვდილი სიტუაცია არის საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის, მისი დარღვევის ან აგრესიის აქტი (გაეროს წესდების 39-ე მუხლი). ამ მხრივ უშიშროების საბჭოს ფართო დისკრეცია გააჩნია. მას შეუძლია მშვიდობის დარღვევა ან აგრესიის აქტი დააფიქსიროს ან არ დააფიქსიროს ასეთად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ალუკვეთელი დარჩეს ისეთი ქმედება, რომელიც არის საერთაშორისო საზარათადარღვევა ან სულაც საერთაშორისო დანაშაული.

ამასთანავე, ბუნდოვანია „საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის“ ვნება (მუხლი 39). არც გაეროს წესდებაში და არც რომელიმე სხვა სამართლებრივ აქტში არ არის მოკვეთილი ამ ცნების ობიექტური მნიშვნელობა. ნათელია, რომ საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხედ ამა თუ იმ სიტუაციის დაკვალიფიცირება დამოკიდებულია სახელმწიფოთა დისკრეციასზე. მათ შეუძლიათ სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით გამოავსახდონ ესა თუ ის სიტუაცია საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხედ. ასეთი მოქმედების შემდეგ საბჭოს შეუძლია გამოიყენოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მიმართ იძულებითი ღონისძიებები შეიარაღებული ძალის და საშინაო საქმეებში ჩარევის ჩათვლით.

რამდენადაც დეტერმინაციის ობიექტური კრიტერიუმებით საბჭო არ იზღუდება, მისი პრაქტიკა ყველაზე მეტად მიგვანიშნებს მისი გადაწყვეტილებების ხასიათზე. საბჭოს რეაგირება საერთაშორისო სამართადარღვევაზე შეიძლება იყოს სხვადასხვა ხასიათის. საბჭოს შეუძლია დაგმოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქმედება; მოითხოვოს მისგან მოქმედების შეწყვეტა; ასევე მოითხოვოს მიუყნებელი წიანის ანაზღაურება და განუმეორებლობის გარანტიების მიცემა როგორც უშუალოდ დაზარალებული სახელმწიფოსათვის, ისე მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.

ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქმედების დაგმობისას საბჭო მოკვდილ ქმედებას აკვალიფიცირებს ან არ აკვალიფიცირებს, როგორც არამართლმართლს. 660 (1990) რეზოლუციით საბჭომ დაგმო ერავის მიერ კუვეიტიზე თავდასხმა, ზოლო 667-ე და 670-ე (1990) რეზოლუციებით საბჭომ დაგმო ერავის მოქმედებები კუვეიტის მოქალაქეთა და უჭრბული მიმართ და ამასთან დაფიქსირა, რომ ისინი არღვედნენ საერთაშორისო სამართალს.

საბჭო ასევე მიმართავს ისეთ ზერსს, როგორცაა ამა თუ იმ სიტუაციის, ქმედების ბათილად დაუზრდილი ძალის არჩქონედ გამოცხადებას. ამ მხრივ საბჭოს დადგენილებები, ერთი შეხედვით, უზრდილება ზოგადი პრინციპის ex injuria ius non oritur დადასტურებას. 217 (1965) რეზოლუციაში საბჭომ განაცხადა, რომ სამხრეთ როდეზიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას არ

აქვს იურიდიული ძალა, ზოლო 662 (1990) რეზოლუციით საბჭომ განსაზღვრა, რომ ერავის მიერ კუვეიტის ოკუპაცია არის ბათილი და იურიდიული ძალის არჩქონედ.

უშიშროების საბჭოს მოქმედების შემდეგი სახე არის მოთხოვნა, რომ შეწყვეტს ესა თუ ის მოქმედება. მსგავსი მოთხოვნა შეიძლება მიმართული იყოს თავად დამრღვევი ერთეულის მიმართ ან იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ამა თუ იმ ერთეულის საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი. მაგალითად, საბჭომ 253 (1968) რეზოლუციით დიდ ბრიტანეთს მოუწოდა, ბოლო მოელო სამხრეთ როდეზიაში არამართლმართლი ქმედებებისათვის, კერძოდ. უზრუნველყო ხაღის მიერ თავიანთი უფლებების განხორციელება. 660 (1990) რეზოლუციით საბჭომ მოითხოვა ერავისაგან, რომ კუვეიტიდან გაეყვანა თავისი ჯარები. საბჭოს პრაქტიკაში მოქმედების შეწყვეტის მოთხოვნასთან ახლოს დგას რესტრიქციული ხასიათის მოთხოვნები, როგორცაა დაკავებულ უჭრბულითა და კუვეიტის მოქალაქეთა გათავისუფლების მოთხოვნა (რეზოლუცია 667).

საბჭოს რეზოლუციით შეიძლება სახელმწიფოს დაეკისროს ისეთი ვადლებული, რომელიც უთანაბრდება სატისფაქციას. მაგალითად, 687-ე (1991) რეზოლუციით ერავს საბჭომ დააკისრა გარკვეული სახის შეიარაღებათა განადგურება, თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მკონტროლებელი მისიების დაშვება. სატისფაქციის თავისებური სახეა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 808 (1993). რომლითაც დადგინდა, რომ იუგოსლავიის კონფლიქტში ჰუმანიტარული სამართლის დამრღვევა პირებმა ინდივიდუალურად უნდა ეგონ პასუხი. 827-ე (1993) და 955-ე (1994) რეზოლუციებით საბჭომ შექმნა იუგოსლავიის და რუანდის ტრიბუნალები, რომელნიც სატისფაქციის წიარსახეობას წარმოადგენენ². სატისფაქცია, კერძოდ, გამოიხატება იმაში, რომ ამ ტრიბუნალებს გააჩნიათ ეროვნული სასამართლო ორგანოების მიმართ (იუგოსლავიის ტრიბუნალის სტატუსის მე-9 მუხლი და რუანდის ტრიბუნალის სტატუსის მე-8 მუხლი).

საბჭო, ისევე როგორც ყველა პოლიტიკური ორგანო, ხასიათდება ნიშნებით. რომელიც აზრკოლებენ სამართადგანმხორციელებელ ფუნქციას და შესაძლებელს ხდის საბჭოს მიერ საერთაშორისო სამართლის წიარების დარღვევას, გაეროს წესდების ჩათვლით, კერძოდ კი, თავისი უფლებამოსილების გადაკვლია და პირობრიკული მის პრინციპის დარღვევას. მსგავსი ნიშნები თავის მესლეთ და მეშვიდე მოხსენებებში აღნიშნა სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხზე საერთაშორისო სამართლის კომისიის მომხსენებელმა გაეტანო არანჯიო-რუსისმა. ეს ნიშნები შედგება: საბჭოს მტრ-

² E/CN.4/1996/7, p. 13.



მეღების დისკრეციულობის ხარისხი ძალიან მაღალია; საბჭო არ ხედმძღვანელობს ერთგვაროვანი კრიტერიუმით, მოქმედებს შერჩევით — რამდენიმე ერთგვაროვანი სიტუაციიდან მან შეიძლება რეაგირება მოახდინოს ერთზე და არ მოახდინოს სხვაზე; საბჭო არ არის ვადღებული, დაყრდნობა რამე ობიექტურ კრიტერიუმს. მოახდინოს თავისი გადაწყვეტილების მოტივირება; ყოველივე ამიო იზღუდება საბჭოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობა³.

მიიჩნევენ, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში საბჭოს პრაქტიკაში შეინიშნება გარკვეული ძვრები. საბჭო გარკვეული მოკვლობით კისრულობს ფუნქციას, დაადგინოს საერთაშორისო სამართალ-დამრღვევის, ასევე დანაშაულის ჩადენის ფაქტო, ჩამდები და შედეგები. მაგალითად, 748-ე (192) რეზოლუციით საბჭომ მოახდინა ტერორისტთა მოქმედების აბრეშუცა დიბისადმი, მაგრამ ამ სახედშიყოფის დააკისრა შედეგები, რომლებიც განსხვავდებოდა დიბის ვადღებულებებისგან საერთო საერთაშორისო სამართლისა და 1971 წლის მონრეადის სამოქალაქო ხომადღებუ ჟკანონო აქტიბთან ბრძოლის შესახებ კონვენციის მიხედვით. კონვენციით დიბის ედღოდა საშუადება, არჩევიანი გაეკეთებინა დანაშაულის გაკვემასა და დასჯას შორის. 748-ე რეზოლუციით საბჭომ მას ეს არჩევიანი შეუზღუდა გაკვემის სასარგებლოდ. ასე რომ, თუმცა უშიშროების საბჭომ დაიჭირა აქტიური პოზიცია, მისი მოქმედება არ არის საერთაშორისო სამართალდარღვევის შედეგების განხორციელებისაკენ გადაღებული ნაბიჯი. საბჭომ, პირიქით, თავის ნებაზე შეცვალა ეს შედეგები და იხედმძღვანედა არა სამართლის ნორმებით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით. დაყრდნობა წევრთა პოლიტიკურ გარიგებას. ასე რომ, 748-ე რეზოლუცია ძნელად თუ წარმოგვიდგება, როგორც სიახდე საბჭოს საქმიანობაში. იგი კვდავიწებურად ზის საბჭოს ტრადიციულ ფუნქციებსა და მიდგომაში. შეიძლება ითქვას, რომ ერაყ-კუვეიტიისა და იუკოსლავიის საკითხებზე მიღებული რეზოლუციები შეიცავენ გარკვეულ სიახდეებს საერთაშორისო სამართლის განხორციელების თვადსაზრისით, მაგრამ მხოლოდ შინაარსობრივად. უორმის მიხედვით ისინი არ ცდება საბჭოს ტრადიციულ ფუნქციებს.

რაც შეეხება მეორე პოლიტიკურ ორგანოს, გენერალურ ასამბლეას, მასაც განიხიდავენ საერთაშორისო დანაშაულთა შედეგების რეადაზუციის კონტექსტში. მისი კომპეტენცია უნივერსადღურია და არ საჭიროებს რამე სიტუაციის დეტერმინაციას. მაგრამ ასამბლეის მიერ სამართლის განხორციელებაზე ვრცედება ყვედა ის დაბრკოლება. რომელიც აღნიშნული იყო უშიშროების საბჭოს მა-

გალითზე. ამასთანავე ასამბლეა იზღუდება სხვა გარემოებებითაც, კერძოდ. წესდების მექანიზმის შესაბამისად ასამბლეა ვადღებულია თავი შეიკავოს იმ საკითხის განიხილვისაკენ, რომელსაც განიხიდავს უშიშროების საბჭო; ასამბლეას ვადღებულია გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლია. იგი მხოლოდ რეკომენდაციებს იღებს.

ჩვენი აზრით, საერთაშორისო სასამართლო არის ყველაზე მეტად შესაფერისი ორგანო, რათა მოახდინოს საერთაშორისო დანაშაულის დეტერმინაცია და განსაზღვროს მისი მატერიალური შედეგები. სასამართლო არ იზღუდება პოლიტიკური მოსაზრებებით. როგორც ნამიბიის (1971) საქმეზე აღნიშნა, სასამართლოს არ ევადება მიიღოს პოლიტიკურად მიზანშეწონილი ან მისაღები გადაწყვეტილება; მას ევადება გადაწყვეტილს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, როგორც ამას კანაზნოს საკუთარი სტატუსის 38-ე მუხლი⁴. ნიშნობრივიცა სტატუსის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი. რომლითაც დასაშვებია, რომ სასამართლოს იურიდიქციაში შედიოდეს შემდეგი საკითხები: ა) ზედშეგრულების განმარტება; ბ) საერთაშორისო სამართლის ნებისპიერი საკითხი; გ) ფაქტის არსებობა, რომელიც, მისი არსებობის დადასტურების შემთხვევაში, იწებოდა საერთაშორისო ვადღებულების დარღვევა; დ) საერთაშორისო ვადღებულების დარღვევით გამოწვეული რეპარაციის ბუნება და მოვულობა. პუნქტი „ღ“ საუბრობს რეპარაციებზე. სიტყვა „რეპარაცია“ არის საერთაშორისო პასუხისმგებლობის ფორმების ზოგადი აღნიშვნა. შეიძლება დავასკვნათ, რომ რეპარაცია შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობასაც. ერთადერთი რეალური დაბრკოლება ამ გზაზე არის საერთაშორისო სასამართლოს იურიდიქციის არასავადღებულო ხასიათი.

საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების საკითხი

როგორც საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკიდან ჩანს, იგი ყოვედთვის ეყრდნობა ვარაუდს, რომ მოცემულ საქმეზე მისი გადაწყვეტილება შესრუდება მხარეთა მიერ. ამიტომ იგი არ განსაზღვრავს იმ შედეგებს. რაც უნდა მოჰყვეს გადაწყვეტილების შესრულებლობას.

საერთოდ, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების საკითხს თეორიაში არ მიქვევია დიდი ყურადღება. გვინდა გამოვყოთ მებრიკული პოლიტიკურად ორიენტირებული სკოლის წარმომადგენლის, რაიზმანის ნაშრომი „საერთაშორისო განარჩენების შესრულება“. მის ნაშრომში არის გარკვეული ცდა, რომ მოხდეს პოლიტიკუბა

³ A/CN.4/453/Add. 3, p. 17; A/CN.4/469, p. 36.

⁴ Separate Opinion of Judge Onyeama, Namibia case, ICJ Reports, 1971, p. 143.



ისეთი წმინდა იურიდიული საკითხისა, როგორც არის სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულება. ამ გზით იგი ზოგიერთ გაუმართლებელ დასკვნას აკეთებს და მკვლარად წარმოაჩენს საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას. მაგალითად, რაიზმანი იშვედიებს არგუმენტს, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სასამართლო ხშირად უარს ამბობს იურისდიქციაზე, როცა აცნობიერებს, რომ ერთ-ერთი მხარე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს.⁵ იგი ასახელებს მაგალითებს, როცა სასამართლომ უარი თქვა საქმის გარჩევაზე იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილებას ერთერთი მხარე არ შეასრულებდა. პირველ საქმეზე, რომელიც რაიზმანს ყველაზე წარმატებულ მაგალითად მიიჩნია თავისი აზრის დასამტკიცებლად, მისი აზრით, თავიდანვე ნათელი იყო, რომ ირანი არ შეასრულებდა გადაწყვეტილებას და სასამართლომ თავი არაკომპეტენტურად ცნო. სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა. სასამართლომ ინგლის-ირანის დავაში უბრალოდ ვერ იპოვა სამართლის წყარო, რომლის საფუძველზეც მას უნდა გადაეწყვიტა საქმე და დაეკმაყოფილებინა ან არ დაეკმაყოფილებინა ირანის პრეტენზიები. ირანის მთავრობასა და ნავთობკომპანიას შორის დადებული კონტრაქტი არ იყო ის წყარო, რომლის საფუძველზეც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს.

გენოციდის დანაშაულის დასჯისა და აღკვეთის კონვენციის გამოყენების საქმეზე (ბოსნია-ჰერცეგოვინა იუგოსლავიის წინააღმდეგ) ასევე ნათელი იყო, რომ სამხედრო კონფლიქტის პირობებში იუგოსლავია არ შეასრულებდა მითითებულ დროებით ზომებს და მეტად საეჭვო იყო საბოლოო გადაწყვეტილების მის მიერ შესრულება. 1993 წლის 14 მარტის დადგენილებით⁶ სასამართლომ კონკრეტული დროებითი ზომები მიუთითა, რომლის მიხედვითაც უნდა აღკვეთილიყო გენოციდის ჩადენა იმ ძალებისა და სტრუქტურების მიერ, რომელსაც აკონტროლებდა იუგოსლავია. იუგოსლავიამ ეს დადგენილება არ შეასრულა. სასამართლომ იმავე წლის 8 სექტემბერს კვლავ მიუთითა იუგოსლავიას იგივე დროებითი ზომები, თუმცა სასამართლო უკვე კონკრეტული მაგალითის წინაშე იდგა, რომ მისი დადგენილებები არ სრულდებოდა. ყოველივე ამის ფონზე 1996 წლის სასამართლომ მაინც არ თქვა უარი იურისდიქციაზე და მიიღო საქმე განსახილველად.

ასე რომ, რაიზმანის მოსაზრება არის საკითხის მხოლოდ ცალმხრივ დანახვა. სასამართლო ყოველთვის განსჯის სამართლის ნორმათა საფუძველზე.

მისი მიზანია განსაზღვროს მხარეთა უფლებამოსილებები — პირველადი თუ მეორადი. ამიტომ მას არც სტატუსის მიხედვით არა აქვს უფლება, უარი თქვას საქმის განხილვაზე იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება არ შესრულებდა.

1945 წელს, გაეროს კონფერენციაზე აღინიშნა განსხვავება საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას შორის. აღინიშნა აგრეთვე ის გარემოება, რომ უშიშროების საბჭოს შექმნილ უზრუნველყოფის სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება წესდების VII თავის ფარგლებში. ე. ი. თუ საბჭო დაადგენდა, რომ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ემუქრებოდა საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოებას⁷. საბოლოო ჯამში მიიღეს სწორედ ასეთი ფორმულა, რომელიც აისახა წესდების 94(2) მუხლში. ამ მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების შეუსრულებლობით უკმაყოფილო სახელმწიფოს უფლება აქვს მიმართოს საბჭოს; ამ უკანასკნელს, თუ იგი აუცილებლად მიიჩნევს, აქვს შესაბამისი ზომების მიღების უფლება. 94-ე მუხლის შესაბამისი პროცედურა უშიშროების საბჭოს ჯერ არ განუხორციელებია. 1986 წელს ნიკარაგუამ მიმართა საბჭოს „ნიკარაგუაში და მის წინააღმდეგ სამხედრო და ნახევრად სამხედრო მოქმედებების“ საქმეზე საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების განსახორციელებლად, მაგრამ შეერთებული შტატების ვეტოს გამო, საბჭოს გადაწყვეტილება არ შეუძლია.

საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებულ პროექტში სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ (ნაწილი II) დადასტურდა, რომ საერთაშორისო სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილება არის სრულფასოვანი საერთაშორისო ვალდებულება. მე-5 მუხლის მე-2 „ბ“ პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო, რომელიც არ ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას, ითვლება სამართალდამრღვევად; ხოლო სასამართლო დავის მონაწილე სხვა სახელმწიფო(ები) — დაზარალებულდება⁸. აქედან გამომდინარე, დაზარალებულ სახელმწიფოს უფლება აქვს, მოითხოვოს რეპარაცია დამრღვევი სახელმწიფოსაგან, რათა ჩინაზღაუროს გადაწყვეტილების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი. ამასთან, ჩვენი აზრით, გადაწყვეტილების შეუსრულებლობა წარმოშობს ვალდებულებას, რომელიც განცალკევებული და დამოუკიდებელია იმ არსებითი ვალდებულებისაგან, რომელიც სასამართლომ ამა თუ იმ მხარეს დააკისრა.

⁵ Reisman, Enforcement of International Judgments//American Journal of International Law, 1969, p. 3.

⁶ Case Concerning Application of the Convention on Prevention and Punishment of the Crime of Genocide, Provisional Measures, ICJ Reports, 1993.

⁷ Reisman, op. cit., p. 15.

⁸ Yearbook of the International Law Commission, 1985, vol. II, Part Two, N. Y. 1986, p. 26.



სახელმწიფო, რომელიც ზარალდება სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობით, უფლებამოსილია მიმართოს კონტრზომებს კონტრზომები იზღუდება სხვადასხვა კრიტერიუმებით: ისინი არ უნდა იყოს ძალისხერი, არ უნდა ლახავდეს ისეთ ობიექტურ ვალდებულებებს, როგორცაა ადამიანის ძირითადი უფლებები და სხვ.

უშიშროების საბჭოს მოქმედების კანონიერების გარანტიები

ბოლო დროს გაიმის პრეტენზიები, რომ უშიშროების საბჭო ზვირად არ უწყევს ანგარიშს საერთაშორისო სამართალს. ამის მგალითებია ასახელებენ საბჭოს მოქმედებას ერავის, იტალიის ლავიის და ლიბიის მიმართ. როგორც დავინახეთ, საბჭოს გავრო-ს წესდების საფუძველზე მიიღოს წევრ-სახელმწიფოთათვის სავალდებულო გადაწყვეტილებები. წესდების 25-ე და 103-ე მუხლების ერთობლივ საფუძველზე ასეთი გადაწყვეტილებები შეიძლება აბათილებდნენ სახელმწიფოთა უფლებებს და მოვალეობებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოთა შიდა კომპეტენციის ჩათვლით. ასე რომ, წესდებით დაშვებულია, რათა გავრო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება იღვეს საერთაშორისო სამართალზე მალა. ნიშნავს თუ არა წესდების პრიმატი დანარჩენ საერთაშორისო სამართალზე პოლიტიკური ორგანოს განუსაზღვრელი დისკრეციის დადასტურებას? ეს შეკითხვა მით უფრო აქტუალურია, რომ ხშირ შემთხვევებში რეალურია საბჭოს მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტება და მათი ბოროტად გამოყენება — საბჭოს წევრთა პოლიტიკური კომპრომიზის შედეგად შეიძლება საბჭომ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შელახავს სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლით გარანტირებულ უფლებებს. ამას ხელს უწყობს რეალური სიტუაცია: ცივი ომის პერიოდში საბჭოს გადაწყვეტილების მიღება მეტად ღჭად კონფრონტაციას უკავშირდებოდა. ამ კონფრონტაციის მეტნაკლებად მინელების ფონზე უფრო რეალური გახდა VII თავის ამოქმედება და იძულებითი ზომების გამოყენება საშინაო საქმეებში ჩარევის ჩათვლით. ასე რომ, უფლებამოსილების გადამეტებას და ბოროტად გამოყენებას რეალური სიტუაცია მეტად უსწის გზას. უფრო რეალური ხდება პოლიტიკური ორგანოს მიერ სამართლის ნორმათა დარღვევის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ღგება საკითხი, რომ მოინახოს იურიდიული გარანტიები, რომლებიც აღკვეთავდნენ ან შეამცირებდნენ მსგავს საშინაოებას. ეს გარანტიები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს:

— უშიშროების საბჭოს შეუძლია იძულებითი ზომების ამოქმედების წინ ან მიმდინარეობისას დარწმუნდეს თავისი ქმედების მართლობიერებაში იმ გზით, რომ გამოითხოვოს საკონსულტაციო დასკვნა საერთაშორისო სასამართლოსაგან, რომელიც აცხადებს, არის თუ არა სახელმწიფო, რომლის მიმართაც საბჭო აპირებს სანქციების გამოყენებას, საერთაშორისო სამართლის დამრღვევი. ჯერჯერობით ამ საშუალებას საბჭომ მხოლოდ ერთხელ მიმართა სამხრეთ დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე უშიშროების საბჭოს 276-ე (1970) რეზოლუციის მიუხედავად სამხრეთ აფრიკის განგრძობადი ყოფნის შესახებ საქმეზე. საბჭომ სასამართლოს დაუსვა შემდეგი შეკითხვები: არის თუ არა ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის ყოფნა საერთაშორისო სამართლის დარღვევა და რა არის ასეთ შემთხვევაში შედეგი როგორც სამხრეთ აფრიკის, ისე დანარჩენი სახელმწიფოებისათვის, რა ვალდებულებები ეკისრებათ დანარჩენ სახელმწიფოებს ნამიბიის ოკუპაციასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის ყოფნა. ამის მიხედვით სამხრეთ აფრიკას ვევალებოდა გაეყვანა თავისი ადმინისტრაცია ნამიბიიდან და სხვა სახელმწიფოებს ევალებოდათ არ აღმოეჩინათ რაიმე დახმარება სამხრეთ აფრიკისათვის ამასთან დაკავშირებით.

არსებობს ერთი შემთხვევა, როცა უშიშროების საბჭოს არ ესაჭიროება, რომ დარწმუნდეს თავისი მოქმედების კანონიერებაში. ესაა წესდების 94.2 მუხლის შესაბამისად მოქმედება საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად. ასეთი მოქმედებისას საბჭოს უკვე აქვს იურიდიული საფუძველი და საკონსულტაციო დასკვნის გამოთხოვა ზედმეტი იქნებოდა.

— შემდეგი საშუალება უფლებამოსილების გადაცდომისა და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ არის ფუნქციების და უფლებამოსილების დელეგირება სპეციალური ორგანოებისადმი, რომლებსაც არ ექნებათ პოლიტიკური ხასიათი და ვალდებულნი იქნებიან, მიიღონ გადაწყვეტილებები სამართლის ნორმათა საფუძველზე. იუვოსლავიისა და რუანდის კონფლიქტებში ნათელი გახდა, რომ საბჭო, თავისი ტრადიციული ფუნქციების ჭრილში ვერ გადაჭირდა იმ პრობლემაზე, რომლებიც კონფლიქტის რეგონებში წარმოიშვა. კონფლიქტების მიმდინარეობის პერიოდში ჩადენილ იქნა უამრავი საერთაშორისო დანაშაული, კერძოდ, გენოციდი, ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევები, საშოქალაქო მოსახლეობაზე ძალადობა და ა. შ. საბჭომ აღიარა, რომ ხსენებული დანაშაულის ჩამდენმა პირებმა ინდივიდუალურად უნდა აგონ

ბასუნი ჩადენილი სისასტიკეებისათვის⁹. ამის გა-
ნხორციელება უშიშროების საბჭოს თავისი
ტრადიციული ფუნქციების ჭრილში არ შეუძლია.
სწორედ აქ საბჭომ მოიშველია უფლებამოსი-
ლებათა დელეგირების მექანიზმი და შექმნა
იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალები. ეს
ტრიბუნალები შექმნილია დროებით საფუძვე-
ლზე. ისინი თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდე-
ბელნი არიან უშიშროების საბჭოსაგან, ვადა-
წყვეტილებებს იღებენ სამართლის ნორმათა სა-
ფუძველზე.

ზემოხსენებული საშუალებები მნიშვნელოვანი
გარანტია უშიშროების საბჭოს მიერ უფლებანი-
მოსილებათა გადაშეცემის ან ბიროტად გამო-
ყენების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ, იმავე-
დროულად, უშიშროების საბჭო ამ საშუალე-
ბებს მიმართავს საკუთარი დისკრეციიდან გამო-
მდინარე, ისევე როგორც იგი იღებს სხვა გა-
დაწყვეტალებებს. ასე რომ, თუმცა კონკრეტულ
შემთხვევაში ეს საშუალებები პოტენციურად
დადებით როლს თამაშობენ, ისინი სრულფასო-
ვან იურიდიულ გარანტიას არ წარმოადგენენ.
მათი გამოყენება ხდება პოლიტიკური კონსენსუ-
სის შედეგად და ასეთის არარსებობის შემთ-
ხვევაში, შეიძლება არც შედგეს. ასე რომ, უში-
შროების საბჭო არ არის სამართალგანმხორ-
ციელებელი ორგანო.

ნათელია, რომ საერთაშორისო მართლმსაჯუ-
ლის ფარგლებში საჭიროა ისეთი იურიდიული
გარანტია, რომლის განხორციელება ისევე პოლი-
ტიკური ორგანოს დისკრეციასზე არ იქნება რ-
მოკიდებული. ასეთ ზომად ჩვენ გვესახება პო-
ლიტიკური ორგანოების აქტების სასამართლო
კონტროლი. ამ ფუნქციის განმახორციელებელი
ორგანო გაეროს სისტემაში შეიძლება იყოს სა-
ერთაშორისო სასამართლო, როგორც გაეროს
მთავარი სასამართლო ორგანო. სასამართლო
დამოუკიდებელია პოლიტიკური მოსაზრებები-
საგან და გადაწყვეტილებებს უნდა იღებდეს სა-
მართლოს ნორმათა საფუძველზე. აქედან გამო-
მდინარე, მეტად პრობლემატურია მოსაზრება,
შეიძლება თუ არა უშიშროების საბჭოს აქტების
კანონიერების გაკონტროლება საერთაშორისო
სასამართლოს მიერ. აზრები ამ საკითხზე ერთ-
სულოვანი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სა-
სამართლო კონტროლის იდეა შედარებით ახა-
ლია, აზრთა ხსენებული სხვადასხვაობა მეტად
ძველ მოსაზრებებს ეყრდნობა. კერძოდ, ეს არის
გერეთ წოდებული განსხვავება პოლიტიკურ და
სამართლებრივ დავებს შორის. თავის დროზე
ძლიერი იყო ტენდენცია, რომელიც დაეთა გა-
რკვეული კატეგორია მიიჩნეოდა პოლიტიკურად

და „სამართლებრივად არა განსჯადად“. ასეთ
კატეგორიულ ფორმალურად მიიჩნევდნენ დავებს
რომლებიც ეხებოდნენ სახელმწიფოთა შიშვე-
ლოვან ინტერესებს, მათ შორის პოლიტიკურ
დამოუკიდებლობას და ღირსებას. რამდენადაც
ხსენებული ცნებები იურიდიულად ბოლომდე
ობიექტური წინაარსის მატარებელი არ იყო, სი-
ნამდვილეში ეს დივერგენცია იყო დიდი სა-
ხელმწიფოებისათვის ხელის გასწის საშუალე-
ბა, რომ მათ თუნდაც სამართლის დარღვევით
განეხორციელებინათ თავიანთი საგარეო პოლი-
ტიკური კურსი და თავი აერიდებინათ სასამარ-
თლო იურისდიქციისათვის. ამ თეორიის უსაფუ-
ძვლობა დასაყენა ჰირში ლუტერპახტმა თავის
ფუნდამენტურ ნაშრომში „სამართლის ფუნქცია
საერთაშორისო თანამეგობრობაში“¹⁰. საერთაშო-
რისო სამართლის პროგრესული განვითარების
შედეგად პრაქტიკაშიც ნათელი გახდა ამ თეო-
რიის მიზანშეუწონლობა. საერთაშორისო სასა-
მართლომ არაერთხელ დაასყენა, როგორც აშ-
კარად, ისე ნაგულსხმევად, რომ არანაირი რე-
ალური განსხვავება სამართლებრივ და პოლიტი-
კურ დავებს შორის არ არსებობს, რომ ყველა
ე. წ. „პოლიტიკურს“ დავა არის სამართლებრი-
ვად განსჯადი. ამ აზრის საილუსტრაციოდ იკმა-
რებს სასამართლოს გადაწყვეტილებები ეგვიპ-
ტის ზღვის კონტინენტური შეღვის (სახებრძე-
თი თურქეთის წინააღმდეგ), შვედეთს (აშშ
ირანის წინააღმდეგ), ნიკარაგუაში და მის წინა-
აღმდეგ სამხედრო და ნახევრად სამხედრო მო-
ქმედებების (ნიკარაგუა აშშ-ს წინააღმდეგ)
საქმეებზე. ასე რომ, სახელმწიფოთა შორის და-
ვეებზე ასეთი მოსაზრებები უარყო როგორც თე-
ორიამ, ისე პრაქტიკამ.

მაგრამ ბოლო პერიოდში ადგილი აქვს ამ მი-
დგომის მოდიფიცირებული სახით კვლავ წამო-
წევას, როცა გარკვეულ მოსაზრებათა მიხედვით,
საერთაშორისო სასამართლოს არ შეუძლია გა-
დაამოწმოს პოლიტიკური ორგანოს — უშიშრო-
ების საბჭოს — გადაწყვეტილებების კანონიერე-
ბა. ამ მხრივ საგულისხმოა საერთაშორისო სა-
სამართლოს დადგენილება Lockerbie-ს საქ-
მეზე. საქმის აღძვრა მოხდა ლიბიის ინიციატი-
ვით; მას უშიშროების საბჭოს 731-ე (1992)
რეზოლუციით მოეთხოვა აშშ-სათვის ან ბრიტან-
ეთისათვის გადაეცა ორი თავისი მოქალაქე,
რომელთაც ბრალი ედებოდათ ბრიტანეთის ტე-
რიტორიაზე ამერიკული თვითმფრინავის აფეთ-
ქებაში. ლიბიას 1971 წლის მონრეალის კონ-
ვენციით უფლება ჰქონდა, აერჩია დამნაშავეთა
დასჯასა და გაეცმას შორის. საბჭოს რეზოლუ-
ციით კი ლიბიის უფლებამოსილებები შეიზღუ-

⁹ „Report of the Secretary-General Pursuant to Paragraph 2 of the Security Council Resolution 808 (1993)“, S/25704.

¹⁰ Lauterpacht, The Function of Law in the International Community, 1933, pp. 153-166.

და და დავალებულდა, რომ გაცეა ექვმტანი-
ლები. შესრულებდობის შემდეგ საბჭომ, VII
თავის საფუძველზე, მიიღო 748-ე (1992) რე-
ზოლუცია, რომლითაც დიხიას დაეცისრა სანქ-
ციები ექვმტანილთა გაუცემლობისათვის. სა-
ერთაშორისო სასამართლომ, მოიშველია VII
თავის ამოქმედება და წესდების 103-ე მუხლ-
და უარი თქვა, მიეთითებინა დროებითი ზომები
ლიბიის უფლებებისა და ინტერესების დასაცა-
ვად. დაახლოებით იგივე სიტუაცია, წარმოიშვა
დროებით ზომებთან მიმართებაში გენციდის
დანაშაულის აღკვეთის და დასჯის შესახებ კო-
ნვენციის გამოყენების საქმეზე, როცა სასამარ-
ლომ თავი აარიდა იმის დაფიქსირებას, რომ სა-
ბჭოს, თუნდაც წესდების VII თავის საფუძვე-
ლზე, არ შეუძლია სახელმწიფოს შეუზღუდოს
ისეთი ძირითადი უფლება როგორცაა თავდაცვა.
სასამართლო კონტროლი გარკვეული დრო-
ით საერთაშორისო სასამართლომ განახლო-
ვლა „ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის განგრძობა-
დი ყოფნის იურიდიული შედეგების“ საქმეზე
(1971). 276-ე (1970) რეზოლუციით უშიშ-
როების საბჭომ სახელმწიფოებს აუკრძალა სა-
ხრეთ აფრიკასთან სახელშეკრულები ურთიერ-
ობებში შესვლა. სასამართლომ მსგავსი დადგე-
ნილება არ მიიღო დროულად და იგი განმარტა მო-
ქმედი საერთაშორისო სამართლის, იმპერატიუ-
ლი ნორმების ჭრილში. კერძოდ, სასამართლომ
დაადგინა, რომ რეზოლუციის მიხედვით მოცე-
მული აკრძალვა არ ვრცელდებოდა ჰუმანიტარუ-
დი ხასიათის საერთო ხელშეკრულებებზე. ამით
სასამართლომ მოახდინა საბჭოს რეზოლუციის
გარკვეული რევიზია. მან შეზღუდა რეზოლუ-

ციის გამოყენების სფერო, დაეყრდნო რა საერ-
თაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს და
ზოგად პრინციპებს.

საერთოდ, ამ საქმეებიდან ჩანს, პირდაპირ თუ
ირიბად, საბჭოს VII თავის შედეგად მიღებული
გადაწყვეტილებების პრიმატის აღიარება იური-
დიულ ნორმებზე, ასევე ძირითად უფლებებზე.
ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სასა-
მართლოს ასეთი პოზიცია ნაწილობრივ შეიძ-
ლება აიხსნას იმითაც, რომ იგი მოქმედებდა
დროებითი ზომების პროცედურით და არ გამო-
ჰქონდა გადაწყვეტილება, რომლითაც საბოლოოდ
დადგინდებოდა მხარეთა უფლება-მოვალეობები.
ბუნებრივია, ლოგიკური შედეგი დავების არსე-
ბითი გადაწყვეტისა უნდა იყოს სამართლის პრი-
მატის უსიტყვო აღიარება. სასამართლომ, საწი-
ნააღმდეგო შემთხვევაში, შეიძლება მოიშვე-
ლიოს იურიდიული ნორმებიც, როგორცაა გა-
ერთო-ს წესდების 25-ე, 39-42-ე და 103-ე
მუხლები, გააზრებული ერთობლივად; მაგრამ
ამ შემთხვევაშიც სასამართლომ ანგარიში უნდა
გაუწიოს სახელმწიფოთა ძირითად უფლებებს,
იმპერატიულ ნორმებს და სამართლის ზოგად
პრინციპებს, როგორცაა უფლებამოსილებათა
გადამეტება, მათი ზორტად გამოყენება და პრ-
პორციულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამ-
ართლო, მიუხედავად სამართლის ნორმების ფო-
რმალური მოშველლებისა, მოახდენს სამართალ-
ზე პოლიტიკური დისკრეციის პრიმატის აღიარ-
ებას და დაადასტურებს განსხვავებას სამართ-
ლებრივ და პოლიტიკურ დავებს შორის, რი-
თავის მრავალწლიან მემკვიდრეობას დაუკავშირ-
დება. ეს კი აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი
იქნება და დიდხნით გადაწვეს სამართლის პრი-
მატის საერთაშორისო თანამეგობრობაში რეა-
ლურ განმტკიცებას. ისდა დაგვრჩენია, დაველო-
დით, გადადგამს თუ არა საერთაშორისო სასა-
მართლო ნაბიჯებს საერთაშორისო მართლწეს-
რივის რეფორმისაკენ.

Continued Presence of South Africa in Na-
South Africa in Na-
mibia (South-West Africa) Notwithstanding
Security Council Resolution 276 (1970), Ad-
visory Opinion, 1971, p. 55.



ხელშეკრულების „ამაოების“ თეორია ინგლისისა და აშშ-ის სამართალში

კონტინენტალური ევროპის სამართლებრივი სისტემებისაგან განსხვავებით, ინგლისის საერთო სამართალში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებდა ხელშეკრულების მხარის პასუხისმგებლობის პრინციპი შეცვლილი გარემოებების დადგომისას ყველა იმ შემთხვევაში, როცა პასუხისმგებლობა პირდაპირ არ იყო შეზღუდული. ეს ე. წ. „აბსოლუტური ხელშეკრულების“ პრინციპი პასუხისმგებლობისაგან მოვალის განთავისუფლების საშუალებას არ იძლეოდა, თუნდაც ხელშეკრულების შეუსრულებლობა დამოუკიდებელ მოვლენათა შედეგად წარმოშობილიყო. პრეცედენტური სამართლის ეს მკაცრი წესი დაფიქსირდა 1647 წელს *Paradine v. Jane*-გადაწყვეტილებაში და ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობის სისტემაში ხელშეუხებელი დარჩა XIX საუკუნის ბოლომდე, როცა *Taylor v. Caldwell*-ის გადაწყვეტილების შემდეგ პასუხისმგებლობის მოწესრიგების ახალი მიდგომა ჩამოყალიბდა.¹

ინგლისურ სამართალში შეიმუშავეს ხელშეკრულების „ამაოების“ ფუჭობის“ დოქტრინა, რაც საერთო სამართლის მიერ ფართოდ გამოყენებული „ნაგულისხმევი პირობების“ კონსტრუქციის მეშვეობით მოხერხდა.²

ამ დოქტრინის საფუძველზე ხელშეკრულების მხარეებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ, რომ ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია განსაზღვრული პირის ან ნივთების ხანგრძლივ არსებობაზე. ხელშეკრულება უნდა განიმარტოს, როგორც ნაგულისხმევი პირობის შემცველი, რომ მხარეები გათავისუფლებიან ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების დარღვევამდე მისი შესრულება შეუძლებელი გახდა ნივთის დაღუპვის გამო მოვალის ბრალის გარეშე.³

ხელშეკრულების „ამაოების“ პრინციპი დამკვიდრდა არა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაში, არამედ დაფიქსირდა ინგლისის 1893 წლის კანონში საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ამჟამად მოქმედი კანონის 1979 წლის რედაქციამ შეინარჩუნა პრეცედენტული სამართლის ეს წესი შემდეგი სახით (§7): „ინდივიდუალური ნიშნებით განსაზღვრული საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, თუ საქონელი გამყიდველის ან მყიდველის ბრალის გარეშე შემდგომში განადგურდა მყიდველზე მისი დაღუპვის ან დაზიანების რისკის გადასვლამდე, კარავს თავის ძალას.“⁴

ხელშეკრულების საგნის ფიზიკურად განადგურების შემთხვევაში გამოყენებული ხელშეკრულების „ამაოების“ დოქტრინა საკმაოდ სწრაფად გავრცელდა იმ შემთხვევებზეც, როცა კონტრაქტების მიერ ნაწარაუღვევი საქმიანი

¹ W. Anson — Anson's Law of Contract: Oxford, 1969, p. 27.

² Cheshire — Fifoot — Law of contract; London, 1976, p. 94.

³ იქვე, p. 97.

⁴ D. Keating — Law, and practice of building contracts; London, 1982, p. 155.

წამოწყება „ამაო“ აღმოჩნდებოდა სხვადასხვა მიზეზის გამოც. სასამართლო პრაქტიკა შეიცავს დოქტრინის შემდგომი განვითარების უამრავ მაგალითს.

„ამაოების“ თეორიის გამოყენების საფუძველია ვალდებულების რადიკალური ცვლილების ცნება, რისი შინაარსიც შემდეგ კითხვაზე პასუხს უტოლდება — შესრულება თუ არა ვალდებულება იძულებით, გამოიწვევს თუ არა ეს მოვლენა ფუნდამენტალურ ცვლილებას პირველად ნაკისრ ვალდებულებასთან შედარებით. როგორც ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, „ამაოება“ დგება მაშინ, როცა სამართალი აღიარებს, რომ ორივე კონტრაქტის მხრიდან დარღვევის გარეშე შეუძლებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რადგანაც გარემოებები მას რადიკალურად ცვლიან.

იმავე გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა „ამაოების“ დადგენის კრიტერიუმის ობიექტურ ხასიათს. „ამაოების“ გამოვლენა ხელშეკრულებით ურთიერთობაში სასამართლოს პოზიტიური ჩარევის შედეგია და არ წარმოადგენს კონტრაქტების ნაგარაუდვეი ან ნამდვილი განზრახვის სუბიექტურ გამოკვლევას.

ვალდებულების შესრულებისაგან მხარეთა გათავისუფლება მისი „ამაოების“ გამო, ავტომატურად ხდება, როცა დგება ასეთი სახის, მხარეთა ნებაზე დამოუკიდებელი გარემოებები.

გარემოებების რადიკალური ცვლილებების ფაქტის დადგენა ხელშეკრულების „ამაოდ“ აღიარებისათვის საკმაოდ დიდ სირთულეებს იწვევს პრაქტიკაში. თავის გვიანდელ გადაწყვეტილებებში ლორდთა პალატამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის კრიტერიუმი, რამაც ხელშეკრულების „ამაოება“ უნდა განსაზღვროს: ხელშეკრულება „ამაოა“, თუ მოვლენა (ორივე მხარის ბრალისა და ხელშეკრულებაში მოსხენების გარეშე) იმდენად მნიშვნელოვნად ცვლის ვალდებულების ხასიათს მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების მომენტში ნაგარაუდებ ვალდებულებასთან შედარებით, რომ გაუმართლებელია მხარეების დაკავშირება ხელშეკრულების თავდაპირველ პირობებთან; ასეთ შემთხვევაში კანონი ორივეს მხარეს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან.

საერთო სამართალში განისაზღვრა სასამართლო პრაქტიკაში განსაზიღველი ხელშეკრულების „ამაოების“ გამოწვევი უფრო მყარი მოვლენები. ასეთად ჩაითვლება კანონის ან სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობის შემდგომი ცვლილება, აგრეთვე რომელიმე იურიდიული მოქმედების შემდგომში არაკანონიერად აღიარება, მაგალითად, წინათ დიდებული ხელშეკრულების ბათილად ანდა ასეთი გარიგების მომავალში შესრულების კანონსაწინააღმდეგოდ გამოცხადება. ასეთი სიტუაცია წარმოიშობა, როცა მთავრობა მოითხოვს ლიცენზირებას, კვოტირებას, ზღუდავს ან კრძალავს საგარეო-ეკონომიკურ გარიგებებს.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მსგავსი მოვლენები არა იმდენად ხშირად ხდის ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს, რამდენადაც გადასწევნ მისი შესრულების ვადას ან გადადებენ თვით შესრულებას. სამთავრობო აკრძალვას გარკვეული შედეგები მოაქვს ხელშეკრულების „ამაოებისათვის“, თუ მას უდავო ხასიათი გააჩნია და ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში მოქმედებს.⁵

ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულების „ამაოების“ გამოწვევი მოვლენათა ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია. მასში შედის:

ხანძრის ან სხვა მოვლენის შედეგად ხელშეკრულების საგნის განადგუ-

⁵ F. Gottschalk — Impossibility of performance in contract; London, 1978, p. 204.

⁶ M. Davies — Contracts; London, 1970, p. 186.

რება, ზომალდის აფეთქება ან მეჩენზე გარიყვა, მთავრობის გადაწყვეტილებით ხელშეკრულების საგნის რეკვიზიცია, ზომალდის დაპყრობა, უცხოეთის მთავრობის მიერ სანავთობო კონცესიის ექსპროპრიაცია, ჯადის ხანგრძლივი გადაცილება; მეორე მხრივ, უბრალო მოუხერხებლობა, ხელშეკრულების შესრულების სირთულეები ანდა ფინანსური ზარალი, კონტრაქტის მიერ კომერციული რისკის საზღვრებში ვადის გადაცილება ითვლებოდა ხელშეკრულების „ამაოებისათვის“ არასაკმარის მოვლენებად⁷.

საერთო სამართლის განსაკუთრებულობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხში კონტინენტალური ევროპის სისტემის სამართალთან შედარებით ის არის, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოვლენის დადგომის გაუთვალისწინებლობის კრიტერიუმს ხელშეკრულების „ამაოების“ დადგენისას. კონტინენტალურ სამართლებრივ სისტემებში, როგორც წესი, ხელშემშლელი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა გამორიცხავს ხელშეკრულების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. ინგლისურ სამართალში ის ფაქტი, რომ მხარეები უკვე ხელშეკრულების დადებისას ვარაუდობდნენ ხელშემშლელი მოვლენის, ანდა ახალი გარემოების დადგომის შესაძლებლობას, რაც შემდგომში ხელშეკრულების „ამაოების“ მიზეზი გახდა, და ამასთან, არაფერი არ გაითვალისწინეს მის თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად არ გამორიცხავს დოქტრინის გამოყენებას. მოცემული მოვლენის კვალიფიკაცია დამოკიდებული იქნება ხელშეკრულების ახსნა-განმარტებაზე. უნდა დადგინდეს, რა ჰქონდათ მხედველობაში კონტრაქტებს, შესაბამისი მოვლენის შესახებ რომ ღუძმდნენ: სურდათ მათ ხელშეკრულების შენარჩუნება ამ მოვლენების დადგომის შემთხვევაშიც. თუ განზრახული ჰქონდათ ურთიერთობის მოწესრიგება ასეთ სიტუაციაში სამართლის განსაზღვრული ნორმებით. ხელშეკრულებაში დათქმა ხელშემშლელი გარემოებების დადგომისა და მათი შედეგების შესახებ ჩვეულებრივ გამორიცხავს „ამაოების“ დოქტრინის გამოყენებას.⁸

მოვლენა, რომელიც შესრულებას შეუძლებელს ხდის ან რადიკალურად ცვლის სიტუაციას, უნდა დადგეს არა კონტრაქტების მოქმედებათა შედეგად, არამედ მათი ნებისაგან დამოუკიდებლად. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ ხელშეკრულების „ამაოება“ გამოიწვია იმ მხარის მოქმედებამ ან უმოქმედობამ, რომელიც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრეტენზიას აცხადებს, მაშინ მას ერთმევა უფლება, გასამართლებლად დაიმოწმოს ხელშეკრულების „ამაოების“ დოქტრინა.

მხარე, რომელიც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის „ამაოებას“ იმოწმებს, არ არის ვალდებული, ამტკიცოს, რომ „ამაოება“ მისი ბრალის გარეშე დადგა. თუ იგი დაამტკიცებს თვით გარემოების არსებობას, მაშინ იგულისხმება, რომ „ამაოება“ დამდგარია. მტკიცების ტვირთი იმის შესახებ, რომ „ამაოება“ დაზარალებული მხრის მოქმედების ან უმოქმედობის შედეგია, იმ მხარეს ეკისრება, რომელიც წარმოდგენილ „ამაოებას“ უარყოფს.⁹

ხელშეკრულების „ამაოების“ შედეგები ინგლისურ სამართალში მთლიანად წესრიგდება 1943 წლის კანონით „ამაო“ გარიგებათა შესახებ, რომელიც თუმცადა არ აღგენს ხელშეკრულების „ამაოების“ ნორმატიულ დებულებებს, მაგ-

⁷ F. Gottschalk — *Impossibility of performance in contract*; London, 1978, p. 236.

⁸ R. G. McElroy — *Frustration and force majeure*, Cambridge; 1983, p. 117.

⁹ C. M. Schmitthoff — *Frustration of contracts of sale in English and comparative Law*; Helsinki, 1961, p.p. 339-340.

რამ მიუთითებს მის სამართლებრივ შედეგებზე. კანონის ძალით მხარეები თავისუფლდებიან „ამაოების“ დადგომისას შემდგომი შესრულებისაგან და ხდებიან ხელი ფულადი თანხა შესაბამისად უკან უნდა იქნას დაბრუნებული.

ამერიკის შეერთებული შტატების არა მხოლოდ პრეცედენტულ სამართალში, არამედ სავაჭრო კოდექსიც აისახა ხელშეკრულების „ამაოების“ დოქტრინა. სავაჭრო კოდექსი ფორმალურად ცალკეულ კომერციულ გარიგებებს აწესრიგებს და განიხილება ხელშეკრულებითი სამართლისათვის მნიშვნელოვანი პრინციპებისა და დებულებების შემცველ დოკუმენტად. აშშ-ის ხელშეკრულებითი სამართლის კრებულის I და II გამოცემებშიც შევიდა ხელშეკრულების „ამაოების“ თეორია.

აშშ-ის ეკონომიკური განვითარების უფრო დინამიკურმა პირობებმა შესრულების შეუძლებლობის კონცეფციას ახალი შინაარსი შესძინა.

„ამაოების“ დოქტრინის ამერიკული ვარიანტი ჩამოყალიბებულია სავაჭრო კოდექსში (§ 2-615). გამყიდველის მიერ საქონლის ან მისი ნაწილის მიწოდების ვალის დადგენის ვადის გადაცილება არ განიხილება ხელშეკრულების დარღვევად, თუ შესრულება განუხორციელებელი გახდა გაუთვალისწინებელი გარემოებების შედეგად, რომელთა არდადგომა ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი წინაპირობა იყო. ეს ნორმა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ეხება, მაგრამ სხვა ხელშეკრულებათა მიმართებაშიც გამოიყენება.¹⁰

ამერიკულ სამართალში პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი მოვლენა ან გარემოება ოთხ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. პირველი, მოვლენის შედეგად შესრულება „განუხორციელებელი“ უნდა გახდეს; მეორე, მოვლენის არდადგომა არ უნდა იყოს ხელშეკრულების დადების ძირითადი წინაპირობა; მესამე, არ უნდა არსებობდეს იმ მხარის ბრალი, რომელიც გაათავისუფლებაზე პრეტენზიას აცხადებს; მეოთხე, ამ მხარემ არ უნდა იკისროს უფრო დამამძიმებელი ვალდებულება, ვიდრე ეს კანონიდან გამომდინარეობს.¹¹

ინგლისურ დოქტრინასთან შედარებით, ამერიკულ სამართალში ყურადღებას იპყრობს არა შესრულების „შეუძლებლობის“, არამედ „განუხორციელებლობის“ ცნების გამოყენება. ხელშეკრულებითი სამართლის კრებულის (§ 454) თანახმად, „შესრულების შეუძლებლობა აღნიშნავს არა მხოლოდ პირდაპირ შეუძლებლობას, არამედ განუხორციელებლობასაც.“¹²

მოვლენათა ასეთი განმარტება ბაღებს კითხვას, თუ რამდენად განავრცობს სამართალი ცნების საზღვრებს. შეიძლება თუ არა „განუხორციელებლად“ ჩაითვალოს ის ხელშეკრულება, რომლის შესრულება მოვალისათვის ფინანსური თვალსაზრისით დამძიმდა? ამაზე პასუხს გეცემს სავაჭრო კოდექსის კომენტარები, რომელიც თუმცა არ წარმოადგენს სამართლის ფორმალურ წყაროს, მაგრამ იმ იდეებს გამოხატავს, რაც ავტორებს კოდექსის ნორმებში სურდათ დაენერგათ:

„გადიდებული დანახარჯები არ ათავისუფლებს შესრულებისაგან, თუკი მხოლოდ ხარჯების ზრდა არ გამხდარა შესრულების არსებითი ხასიათის გაუთვალისწინებელი გარემოების შედეგი. საბაზრო ფასის მომატება ან შემცირება თავისთავად არ არის გამართლება, რადგან იგი სამეწარმეო რისკის ის სახეა, რასაც მხარეები გაურბიან ხელშეკრულების დადებისას ფიქსირებულ ფასებზე. მაგრამ ომის, ემბარგოს, ადგილობრივი მოუსაველიანობის, მომარაგების წყაროს

¹⁰ Ch. Giles — Uniform Commercial Law; Leyden, 1970, p. 14.

¹¹ R. Kiley — Doctrine of frustration; Indianapolis, 1981, p. 292.

¹² R. Schlesinger — Comparative Law, Brooklyn, 1959, p. 37.

გაუთვალისწინებელი ჩაკეტვისა და სხვა ხელშემშლელი გარემოებებიდან გამომდინარე ნედლეულის ან მასალების მწვავე დეფიციტი მხედველობაში მისაღებას.¹³

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკას გააჩნია უამრავი მაგალითი, როცა მოსამართლეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულების ფასის ზრდა მხარეებს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს.

სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ წამოიჭრა აგრეთვე იმ მწარმოებლების პრობლემა, რომლებიც გარკვეული პროდუქციის წარმოების ხელშეკრულებებს დებენ უახლესი ტექნოლოგიური მეთოდებითა და საშუალებებით. ისინი ხშირად მოითხოვენ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას იმ მოტივით, რომ ტექნოლოგიურ სირთულეებს მაღალი დამატებითი ხარჯები სჭირდება, თუმცა სასამართლო უარყოფს ამ მოთხოვნას.

იგივე პოზიცია დაიკავა აშშ-ის სამართალმა ხელშეკრულებების ალტერნატიული საშუალებებით შესრულებასთან დაკავშირებით. საგაჯრო კოდექსი (§2-614) ადგენს:

„თუ რომელიმე მხარის ბრალის გარეშე შეუძლებელი ხდება დატვირთვის ან გადმოტვირთვის უზრუნველყოფა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად... მაგრამ ამასთან შესაძლებელი ხდება შემცველი საშუალებების გამოყენება, ასეთი ალტერნატივა მიღებულ უნდა იქნას“¹⁴.

აშშ-ის ხელშეკრულებითი სამართლის კრებული გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულების დადების ძირითადი წინაპირობის არდადგომის ფაქტის გასარკვევად აუცილებელია, აიხსნას, ხელშეკრულების რომელმა მხარემ გასწია მოცემული მოვლენის დადგომის რისკი. ხელშეკრულების დადებისას საქონლის დამზადებისა და მიწოდების შესახებ წინასწარ ფიქსირებული ფასებით გამყიდველი ნორმალურ ფარგლებში საწარმოო დანახარჯების რისკს სწევს. მაგრამ თუ საგანგებო მოვლენების მსვლელობისას უცებ ათმაგად და ძეტჯერ იზრდება საქონლის ღირებულება გამყიდველისათვის, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს, რომ გამყიდველს არ გაუწევია ეს რისკი იმაზე დაყრდნობით, რომ საგანგებო მოვლენის არდადგომა ხელშეკრულების დადების ძირითადი წინაპირობა იყო.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრეტენზიის მქონე მხარის ბრალის არარსებობის კრიტერიუმი ამერიკულ სამართალშიც იგივეა, რაც ინგლისის პრეტედენტურ სამართალში, მოვლენა, რომლის შედეგია ხელშეკრულების „განუხორციელებლობა“, იმ მხარის ბრალის გარეშე უნდა დადგეს, რომელსაც წინააღმდეგობა წარმოეშვა ხელშეკრულების შესრულებაში.

შესრულების „განუხორციელებლობის“ შემდეგი კრიტერიუმი იმ ვალდებულების არქონაა, რაც უფრო დამამძიმებელია, ვიდრე კანონით კონტრაქტზე დაკისრებული. ამ დროს უნდა დადგინდეს, კონტრაქტმა პირდაპირ გამოხატული სახით ზომ არ იკისრა ვალდებულების შესრულება, თუ იგი „განუხორციელებელი“ იყო. ამ შემთხვევაში იგი არ გათავისუფლდება შესრულებისაგან და ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად იმიჯნება შესრულების სუბიექტური და ობიექტური შეუძლებლობა. მხოლოდ შესრულების ობიექტური შეუძლებლობა ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, როცა სუბიექტური შეუძლებლობა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

¹³ P. Vold — Handbook of the law of sales; St. Paul, Minnesota, 1974, p. 151.

¹⁴ J. Whitney — The law of contracts, Albany, N. Y. 1968, p. 267.

¹⁵ W. H. Page — The doctrine of frustration of adventure, New York, 1961, p. 86.

საკვდილით დასჯის პრობლემის კვლევის თავისებურებანი

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში აქტუალური სახე მიიღო პოლემიკამ სიკვდილით დასჯის თაობაზე, რაც განპირობებულია ჩვენს კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებებით. საინტერესოა, რომ სიკვდილით დასჯის პრობლემის მეცნიერული კვლევისა და მის მიმართ საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების შესწავლის ყველაზე აქტიური პერიოდები მოდის რევოლუციური და მნიშვნელოვანი სოციალური ძვრების ეპოქებზე.

წინამდებარე ნაშრომში ნაკლებად შევეხებით სიკვდილით დასჯის გაუქმება-შენარჩუნების საკითხს და მის დადებით და უარყოფით მხარეებს. ამ თემაზე ბევრი ითქვა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით. ამჯერად მკითხველის ყურადღებას გავაძახვილებთ სიკვდილით დასჯის პრობლემის გამოკვლევის ძირითად ტენდენციებსა და თავისებურებებზე.

პირველ რიგში განვიხილოთ საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის პრობლემასთან მიმართებაში. საზოგადოებრივი აზრი სრულად უნდა იყოს შესწავლილი, რადგან იგი იძლევა ვარიანტების და მთელი რიგი ინტერპრეტაციების საშუალებას. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხისადმი სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ მიდგომას. ხშირად სწორედ კითხვარების სხვადასხვა სისტემით შედგენაზეა დამოკიდებული რესპოდენტთა პასუხები.

სიკვდილით დასჯის მხარდაჭერას საფუძვლად უდევს ის, რომ ეს სასჯელი აღწერილია როგორც „მკაცრად დაცული მორალური და პოლიტიკური იდეალი“. იგი ღრმად არის ჩადებული პიროვნების რწმენისა და ფასეულობების სისტემაში და აქვს თავისი ემოციურ-სიმბოლური ფუნქცია. ეს დებულება ბავშვობიდანვე ინერგება ადამიანში და სწორედ ამას მივყავართ იქამდე, რომ მოზრდილი ადამიანი იშვიათად თუ იცვლის თავის დამოკიდებულებას სიკვდილით დასჯასთან მიმართებაში.

სოციოლოგიური მონაცემებით სიკვდილით დასჯის მომხრე იყო სსრკ-ს მოსახლეობის 55-70%. აშშ-ში ეს რიცხვი 80%-მდე აღწევს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აზრი სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე ნელ-ნელა იცვლება.

საზოგადოების დიდ ნაწილს სწამს, რომ სიკვდილით დასჯას აქვს დამინების ეფექტი, თუმცა მრავალი გამოკვლევის მიხედვით, ირკვევა, რომ სიკვდილით დასჯის მომხრე რესპოდენტებს ამ სასჯელის დეტერენს ეფექტზე არ აქვთ სწორი ინფორმაცია, რითაც არის განპირობებული მათი პასუხები და თუ მათ დაარწმუნებენ აბოლიციონიზმის ეფექტურობაში, მათი რიცხვი 70-დან 55 პროცენტამდე ეცემოდა. მთელ რიგ ქვეყნებში გაუქმებულია სიკვდილით დასჯა სწორედ იმის გამო, რომ ზეგავლენა იქონია საზოგადოების კარგად ინფორმირებულმა ნაწილმა.

სახელმწიფოებში, რომლებშიც სიკვდილით დასჯა სასჯელის ერთ-ერთი სახეობაა, ხშირად მიმართავენ საზოგადოებრივ აზრს. ზოგჯერ არგუმენტის არის, რომ აპოლიციონიზმს არ აქვს ფართო მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. იგი მიჩნეულია, როგორც ანტიდემოკრატიული. სიკვდილით დასჯის სამთავრობო პოლიტიკა ეყრდნობა იმ წყაროებს, რომელნიც თვითონ მიაჩნიათ ფასეულად. ამის ნათელი მაგალითია ისლამური რელიგიის მიმდევარი ქვეყნები, სადაც სწორედ რელიგიური შეხედულებების გამო სიკვდილით დასჯა სრულებით ბუნებრივია.

დასავლეთში ხელისუფლება ამ საკითხის გადაწყვეტისას ნაკლებად ითვალისწინებს მასების აზრს. ბევრ ქვეყანაში სიკვდილით დასჯის გაუქმებას უნდა ვუმაღლოდეთ თამამ პოლიტიკოსებს, რომლებიც არ შეუშინდნენ უმრავლესობის აზრის წინააღმდეგ წასვლას, როდესაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გააუქმეს სიკვდილით დასჯა, მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამ სასჯელის მომხრე იყო, თუმცა 10—15 წლის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა.

გაეროს სოციალური დაცვის ინსტიტუტის გამოკვლევების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია, ანალიზი გაუქმეთით იმ მუშაობას, რომელიც ჩატარდა სასჯელის უმაღლესი ზომის გამოსაკვლევად. ამ ნაშრომების ანალიზისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მათი მოცულობა, გეოგრაფია, გამოკვლევის სფერო, მეთოდები და საწყისი პოზიციები.

გამოკვლევას სფერო პირობითად დაყოფილია ორ ნაწილად: საერთო დისკუსია თემაზე; სამართლებრივი პრობლემები; სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება; პოზიცია სიკვდილით დასჯისადმი; დაშინების ეფექტის შეფასება და სიკვდილმისჯილთა შესწავლა.

ნაშრომების 70 პროცენტი გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში; 20 პროცენტი — დასავლეთის სხვა ქვეყნებში; 1 პროცენტი — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში; 4,1 პროცენტი — განვითარებად ქვეყნებში. ნამუშევრების დაახლოებით 85 პროცენტი მიეკუთვნება მონოკულტურულ გამოკვლევათა რიცხვს, ხოლო 15 პროცენტი კი ფართო ტიპის გამოკვლევებია.

გასათვალისწინებელია გამოკვლევის მეთოდებიც, რომლებიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: იურიდიულ-ნორმატიული, ბიჰევიორისტული და კომპლექსური.

სამართლებრივ პრობლემათა ჯგუფში, ძირითადად, გამოიყენება იურიდიულ-ნორმატიული მეთოდი, ხოლო დაშინების ეფექტის გამოკვლევისას კი, როგორც წესი, გამოიყენება ბიჰევიორისტული მეთოდი. ნამუშევრების მხოლოდ მესამედში გამოიყენება ამ ორი მეთოდის შერწყმა, ე. წ. კომპლექსური მიდგომა.

საწყისი პოზიცია ხშირად წარმართავს მთელ გამოკვლევას. ჩვენ შეგვიძლია ის ორ კატეგორიად გავყოთ: სიკვდილით დასჯის მომხრე და მოწინააღმდეგე. როდესაც საქმე ეხება დაშინების ეფექტს, ძირითადად, პოზიცია ნეიტრალურია, ხოლო სხვა გამოკვლევათა უმრავლეს შემთხვევებში საწყისი პოზიცია სიკვდილით დასჯის მომხრეა.

განვიხილოთ გამოკვლევის ყველა თემა ცალ-ცალკე.

I. საერთო დისკუსია თემაზე

სიკვდილით დასჯის განხილვა ყოველთვის აქტუალური იყო. იგი მოიცავს რელიგიურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ მომენტებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული დღევანდელი საზოგადოების ფასეულობებთან.

მკვლელობის დროიდანვე სიკვდილით დასჯა მიღებული იყო როგორც აუცილებელი ღონისძიება, რათა დაეცვათ საზოგადოებრივი ფასეულობები. ამ სასჯელის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის დისკუსიები დაიწყო მე-18 საუკუნის დამლევებიდან და დღემდე ეს საკითხი გადაუჭრელია.

სიკვდილით დასჯის თემაზე დღევანდელი დისკუსიები კომპლექსურია. მოწინააღმდეგეთა შეხედულებები ძირეულად განსხვავებულია, რაც ხშირად დისკუსიას შეუძლებელს ხდის. დღემდე წინა პლანზეა ორი ასპექტი: დამსჯელი — (შურისძიების მოთხოვნის დაკმაყოფილება საზოგადოებაში) და პრივენტიული — (დაშინების ეფექტი).

ორივე მხარეს მოჰყავთ ფასეული არგუმენტები თავიანთი პოზიციის დასაცავად. ყველაფერთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ესთეტიურ და უტილიტარულ ასპექტებს.

II. სამართლებრივი პრობლემა

სამართლებრივი დისკუსიები სიკვდილით დასჯის კონსტიტუციურობაზე დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა. ამჟამად იგრძნობა ტენდენცია კონსტიტუციურობიდან პროცედურული გარანტიებისაკენ. თუ ადრე პოლემიკა ამ სასჯელის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის იმართებოდა, დღესდღეობით წინა პლანზე გამოდის პროცედურული გარანტიები, რათა შემცირდეს შემთხვევითობათა რიცხვი იურიდიულ პროცესში. შესაბამისად, აგრუმენტებიც ბოროტად დანაშაულებრივად იცვლება.

სამართლებრივი გამოკვლევები ძირითადად ეხება ოთხ თემას: აპელაცია; ნაფიც მსაჯულთა კვალიფიკაცია; ნივთმტკიცებები (მათ შორის ფსიქიატრიული ექსპერტიზა) და სასიკვდილო განაჩენი ახალგაზრდა დამნაშავეთა მიმართ.

ბოლო დროს სამართლებრივი გამოკვლევები ხშირად ერწყმის სოციოლოგიურს. თუ სამართლებრივ გამოკვლევებში დომინირებს სამართლებრივი, ფილოსოფიური და ისტორიული ანალიზის ტრადიციული შერწყმა, სოციოლოგიურ-სამართლებრივი გამოკვლევები არ გამოხატავენ მკვეთრად თავის პოზიციას სიკვდილით დასჯის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი გამოკვლევები, რომლებიც ეხება შემთხვევითობას, მიუხედავად თავისი ტექნიკური ხასიათისა, ხშირად მიმართავენ აგრუმენტებს სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ.

III. სასჯელის უზალღესი ზომის გამოყენება

ეს ჯგუფი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სიკვდილით დასჯის განხილვა ეროვნულ, რელიგიურ და საერთაშორისო დონეზე. ნაშრომების ნახევარზე მეტი ეხება იუსტიციის სისტემაში დისკრიმინაციის თემას. ამ ნაშრომთა უმრავლესობა გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და დამნაშავეის რასობრივ კუთვნილებას (და არა რასას) შეეხება.

IV. პოზიციის სიკვდილით დასჯისადმი

ამ ჯგუფის მთავარი თემაა საზოგადოების ემოციური დამოკიდებულება და პოზიციები სიკვდილით დასჯასთან მიმართებაში. შესაძლებელია ამ თემაზე დაწერილი ნაშრომების სამ ჯგუფად დაყოფა: საზოგადოების პოზიცია სიკვდილით დასჯის მიმართ; საზოგადოებრივი პოზიციისა და იურიდიული ან პოლი-



ტიკური სიტუაციის ურთიერთდამოკიდებულება და მიზეზობრივი პროცესები, რომლებიც საზოგადოების პოზიციის საფუძველია.

ამ ნაშრომებში მკვეთრად არის გამოხატული პოზიცია სიკვდილით დასჯისადმი.

მიუხედავად მკვეთრად გამოხატული პოზიციებისა, მაინც ბევრ პრობლემას ვაწყდებით. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, საზოგადოებრივი აზრი დამყარებულია გარკვეულ ფაქტორთა ერთიანობაზე, რომელთა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი აზრის ცვლილებაც. შესაბამისად იბადება აზრი, რომ საზოგადოების დამოკიდებულება არ განაპირობებს ფაქტიურ მოქმედებას.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საზოგადოების პოზიციის უბრალო სტატისტიკური ანალიზი არ არის საკმარისი იურიდიული და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, რადგან საზოგადოებაში დიდია სხვაობა ცოდნასა და სოციალურ მოქმედებას შორის, განსაკუთრებით კი ისეთი დანაშაულების მიმართ, რომელიც გამოიწვევს ძლიერ ემოციურ რეაქციებს.

V. დაშინების ეფექტის უფასოება

დაშინების ეფექტი არის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებულ დებატებში. გამოკვლევები მიმდინარეობს იმ მიმართულებით, თუ რამდენად ეფექტურია დაშინების ეფექტი სიკვდილით დასჯის სხვადასხვა ასპექტში.

არსებობს ამ პრობლემისადმი მიდგომის ოთხი საშუალება: გრძელვადიანი, სადაც ღვინდება კოეფიციენტი დანაშაულებსა და სასიკვდილო განაჩენებს შორის; გარკვეულ რეგიონში დანაშაულთა კოეფიციენტის ცვალებადობის ახსნა კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებათა მეშვეობით; მოკლევადიანი ეფექტი, სადაც ღვინდება დანაშაულთა რიცხვი კონკრეტული სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ და შედარებები, რომლებიც შეისწავლის დანაშაულთა კოეფიციენტს, სადაც შემოიღეს ან გააუქმეს სიკვდილით დასჯა.

გამოკვლევების 3/4-ზე მეტი ამტკიცებს, რომ არ არსებობს კავშირი სიკვდილით დასჯის დაშინებით ეფექტსა და დანაშაულთა კოეფიციენტს შორის. დანაშაულის გაზრდასა და შემცირებაზე გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები, მაგრამ ნაწილი გამოკვლევებისა მაინც ემხრობა იმ აზრს, რომ სიკვდილით დასჯას აქვს გარკვეული დაშინებითი ეფექტი. თუმცა ეს გამოკვლევები, იშვიათად თუ უთმობენ ყურადღებას დანაშაულის ზრდის ფაქტორებს.

ამ თემაზე გამოკვლევების შედეგად ჩვენ შეგვიძლია დაშინების ეფექტთან დაკავშირებული პრობლემები განვაზოგადოთ შემდეგი სახით: ა) სიკვდილით დასჯის დროს დანაშაულთა კოეფიციენტის შემცირება არ არის აუცილებელი, მოწმობდეს ამ ორ მოვლენათა შორის მიზეზობრივ კავშირზე და ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ მოქმედებდნენ სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორები; ბ) ხშირად ანალიზისათვის არ არის საკმარისად ადეკვატური მონაცემები; გ) ხშირად მონაცემები არ არის მიზეზობრივ კავშირში გამოკვლევის მიზანთან; დ) გამოკვლევის საგანთან დაკავშირებით არ არის საკონტროლო ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება და გამოკვლევა ეყრდნობა მხოლოდ სიტუაციებზე დაკვირვებებს; ე) რაც შეეხება დაშინების ეფექტის არსებობასთან დაკავშირებულ ჰაპოთეზას, იგი, ძირითადად, ეხება იმას, რომ პოტენცი-

გიორგი ჟივია

სამოქალაქო საქმიანობა სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი

სამოქალაქო სამართალწარმოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს, რამდენადაც მისი მეშვეობით წყდება სახელმწიფოს წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ადამიანის უფლებების დაცვა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ქონებრივსა და პირად არაქონებრივი ხასიათის სიკეთეს. სწორედ სასამართლო უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან მყარი გარანტი იმისა, რომ დაცული იყოს თვით სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები. ამ მიმართებით სამოქალაქო პროცესისათვის წარმართველ საკითხად, მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით, წარმოჩინდება სასამართლო და სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი.

სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის, თანამედროვე და რევოლუციამდელი სამართლებრივი კონცეფციების საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: აპელაცია და კასაცია.

აპელაცია: მოსამართლეთა პროფესიული მომზადების მაღალი დონე, მათი კეთილსინდისიერება და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. მაგრამ რაც უნდა კარგად იყვნენ მოსამართლეები მომზადებულნი, რაკეთილსინდისიერებით და ყურადღებით უნდა მოეკიდნონ ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მაინც არ არსებობს იმის სრული გარანტია, რომ თავიდან იქნება აცილებული შეცდომები, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მხრივ, ისე ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით. არ შეიძლება უგულებელვყოთ მოსამართლეთა მხრივ შეგნებულად გადახვევა სამართლიანობის პოზიციიდან, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა, ისე ამ ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო შეცდომების გაზშირების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასამართლოს ინსტანციურობის სწორად განსაზღვრა, რაც საშუალებას მისცემს მხარეებს გამოასწორონ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნებით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები. სასამართლო შეცდომების გასწორების ყველაზე მიზანშეწონილ საშუალებად მიჩნეულია აპელაცია ანუ საქმის ხელმეორედ განხილვა უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რომელიც დაკომპლექტებული იქნება უფრო გამოცდილი და პროფესიულად, უფრო მომზადებული მოსამართლეების მიერ.

სააპელაციო სასამართლო სხდომა მიმდინარეობს იმ წესით, რა წესითაც მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომები ანუ იმავე წესებით მიმდინარეობს მტკიცებულებათა შემოწმება, მოწმეთა დაკითხვა ადგილზე, ადგილზე დათვალიერება და სხვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან აპელაციის თავისებურებანი განპირობებულია თვით აპელაციის მიზნებითა და აპელაციის ფარგლებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უნდა შემოიფარგლოს მხარეთა საჩივრით და არ უნდა გასცდეს მას.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ბოლო უნდა მოუღოს საქმეების დაუსრულებელ მოძრაობას პირველი ინსტანციის სასამართლებიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საზედამხედველო ინსტანციებში და პირიქით, რაც სხვა ნეგატიურ შედეგებთან ერთად საქმის საბოლოო გადაწყვეტის უზომოდ გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

კასაცია. ცხადია, რომ თუ შეიძლება შეცდეს სასამართლოს პირველი ინსტანცია, შეიძლება შეცდომა მოუვიდეს მეორე ანუ სააპელაციო ინსტანციასაც. სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე ყველაზე უფრო რაციონალურად აღიარებულია ორი ინსტანციის პრინციპი. ამავე დროს, აღიარებულია ისიც, რომ ქვეყნის კანონმდებლობა ყოველთვის შეიცავს ხარვეზებს. ამ ხარვეზების არსებობის მოტივით დაუშვებელია საქმის განხილვაზე უარის თქმა. მაშასადამე, ხარვეზები კანონმდებლობაში დაშვებული იქნება, მაგრამ სასამართლო ვერ დაელოდება საკანონმდებლო წესით ამ ხარვეზების შესწორებას. ამიტომ, სასამართლო იძულებულია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, რისთვისაც იგი მიმართავს კანონის ანალოგიას, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არის, თვითონ ქმნის ნორმას მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გვაკეთოთ დასკვნა, რომ ზოგჯერ კანონის აზრი და შინაარსი ყველა მოსამართლეს ერთნაირად არ ესმის. ეს კი ქმნის საშიშროებას, რომ ერთგვაროვანი საქმე სხვადასხვა სასამართლოში შეიძლება სხვადასხვანაირად გადაწყდეს.

სწორედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება, კანონების ერთგვაროვნად გაგებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას ახალი ტიპის საკასაციო სასამართლო, რომლის მთავარი ამოცანაა შეამოწმოს საქმის იურიდიული მხარე, ის თუ რამდენად სწორად არის სასამართლოს მიერ შეფარდებული სამართლის ნორმა ან რამდენად სწორად არის გაგებული იმ ნორმის აზრი და შინაარსი. რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ მხარეს, საკასაციო სასამართლო ამ საკითხს არც ეხება, მაგრამ ამოწმებს მის ფაქტობრივ მდგომარეობას.

რა შეიძლება იყოს საკასაციო საჩივრების ობიექტი?

ამ საკითხზე არსებობს ორგვარი პოზიცია — ერთი პოზიციის მიხედვით საკასაციო საჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება. მეორე პოზიციის თანახმად, რომელსაც მთლიანად ვიზიარებთ, საკასაციო შემოწმების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება).



საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთი სასამართლო ორგანოს მეშვეობით. ჩვენს სინამდვილეში მას უნდა აზორციელებდეს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო — მის სისტემაში შექმნილი რომელიმე რგოლის სახით. რაც შეეხება რესპუბლიკის ავტონომიური წარმონაქმნების უმაღლესი სასამართლოები უნდა ასრულებდნენ მეორე ინსტანციის სასამართლოს ფუნქციებს ანუ მათ მიერ უნდა ხდებოდეს საქმეთა სააპელაციო წარმოება.

ყველა სასამართლოს მიერ, ე. ი. საკასაციო სასამართლო უნდა იყოს საბოლოო ამრიგად, საკასაციო სასამართლოს ფუნქცია უნდა იყოს კანონების ერთგვაროვნად გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოს მთელი ტერიტორიაზე ინსტანციის სასამართლო.



დაჯილდოება

**ღვაწლის
დაფასება**



ძ. თბილისის პროკურორის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული იურისტი ბატონი ვასილ ფოცხვირიან ხანგრძლივი წაყოფიერი საქმიანობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მან 1947 წელს მემთავრა თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლა და იმავე წელსვე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1952 წელს და დაიწყო შრომითი საქმიანობა: მუშაობდა საქართველოს კომუნალური და მშენებლობის ბანკების ცენტრალურ აპარატებში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე (იურისკონსულტად, განყოფილებათა უფროსად, სამმართველოს უფროსად, მთავარ ინსპექტორად).

1965 წლიდან მუშაობს ქ. თბილისის პროკურატურაში გამოძიებლად, განყოფილების პროკურორად, შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებასა და მოკლევადიან ზედამხედველობის ჯგუფის უფროსად, საგამოძიებო განყოფილების უფროსად, 1977 წლის ივნისში დააწინაურეს ქ. თბილისის პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე.

ვ. ფოცხვერია კეთილსინდისიერი მუშაობისათვის არაერთხელ არის წახალისებული როგორც საქართველოს პროკურორის, ისე ყოფილი სსრკ გენერალური პროკურორის ბრძანებებითა და სახელობითი ჭილღობით.

ვასილ ფოცხვერია თავისი პროფესიული მოვალეობის პარალელურად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. არის საქართველოს იურისტთა კავშირის და მისი პროფესიული ეთიკის კომისიის წევრი, იგი საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელის“ დამფუძნებელი ჯგუფისა და ამ საზოგადოების გამგეობის წევრია; არჩეულია საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად.

ვ. ფოცხვერია სანიმუშო მეოჯახეა — ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და ოთხი შვილიშვილი.


საქართველოს იურისტთა კავშირი და უფრო „სამართლის“ სარედაქციო კოლეგია გულწრფელად გილოცავთ, ბატონო ვასილ, ამ ღირსეულ ჭილღოს და გისურვებთ ხანგრძლივ მხნეობას, აქტიურ მოღვაწეობასა და ბედნიერ ცხოვრებას.

ამგონს



(608) 0868

ღირსეული ჯილღო



ბატონი სიმონ მაჭავარიანი თბილისში დაიბადა 1943 წელს და, როგორც იტყვიან, ნაღდი თბილისელია. დამთავრებული აქვს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1961-80 წლებში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში და პარტიულ ასპარეზზე პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა. შემდეგ კი დღემდე პროკურატურის ორგანოებშია — სხვადასხვა წლებში მუშაობდა გარდაბნისა და თბილისის ნაძალადევის რაიონის პროკურორად, ქ. რუსთავის პროკურორად, ხოლო 1994 წლიდან დღემდე ქვემო ქართლის მხარის პროკურორია.

ოუსტიციის უფროსი მრჩეველი საქართველოს პროკურატურის კოლეგიის წევრია. სულ ახლახანს კი მისი ღვაწლი ღირსეულად დააფასეს და დააჯილღოვეს ღირსების ორდენით.



ემაყება ბატონ სიმონს, რომ მისი ქალ-ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და იმავე უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტები არიან.

ბატონო სიმონ! საქართველოს იურისტთა კავშირი და ყურნალი „სამართალი“ გულითადად გილოცავთ ამ მაღალ წილდოს და გისურვებთ ხანგრძლივ ნაყოფიერ საქმიანობას, ბედნიერებას ოჯახსა და პირად ცხოვრებაში.



სსოვნა

სერგო (გია) ჩახუნაშვილი



უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ იურისტთა შორის აღარ არის კრწანისის რაიონის პროკურორის მოადგილე სერგო (გია) ჩახუნაშვილი.

პროკურატურის ორგანოებში მუშაობა 1989 წელს დაიწყო და სულ მოკლე ხანში ყველას თავი შეაყვარა თავისი პროფესიონალიზმით, ვაჟკაცობითა და პრინციულობით. თავდაპირველად ჩულურეთის რაიონის გამომძიებელი იყო, შემდეგ კი მუშაობდა ვაკის რაიონის პროკურორის თანაშემწედ, საქართველოს პროკურატურის საგამომძიებო სამმართველოს პროკურორად, ვაკის რაიონის პროკურორის მოადგილედ, ხოლო მისი ტრავიკული აღსასრულის უამს კი კრწანისის რაიონის პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. ყველაგან,

სადაც კი უმუშავია, იგი ყოველთვის გამოირჩეოდა საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით. მისი სამარადჟამო ნათელი სსოვნა ყოველთვის დარჩება კოლეგებსა და ნათესავ-მეგობრებს შორის.

**საქართველოს იურისტთა კავშირი,
ფურნალ „სამართლის“ რედაქცია.**



4 -

no 73/2



F244

1997